სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 1 აგვისტო 2001 №143 (1416) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ალ. ალალაძის

ჩივაძემ ნაკრებში ძველებს და ძალიან ძველებს უხმო

გუშინ საქართველოს ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ იმ 21 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, 15 აგვისტოს ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩისთვის რომ შეუგულებია. გამოძახებულთა შორის არიან ძოძუაშვილი-ყიფიანზე შემომწყრალი გოჩა ჯამარაული და ალექსანდრე იაშვილი, თუმცა ამ ოცდაერთ ფეხბურთელში არაა კახა კალაძე, შოთა არველაძე, თემურ ქუცბაია და ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა. საქმე ისაა, რომ ჩივაძის აზრით, ამ მოთამაშეების ლუქსემბურგისთვის მოცდენა ზედმეტი ფუფუნებაა და ახლა უპირიანი იმათი საქმეში ხილვაა, ნაკრების კანდიდატებად რომ ითვლებიან.

გუნდი ლუქსემბურგს 13 აგვისტოს გაემგზავრება, ჩივაძე თან 18 ფეხბურთელს და თანაშემწეებს მურთაზ ხურცილავას და ოთარ გაბელიას იახლებს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ არც ჩვენი მეტოქეები — უნგრეთი, ლიტვა და რუმინეთი იქნებიან გულხელდაკრეფილნი. ეს კი არა, უნგრეთმა, 1 სექტემბერს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სათამაშოდ თბილისს რომ ეწვევა, საამატჩოდ მოსამზადებლად, არც მეტი, არც ნაკლები, გერმანიის ნაკრები მიიპატიჟა.

რაში და როგორ წაადგება ჩივაძეს და საქართველოს ნაკრებს ლუქსემბურგთან ამხანაგურად გაჯიბრება, ამას 1 სექტემბრის მატჩი გამოაჩენს.

იხილეთ მეორე გვერდი

ჩემპიონთა ლიგა 2001-02. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

კოპენჰაგენი — ტორპედო

პირველი მატჩი 1:1

კოპენჰაგენი. „პარკენი". 1 აგვისტო. 22 საათი

ტორპედოში საგანგებო მდგომარეობაა

ქუთაისელებს ლაპარაკი აუკრძალეს

საქართველოს ჩემპიონები ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის სათამაშოდ დანიაში გუშინწინ, თბილისიდან ჩარტერული რეისით გაფრინდნენ.

ტორპედოელები კოპენჰაგენში, ოლიმპიურ ცენტრში დაბინავდნენ და იმავ საღამოს „პარკენის" სტადიონის მახლობლად დაახლოებით ორი საათი ივარჯიშეს.

ქუთაისელები, რომლებიც კოპენჰაგენს დაახლოებით 60-კაციანი დელეგაციით ესტუმრნენ, დღეს, ჩვენი დროით 22 საათზე „პარკენის" სტადიონზე დაუპირისპირდებიან დანიის ჩემპიონ „კოპენჰაგენს".

იქამდე კი, გუნდში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას აღარაფერი უკლია. „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა წუხელ, „პარკენზე" ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად ტელეფონი ყველას ჩამოართვა და ნომრებშიც გაუთიშა, არ შეგაწუხონო.

— დიახ, ხვალ ჩვენ უპრინციპულესი მატჩი გვაქვს და ტელეფონი ყველას ჩამოვართვი. გუნდმა მხოლოდ ხვალინდელ თამაშზე უნდა იფიქროს. ეს-ესაა ჩვენებმა ვარჯიში დაამთავრეს, ყველა ნომერშია და ისვენებს — გვითხრა შედან ნანიკაშვილმა, რომელსაც წუხელ კოპენჰაგენში დავუკავშირდით — არც ველოდი, დანიელები ისე თბილად დაგვხვდნენ, არანაირი პრობლემა, ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ თამაშია სათამაშო და მოსაგები.

პირადად მე შემდეგ წრეში გასვლის მეტი არაფერი მაინტერესებს. გუნდს მწვრთნელი ჰყავს, რომელიც საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი და მისი იმედი გვაქვს.

— გუნდში ყველა ჯანმრთელადაა?

— ვინც კი კოპენჰაგენშია, ყველა ჯანმრთელია. ყველას აქვს თამაშის შანსი. რევაზ ძოძუაშვილის გადასაწყვეტია, „კოპენჰაგენს" როგორი შემადგენლობა დაუპირისპიროს. ერთხელაც ვიტყვი, ჩვენთვის მთავარი შემდეგ ეტაპზე გასვლაა, სხვა მე და „ტორპედოს" ხელმძღვანელობას არაფერი გვაინტერესებს. „კოპენჰაგენს" უნდა მოვუგოთ. დანარჩენი მწვრთნელებმა იციან.

— ეს რეალურია?

— რატომაც არა. ხვალინდელი მატჩი, როგორც შევატყვე, აქაურებში საკმაო ინტერესს იწვევს. ამბობენ, სტადიონი თუ არ შეივსო, ანშლაგს ბევრიც არ დააკლდებაო. დანიის ტელევიზიის ერთ-ერთი არხიც უჩვენებს „კოპენჰაგენ" — „ტორპედოს" მატჩის პირდაპირი რეპორტაჟს.

ძოგბა ინასარიძე

რაღა დარჩა, შემოდგომით გავერთოთ დიდი ომით

სუფრები და საჭადრაკო მაგიდები გაიშლება ევრაზიულ შუშაბანდში

ბერძნული ქალაქი პატრასი 20 წლამდე მოჭადრაკეებს მასპინძლობდა, მაგრამ არა ეს ჭკვიანი და ბეჯითი გოგობიჭები იყვნენ ევროპის ჩემპიონატის მთავარი ფიგურები. პრესა-ტელევიზიისა და გულშემატკივართა ინტერესსა და ყურადღებაში შვილისტოლა კოლეგებს ჩაეზიარა თვით მსოფლიოს ექსჩემპიონი და ჯერ მაინც პირველი მოჭადრაკე გარი კასპაროვი, რომელმაც სწორედ პატრასში დაადასტურა, რომ შემოდგომის დამდეგს ევროპა — აზიის საჭადრაკო ომში ევროპის დროშას შეუდგება, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ საბრძოლო მოქმედებათა თეატრი ბათუმში მოეწყობა. პატრასში კი ევროპელ ჭაბუკთა ჩემპიონი გახდა ხონელი ზვიად იზორია, რომელმაც პირველი ადგილი სუფთად, ყოველგვარი დამატებითი მაჩვენებლების დათვლის გარეშე ირგუნა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

გარი კასპაროვი ბათუმშიც გაირუჯება

ჩივაძე საძმეს შეუდგა ეროვნული ნაკრები ორად გაიხლიჩა

მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ხელმეორედ დიდებს ულელს. გუნდს 15 აგვისტოს ამხანაგური მატჩი ელის სტუმრად ლუქსემბურგის ნაკრებთან. საამმატჩოდ ჩივაძემ 21 ფეხბურთელი შეარჩია. *მეკარეები: დავით გვარამაძე („ტორპედო"), სერგო ჭურაძე („ვიტ ჯორჯია"), გიორგი ლომაია („ლოკომოტივი"); მცველები: რევაზ ქემოკლიძე („ალანია ვლადიკავკაზი"), ოთარ ხიზანეიშვილი („ტორპედო"), ოთარ ხიზანეიშვილი („ოსტსელმაში", რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი („დინამო"), ედიკ საჯაია („ვიტ ჯორჯია"); ნახევარმცველები: გივი დიდავა, მალხაზ ასათიანი (ორივე „ტორპედო"), ზურაბ ხიზანიშვილი („დინამო"), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გოჩა ჯამარული („ციურიხი", შვეიცარია), გიორგი გახოკიძე („აინდჰოვენი", ჰოლანდია), როინ ონიანი („ლოკომოტივი"), ლადო ბურდული, არჩილ სახვაძე (ორივე „დინამო"); თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", რუსეთი), გიორგი დემეტრაძე („სოსიედადი, ესპანეთი), რატი ალექსიძე („ჩელსი", ინგლისი).* ამ 21 ფეხბურთელს ჩივაძე 18-მდე გაცხრილავს და 13 აგვისტოს თბილისი-პრაღა-ფრანკფურტის ავიარეისით ლუქსემბურგისკენ გაუყენებს. 21-კაციან სიაში სამი ახალი გვარია, თუმც სახვაძეს, ბურდულს და ონიანს გაცხრილვამდე ვერ ჩავთვლით ნაკრების დებიუტანტებად, დასახელებული სამი მეკარიდან კი ლუქსემბურგში მხოლოდ ორი გაემგზავრება. როგორც უნდა იყოს, სფფ-მ თადარიგი დაიჭირა და ყველა ამ 21 ფეხბურთელისთვის ლუქსემბურგის ვიზებზე ზრუნვა დაიწყო. სიაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიცაა, რომელთაც ნაკრებში მრავალჯერ უთამაშიათ და მათ შესაძლებლობებს ჩივაძეც კარგად იცნობს, მაგრამ ეს ფეხბურთელები გარკვეულ მიზეზთა გამო ბოლო დროს ვერ ხვდებოდნენ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში. ჰოდა, ეროვნული გუნდის ახალი დამრიგებელი კიდევ ერთხელ შეამოწმებს მათ.

ალექსანდრე ჩივაძემ ნაკრების ფეხბურთელთა მეორე, ათკაციანი სიაც დასახელა, რომლებსაც მისი აზრით, ამ ეტაპზე ლუქსემბურგთან გამოცდა არ სჭირდებათ: *კახა კალაძე („მილანი", იტალია), თემურ ქეცბაია („ვულვზი", ინგლისი), გიორგი ქინჭლაძე („დერბი", ინგლისი), არჩილ არველაძე („კიოლნი", გერმანია), შოთა არველაძე („აიაქსი", ჰოლანდია), მიხეილ ყველაშვილი („ციურიხი", შვეიცარია), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე „სკონტო", ლატვია), გიორგი ნემსაძე („დანდი").* ეს მოთამაშეები პრაქტიკულად, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 28 აგვისტოს იქნებიან გამოძახებულნი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩისთვის უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც 1 სექტემბერს ჩატარდება თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე. ნაკრებს მომდევნო შეხვედრა ლიტვასთან უწევს და ბალტიისპირელებსაც „ლოკომოტივი" უმასპინძლებს. ორივე მატჩი 21 საათზე დაიწყება. ახალგაზრდული ნაკრები კი ერთი დღით ადრე, 31 აგვისტოს და 4 სექტემბერს, „ეროვნულზე" დაუხვდება მეტოქეებს.

და კიდევ, სფფ-მ დააკმაყოფილა ალექსანდრე ჩივაძის თხოვნა, მის ასისტენტებად ნაკრებში მურთაზ ხურცილავა და ოთარ გაბელია იმუშავებენ.

დავით თავართქილაძე

კვეტენაძის კვანტი

„საბოლოოდ მოვაგვარეთ შუახეის პრობლემა, დღეიდან კახა კვეტენაძე „კოლხეთის" წევრია. მან კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ყველანი კმაყოფილნი ვართ" — ეს სიტყვები „სარბიელს" „კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე უთხრა.

„სამგურალთან" პირველი ტურის მატჩში კვეტენაძე არც მოედანზე გამოჩენილა კოლხთა რიგებში, არც სათადარიგოთა სკამზე და მეტიც, იმ დღეს იგი საერთოდ არ იმყოფებოდა ფოთში.

დებიუტანტ „სამგურალს" „კოლხეთმა" იოლად კი მოუგო, მაგრამ მატჩის წინ ფოთელები კვეტენაძის მიზეზით აშკარად შეფიქრიანებულნი და გაღიზიანებულნი იყვნენ. მომხდართან დაკავშირებით დაწვრილებით ისაუბრა სოსო ფილიამ. აი, რა გვითხრა მან: „ჩემპიონატის დაწყებამდე, როდესაც ბულგარეთში ვიყავით შეკრებაზე, კახას დავუკავშირდით. გვსურდა, ჩვენს გუნდში ეთამაშა. სატელეფონო საუბრისას შევთანხმდით პირობებზე და შეხვედრა ფოთში დავთქვით, რათა ხელშეკრულებაზე ხელი მოგვეწერა. მართლაც კვეტენაძე 23 ივლისს გვეწვია და ვინაიდან კლუბის ვიცე-პრეზიდენტი იმ დღეს მოუცლელი იყო, კონტრაქტის გაფორმება მეორე დღისთვის გადავდეთ. 24 ივლისს ორივე მხარემ ხელი მოაწერა ორწლიან კონტრაქტს, რომლითაც კვეტენაძის ფინანსური პირობები ეფუძნებოდა.

ერთი შეხედვით ყველაფერი ჩინებულად მოგვარდა და ცოტა ხანში კახამ უცნაური და მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — მან უკვე შეთანხმებული პირობების გაუმჯობესება გვთხოვა. კლუბის მესვეურებმა დიდსულოვნება გამოიჩინეს და ფეხბურთელის წინადადებას დათანხმდნენ, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და კვეტენაძემ პირობა დაარღვია — დანაპირები ან დღესვე გამინადღეთ, ან აქ გამჩერებელი არ ვარო. შეუძლებელს ითხოვდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დავთმეთ — დავპირდით, რომ თანხის ნაწილს იმ დღესვე მივცემდით, ნაწილსაც 31 აგვისტომდე გადავიხდიდით. მოვიფიქრებო გვითხრა და უმალ ტელეფონზე გადარეკა. საერთოდ, მოლაპარაკებებისას ხშირად იქცეოდა ასე, ეტყობოდა, რომ თავის თავს ვერ მართავდა და სხვისი ინსტრუქციით მოქმედებდა. მოკლედ, იგი თავის მოთხოვნაზე დარჩა, რისი შესრულებაც ჩვენს ძალებს აღემატებოდა. საშინლად გაწბილებული და იმედგაცრუებული დავრჩი. მაგრამ, იქნებ სჯობდეს კიდეც ჩვენი გზები რომ გაიყარა".

კახა კვეტენაძე კი კარიერის გასაგრძელებლად უკრაინაში გამგზავრებულა.

ბაბა კვანტალიანი

ყველაზე სწრაფები საქართველოში

ჯანაშია ლოკომოტივს აჩქარებს

ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი თავდამსხმელი დავით ჯანაშია თამაშს თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელებს. ის საქართველოს ჩემპიონებს წინა სეზონის დამთავრებისთანავე დაშორდა და აქამდე უგუნდოდ იყო.

„ლოკომოტივში" ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ფორვარდი სამი-ოთხი დღეა, რაც ჩაირიცხა, თუმც კი ჩემპიონატის ორი ტურის, იქნებ მეტის, გამოტოვება მაინც მოუწევს. გუნდის მწვრთნელ კახა ცხადაძის თქმით, დავით ჯანაშიას აქილევსის მყესები აწუხებს, კარგა ხნის უვარჯიშებელია და ფორმის აღსადგენად დრო სჭირდება.

შეგახსენებთ, ჯანაშია თავის დროზე ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ „სამტრედიაში" თამაშობდა, საიდანაც სოჭში გადაბარგდა და ერთი წელი „ეემჩუკინაში" დაჰყო, 1997 წელს კი „ტორპედოში" დაბრუნდა და ქუთაისელებს ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონებაში დაეხმარა.

თბილისის „ლოკომოტივს" კი საქართველოში ყველაზე სწრაფი თავდამსხმელები დაუგულებია — ჯანაშიას პარტნიორობას მამუკა რუსიაც გაუწევს, ქართველ ფეხბურთელებთაგან, ალბათ, ყველაზე უსწრაფესი ფორვარდი. თუმც ჯანაშიას არ იყოს, ამჟამად რუსიაც ტრავმირებულია.

ლუკა თალაკვაძე



დავით ჯანაშია

ინტერი — უოტფორდი. ტრიბუნაზე მოკალათებული რონალდო „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ მოიკითხა

ანდრეი, ლენკა და ვალერი

ფედერაციას რუსულად დაელაპარაკებიან

რევიზია უზის ფედერაციას — შვეიცარიიდან სპეციალური კომისია აუდიტორულ შემოწმებაზეა მივლინებული სფფ-ში. უეფას პარტნიორმა, შვეიცარიულმა ფირმა „ERNST AND YUNG"-მა საამისოდ ორი რუსულადმოლაპარაკე მოხელე შეარჩია. ლენკა ტუჩეკი და ანდრეი პროკოპჩიკი 3 აგვისტოს მოითავებენ საქმეს და მერე უეფას უპატაკებენ.

6 აგვისტოს კი უკვე ახალი სტუმარი ეყოლება სფფ-ს — ფიფას წარმომადგენელი მოსკოვში ვალერი ჩუხრი. საქმე ისაა, რომ ფიფა პროგრამა „გოლით" აპირებს 400000 დოლარი გამოუყოს ჩვენს ფედერაციას ნაკრების ბაზის მშენებლობისთვის. როგორც ადრე გაუწყეთ, სფფ-ს უკვე შერჩეული აქვს ფართობი აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე და პროექტიც გამზადებულია. ვალერი ჩუხრიც ადგილზე გაეცნობა საქმის ვითარებას და იმედია ერთ-ორ სიტყვას შეგვაწევს. სფფ-სთვის თანხის გამოყოფა პრაქტიკულად გადაწყვეტილი კია, თუმც საამისოდ ფიფამ ჩვენი ფედერაციის პროექტი ოქტომბერში უნდა დაამტკიცოს.

დავით თავართქილაძე

დავით მუჯირს მუშაობა უნდა

ავსტრიული „შტურმის" ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი ნელ-ნელა ეჩვევა ახალ გარემოს. ფაქტია, ვერ დავიჩემებთ, დათოს ყველაფერი ჩინებულად აეწყოო. ჯერ მხოლოდ რამდენიმე წუთით შეუშვა ივიცა ოსიმმა მოედანზე, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერი უნდა იყოს.

მუჯირი დღეს სტუმრად „ბრეგენცის" დაუპირისპირდება. ყოველ შემთხვევაში, ოსიმმა ჩვენებური თან იახლა. იქიდან დაბრუნებული დათო, ალბათ, საბოლოოდ მოეწყობა და საკუთარ ბინაშიც გადაბარგდება.

ბინის პრობლემის მოგვარების შემდეგ მუჯირს სამუშაო ვიზის ამბავიღა აფიქრებს — დღე-დღეზე მუშაობის უფლებას ელის. მანამდე კი ავსტრიული ფეხბურთის მამებმა „შტურმის" ახალწვეულს დროებით თამაშის ნება დართეს. ნებართვის ვადა სწორედ დღეს, „ბრეგენცისთან" თამაშის შემდეგ იწურება.

დათო დანელია

ავსტრია

V ტური

ზალცბურგი 0:1 რაპიდი

უეფა

XV ტური

გიოტებორგი 0:2 იურგორდენი

შვეიცარია

B ჯგუფი

გადადებული მატჩი

ვადუცი 4:1 თუნი

ამხანაგური მატჩი

ინტერი 2:1 უოტფორდი

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე მატჩი

ლუგანო (შვეიცარია) 2:1 შახტარი (დონეცკი, უკრაინა) (0:3)

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1 წთ / 50 თეთრი)

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი ეტაპი პირველი

1 ტური

ბიბლიოთეკა

მეცამეტე ქართულად დაიწყო
მსაჯი, მზე და კოლო

ნუსრი ბარდაროვის ფოტო

ვეტერინარები მსაჯს ემართლებიან, რუსთაველები კი სტუმართა დაწყნარებას ცდილობენ

დაიწყო... ისე, როგორც აქაურობას ეკადრება. დაიწყო მოულოდნელობებით, სკანდალებით და წუთიერი დუმილით. დღეს ისეთია საქართველო, რომ საგლოვი ბევრია და მათ შორის ქართული ფეხბურთის უკულმართი ბედისწერაც.

მეცამეტე ჩემპიონატის პირველმა ტურმა ქართული კლუბების არაერთი ნაკლი გამოაჩინა. ჩვენი გუნდები ისევ მოიკოჭლებენ ფიზმომზადებაში, ღარიბები არიან ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით და უამრავ შეცდომასაც უშვებენ. ზოგიერთი მწვრთნელის განცხადებით, ამდენი ხარვეზი მხოლოდ დასაწყისის ბრალია. გუნდებს ჯერ ვერ უპოვიათ თავიანთი თამაში და ფეხბურთელებიც არ არიან სასურველ ფორმაში.

როცა სეზონის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მწვრთნელმა არ იცის, ამა თუ იმ ადგილზე რომელი მოთამაშე დააყენოს, მაშინ აშკარად ცუდადაა საქმე. გამოდის, ფუჭად ჩაუვლია მთელ მოსამზადებელ პერიოდს.

შაბათს, პირველი ტურის დასრულებიდან რამდენიმე წუთში, ჩვენი მწვრთნელებიდან ზოგი მსაჯს უჩიოდა, ზოგიც კოღოსა და სიცხეს. გამონაკლისი ერთი-ორიღა იყო. მათ ნართაულად, მაგრამ თავიანთი კლუბის თავკაცებისკენ გაიშვირეს ხელი.

ჩივილი, ჩივილი... საწუხარი ბევრია. ისიც, რომ მეცამეტე ეროვნულმა სიახლე და ახალი სახელი ჯერ ვერ გამოაჩინა. ვარლამ კილასონია, კახა გოგიჩაიშვილი, მიხეილ აშვეთია... სასიხარულო და მისასალმებელია, ისინი კვლავ მაღალ ოსტატობას რომ გვიჩვენებენ, მაგრამ მაინც ძველები არიან. მათ უნდა ითამაშონ, მაგრამ ხომ უნდა გამოჩენილიყო თუნდაც ერთი ძალიან ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი?! ამ მხრივ ბოლო წლებში ცუდად გვაქვს საქმე და ეს დიდი პრობლემაა.

ჩემპიონატი ერთი ტურის დაწყებულია და მსაჯობაში პრობლემამ იჩინა თავი. არ მსურს, დასაწყისიდანვე ჩვენი არბიტრებისადმი კრიტიკულად განვწყო და ისიც კარგად მესმის, რა ზეწოლასაც განიცდიან. ვიცი, რომ ამ ხალხმა შეკრების მოსაწყობი ფული საკუთარი ჯიბიდან გაიღო, მოაკლო ოჯახს, იწვალა, ოფლი ღვარა, მაგრამ...

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის განცხადებით, ჩვენმა მსაჯებმა კუპერიც ბრწყინვალედ ირბინეს და თეორიაშიც შესაშური ცოდნა გამოამჟღავნეს. ამის შემხედვარე სტუმარი უეფადან გაოცებისგან გადაგვერიაო, გვიმტკიცებდნენ. ჰოდა, თუ ასეთები არიან ქართველი არბიტრები და რაც ითქვა, მართალია, მაშინ ერთი კითხვით მივმართავთ სამსაჯო კომიტეტს — ჩემპიონატში რაღა ემართებათ?

შეცდომისგან აბა, ვინაა დაზღვეული, მაგრამ მაღალკვალიფიციურ მსაჯს პირველივე ტურში საბედისწერო შეცდომა არ უნდა მოსდიოდეს. შეცდომა, რომელიც არბიტრის კარიერას საშიშროებას შეუქმნის.

ზოგან დროშა გვიან ასწიეს, ზოგს საქართველოს ჰიმნის მოსმენისას ფეხზე წამოდგომა დაეზარა. იქ შეცდომა, აქ აყალმაყალი... ქომაგებს კი აბრუებენ ზღაპრებით, თითქოს დღეს თუ არა, ხვალ მაინც ჩვენში ფეხბურთის დრნე შესამჩნევად ამაღლდება. ჩვენი „დინამო" ორ წელიწადში „მანჩესტერს" მოუგებს და ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება. ტყუილი ქადაგება, თავის და სხვისი მოტყუებაა ყოველივე, რადგან დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ყოფიდან გამომდინარე, არ შეიძლება ფეხბურთს რამე ეშველოს.

მეცამეტე ეროვნული ტრადიციების მსხვრევით დაიწყო. მოხდა სასწაული ფოთში, „კოლხეთმა", ბოლო წლებში ჩემპიონატის სადებიუტო მატჩი რომ არ მოუგია, შაბათს ნავსი გატეხა და საცოდავ „სამგურალს" ერთბაშად ექვსი გოლი გაუტანა.

თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ" თავის წინაპრის, „მორკინალის" დანერგილი ტრადიცია ვერ შეინახა. აქამდე ისინი ყველა სადებიუტო თამაშში იმარჯვებდნენ, მაგრამ რუსთავში ვიტელებს ფორტუნამ ზურგი აქცია და „გორდამაც" იხეირა.

ფორტუნამ კი არა, ზურგი მსაჯმა პაატა დოგრაშვილმა გვაქციაო, შემოგვედავება ვეტერინართა იტალიელი თავკაცი ჯანი კარნევალი. „ჩვენ ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს, „გორდას" თერთმეტმეტრიანზე კი საუბარიც არ მსურს" — აღშფოთებას ვერ მალავდა იტალიელი.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტთან არსებულ საექსპერტო-სადისციპლინო კომისიას თავის გაფართოებულ სხდომაზე რუსთავული მატჩის შესახებ არაფერი უთქვამს. ასე გამოცხვა მეცამეტე ეროვნულის პირველი სენსაციაც.

ვიტელთა დამარცხებაში ლომის წილი უფროსმა კილასონიამ დაიდო. ორი თავად გაიტანა და ერთიც „ვიტ ჯორჯიადან" იჯარით აყვანილ რევაზ გოცირიძეს გაატანინა.

მეორე ტაიმში წაგების საფრთხის წინ იდგნენ რუსთაველები. „ვიტ ჯორჯიამ", უპირველესად გოგობერიშვილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით, ორბურთიანი ჩამორჩენა გაქვითა და... მერე მსაჯმა გვიღალატაო, იმეორებს ჯანი კარნევალი.

ექვსჯერ დაარტყა კარში „კოლხეთმა" და ექვსჯერ გაამწარა მეტოქე. სამჯერ დაარტყეს რუსთაველებმა და სამჯერ გაიხარეს. სამიზნე გაისწორეს ჩვენმა ფეხბურთელებმა თუ უბრალოდ, შემთხვევითობას მივაწეროთ? ამას მომდევნო ტურები გამოაჩენს.

ჩემპიონმა „ტორპედომ" პირველი სამი ქულა მიითვალა. თავისი უპირველესი კონკურენტი საჩემპიონო დავაში, „ლოკომოტივიც" დამარცხა და მსაჯის კარიერაც შეიწირა. წითელი არ უნდა ამოეკორტნოთ, ეთქვა ალექსანდრე შილაკაძეს უფროსობა და ეროვნულ ჩემპიონატებში მსაჯობა აუკრძალეს.

ძალიან მკაცრი განაჩენია... არა, სულაც არ ვაპირებ შილაკაძის დაცვას, შეცდომებისთვის უნდა ზღოს კიდეც, მაგრამ ერთი ცოდვისთვის მისი სამუდამოდ მოკვეთა მაინც ზედმეტად მკაცრი განაჩენი მგონია.

„დინამო" ჯერაც გადაღლილია, თუმც საშინაო მატჩში „სიონის" დამარცხება დიდად არ გასჭირვებია. საყრდენს ეძებს „დინამო" და, ალბათ, ბელარუსებთან შეჭიდებამდე იპოვის კიდეც.

„სიონს" კი მიზნად უმაღლეს ლიგაში დარჩენა განუზრახავს და არა მგონია, ეს პრობლემად იქცეს.

უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა „გურია" საშინაო ფრით. იებდნენ ლანჩხუთელები და სწორედ ამან შეაშინა „გურია", ვერ გაძლო ბოლომდე. ისე, „მერანს" რომ მოეგო, არავის გაუკვირდებოდა. ჰქონდათ კიდეც ავჭალელებს მომენტები, მაგრამ მასპინძელთა მეკარე გუბაზ დოლიძე მდგარა მისი მოგვარე სიმონასავით — საიმედოდ და კლდესავით.

ბათუმში კი მართლა ფეხბურთი გაჩაღებულა და რომ არა ასლან ბალაძის დროული შეცვლები და ცოტაც გამართლება, შაბათსვე კიდევ ერთი სენსაცია გამოცხვებოდა.

შვიდი წუთი დააკლდა ვასილ ჭეიშვილის „მეტალურგს" და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ქულას წაიღებდა ზესტაფონში. გული დასწყვიტა სტუმრებს პაატა მაჭუტაძემ. ისევ ნაცადმა ძველმა გვარდიამ გამოიჩინა თავი. მარცხის მიუხედავად, „მეტალურგმა" სიმპათიური, მებრძოლი გუნდის იმიჯი შეიქმნა.

მასპინძელთა სრული უპირატესობა და სტუმრის ერთადერთი ფრე, ასეთი იყო მეცამეტე ჩემპიონატის პირველი ტური. 21 გოლი იხილეს ქომაგებმა, რომლებსაც ფეხბურთის მიმართ მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ. მეთორმეტე ეროვნულის პირველ ტურში სულ 11 გოლი გავიდა. ათით ნაკლები, ვიდრე შაბათს. ამაში ნამდვილად წინსვლა შეინიშნება, თუმც საერთო აღმავლობისთვის მეტად არამყარი საფუძველია.

გამუცა ძვანტალიანი

ბოლნისელთა უიშვიათესი შეტევა დინამოელთა დაცვამ და მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა იოლად მოიგერიეს

ფაბრა დოლიძეს ფოტო

სიმბოლური ნაკრები



უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 კოლხეთი	1	1	0	0	6:0	6	3	1	1	0	0	6:0	6	3	0	0	0	0	0:0	0	0
2 ბათუმი	1	1	0	0	3:1	2	3	1	1	0	0	3:1	2	3	0	0	0	0	0:0	0	0
3 ტორპედო	1	1	0	0	2:0	2	3	1	1	0	0	2:0	2	3	0	0	0	0	0:0	0	0
4 დინამო	1	1	0	0	2:0	2	3	1	1	0	0	2:0	2	3	0	0	0	0	0:0	0	0
5 გორდა	1	1	0	0	3:2	1	3	1	1	0	0	3:2	1	3	0	0	0	0	0:0	0	0
6 გურია	1	0	1	0	1:1	0	1	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
7 მერანი	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	1:1	0	1
8 ვიტ ჯორჯია	1	0	0	1	2:3	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	2:3	-1	0
9 მეტალურგი	1	0	0	1	1:3	-2	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	1:3	-2	0
10 ლოკომოტივი	1	0	0	1	0:2	-2	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:2	-2	0
11 სიონი	1	0	0	1	0:2	-2	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:2	-2	0
12 სამგურალი	1	0	0	1	0:6	-6	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:6	-6	0

კობიაშვილი იწყებს იმას, რასაც ყაველაშვილი აგრძელებს

სახელი	გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია									
ბუნდესლიგა									
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ვერდერი 3:0	21	შეცვლაზე ითამაშა	1	0	2
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	ვერდერი 3:0	90	1 გოლი, პენ.	1	1	2
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ვერდერი 3:0	29	შეცვლაზე ითამაშა	1	0	2
გიორგი	კიკნაძე	ფრაიბურგი	შ	ვერდერი 3:0	0		0	0	2
ზაზა	ზამთარაძე	ფრაიბურგი	შ	ვერდერი 3:0	0		0	0	2
არჩილ	არველაძე	კიოლნი	ს	შტუტგარტი 0:0	0	ტრავმირებულია	0	0	7
მეორე ბუნდესლიგა									
გიორგი	დეკანოსიძე	ფიურტი	შ	ობერჰაუზენი 2:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	8
შოტლანდია									
პრემიერლიგა									
გიორგი	ნემსაძე	დანდი	ს	დ. იუნაიტედი 2:2	90		1	0	5
ზურაბ	ხიზანიშვილი	დანდი	ს	დ. იუნაიტედი 2:2	90		1	0	5
შვეიცარია									
უმაღლესი დივიზიონი									
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	შ	ბაზელი 2:0	90		4	0	1
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	შ	ბაზელი 2:0	78	1 გოლი, შეცვალეს	5	5	1
ლევან	ხომერიკი	არაუ	ს	სენტ გალენი 1:1	0	ტრავმირებულია	0	0	4
ავსტრია									
უმაღლესი ლიგა									
დავით	მუჯირი	შტურმი	ს	აუსტრია 1:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	1	0	6
		შტურმი	შ	კერნტენი 3:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	1	0	4
რუსეთი									
უმაღლესი ლიგა									
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი	შ	დინამო 4:1	0	სათადარიგო	17	2	3
ვლადიმერ	კაკაშვილი	ლოკომოტივი	შ	დინამო 4:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ოთარ	ხიზანეიშვილი	როსტსელმაში	ს	სპარტაკი 1:5	45	შეცვალეს	3	0	11
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში	ს	სპარტაკი 1:5	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	11
კახა	მჟავანაძე	სპარტაკი	შ	როსტსელმაში 5:1	0	სათადარიგო	1	0	1
დავით	ქოქიაშვილი	სპარტაკი	შ	როსტსელმაში 5:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
პაატა	ჯინჭარაძე	სოკოლი	შ	სატურნი 0:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	7
პირველი ლიგა									
		კრისტალი	შ	ნ. ნოვგოროდი 3:0	90		10	0	8
ზვიად	ჯელაძე	კრისტალი	ს	ვოლგარი 2:2	0		10	0	8
		კრისტალი	შ	ტომი 1:1	90		11	0	9
		კრისტალი	შ	ნ. ნოვგოროდი 3:0	90		13	0	8
თენგიზ	სიჭინავა	კრისტალი	ს	ვოლგარი 2:2	0		13	0	8
		კრისტალი	შ	ტომი 1:1	90		14	0	9
		კრისტალი	შ	ნ. ნოვგოროდი 3:0	53	გააძევეს	11	0	8
თეიმურაზ	გადელია	კრისტალი	ს	ვოლგარი 2:2	0		11	0	8
		კრისტალი	შ	ტომი 1:1	73	1 გოლი, შეცვალეს	12	1	9
		ბალტიკა	ს	სპარტაკი 0:2	90		9	0	16
გიზო	ჯელაძე	ბალტიკა	შ	გაზ-გაზი 2:0	90		10	0	15
		ბალტიკა	ს	არსენალი 0:0	90		11	0	15
		სპარტაკი	შ	ბალტიკა 2:0	0		7	0	4
იური	გაბისკირია	სპარტაკი	ს	ყუბანი 1:3	45	შეცვლაზე ითამაშა	8	0	5
		სპარტაკი	შ	ნეფტეხიმიკი 3:0	32	შეცვლაზე ითამაშა	9	0	5
უკრაინა									
უმაღლესი ლიგა									
		ტავრია	შ	კარპატი 3:0	77	შეცვალეს	1	0	2
გოჩა	ტრაპაიძე	ტავრია	ს	ზაკარპატია 2:2	90	1 გოლი	2	1	9
		ტავრია	შ	კარპატი 3:0	88	შეცვალეს	1	0	2
ვასილ	გიგიაძე	ტავრია	ს	ზაკარპატია 2:2	90	1 გოლი	2	1	9
		ტავრია	შ	კარპატი 3:0	0		0	0	2
შოთა	ჩომახიძე	ტავრია	ს	ზაკარპატია 2:2	90		1	0	9
		ცსკა	ს	პოლ-ტეხნიკა 0:1	90		2	0	13
ლევან	მიქაძე	ცსკა	შ	მ. დონეცკი 0:1	55	შეცვალეს	3	0	14
		ცსკა	ს	კარპატი 0:1	90		4	0	14
პოლონეთი									
უმაღლესი ლიგა									
მამია	ჯიქია	რუხი	შ	სტომილი 2:1	90		1	0	6
		რუხი	ს	პოგონი 0:0	90		2	0	7
ლატვია									
უმაღლესი ლიგა									
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	ს	სტალკერსი 9:0	0		6	1	2
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	ს	სტალკერსი 9:0	45	შეცვლაზე ითამაშა	8	1	2
დავით	ჩალაძე	სკონტო	ს	სტალკერსი 9:0	13	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	9	3	2
ლევან	კორლალიძე	სკონტო	ს	სტალკერსი 9:0	90		12	3	2
გივი	კვარაცხელია	სკონტო	ს	სტალკერსი 9:0	0		3	0	2
		რიგა	ს	ვენტსპილსი 1:6	90		1	0	7
თამაზ	პერტია	რიგა	შ	დაუგავა 1:1	90		2	0	7
		რიგა	შ	მეტალურგსი 1:3	41	გააძევეს	3	0	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ჯერ მხოლოდ ევროპის ნაწილი ჩაერთო ახალ საფეხბურთო ფერხულში, თუმცა სადაც დაიწყო ჩვენთვის კარგად დაიწყო. აი, ბუნდესლიგაში პირველი ტური ჩატარდა და ისე როგორ მოხდებოდა ჩვენს ფრაიბურგელებს თავი არ გამოეჩინათ. ეგ არის, ხუთი ქართველიდან ძირითადში მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა. ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილი მწვრთნელებმა ბოლო ნახევარ საათს გაიყვანეს მინდორზე, გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე კი განაცხადშიც არ ყოფილან.

მოკლედ, კობი თავიდან მარტო იყო, მაგრამ ეს მარტობა ჩინებული თამაშით გაიქარწყლა. „ფრაიბურგმა“ რომ არცთუ ხელწამოსაკრავ „ვერდერს“ 3:0 მოუგო, ამაში დიდი წილი ქართველსაც უდევს. ლევანს თავიდანვე ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ მეკარე როსტმა იყოჩაღა. მეორე ტაიმის დასაწყისში ცაიერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად დაარტყა კობიაშვილმა და წლევანდელ სეზონში „ფრაიბურგის“ პირველი ოფიციალური გოლის ავტორიც გახდა. ქართველს კიდევ შეეძლო გატანა, გარდა ამისა, ის თამაშსაც ხშირად ამწვავებდა, რაც მასპინძელთა მიერ არჩეული სწრაფი ფეხბურთის სქემაში მშვენივრად ჯდებოდა.

„ფრაიბურგმა“ მოიგო და მართალია ჯერ სიმბოლურია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. ეგებ წლეულს ფოლკერ ფინკეს გუნდმა შარშანდელი კარგი შედეგი კიდევ უფრო გაუმჯობესოს.

შვეიცარიაა და ჩვენს მიხეილ ყაველაშვილს ვეღარ აჩერებენ. „ბაზელთან“ საშინაო მატჩშიც პირველი მიშამ გაიტანა. „ციურიხი“ გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს, ყაველაშვილს კი ხუთი თამაშიდან ხუთი გოლი მოუგროვდა. დაგვეთანხმებით, ასეთ შედეგს ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მაღალი დონის თავდასხმელიც ინატრებდა. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ მიშამ მიზანი გაისწორა. გეხსომებათ, მას ხშირად ისეთები ვერ გაუტანია რომ...

ჩვენებურებმა თავი უკრაინაშიც გამოიჩინეს. სიმფეროპოლის „ტავრია“, სადაც სამი ქართველი თამაშობს, ინტერტოტოზე ცდიდა ძალებს და ეროვნული ჩემპიონატიდან თავისუფალი იყო, ამიტომაცაა, რომ გასულ უქმეებზე მეოთხე ტურში მხოლოდ მეორე მატჩი გამართა უჟგოროდში „ზაკარპატიასთან“. მასპინძლებმა დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე მოახერხეს გათანაბრება, მანამდე სიმფეროპოლელები გიგიაძისა და ტრაპაიძის გოლებით იგებდნენ.

ფრის მიუხედავად, დაკარგული ქულებით „ტავრია“ კვლავაც ლიდერთა შორისაა. აი, ლევან მიქაძის ცსკა-მ კი სეზონი ერთობ სუსტად დაიწყო, ოთხი თამაშიდან ოთხივე წააგო და უქულოდ ჯერჯერობით ფსკერზეა დალექილი.

სეზონი ყალიბში დგება ლატვიაშიც. იქ ჯერ ბალტიის თასის გათამაშებამ, მერე კი „სკონტოს“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ წრეში მონაწილეობამ რამდენიმე მატჩი გადადო. ასე მაგალითად, „სკონტომ“ ბოლო ერთი თვის მანძილზე მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა, „რიგას“ კი არაფერი გამოუტოვებია და თამაშს თამაში მიაყოლა. ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ „რიგას“ ძირითადში თამაზ პერტია გამოჩნდა. სამი შეხვედრა ჩაატარა და ბოლოს ლიდერ „მეტალურგსთან“ ზედმეტიც მოუვიდა, პირველი ტაიმის ბოლოს გააძევეს.

აი, ასეთი ამბებია ჩვენს ლეგიონში.

სოლომონ გულისაფშილი

წლეულს „ფრაიბურგმა“ ლევან კობიაშვილის გოლით დაიწყო

გიორგი ყიფიანი

ბაბრი ჯიმლაძის ფოტო

საჯაია ცივ რუსეთში, ყიფიანი ცხელ წერტილში

„ვიტ ჯორჯიას“ განაცხადში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ თავიანთი ადგილი იმ „დოკუმენტში“ მცველ ედიკ საჯაიასა და ნახევარმცველ გიორგი ყიფიანსაც აქვთ დაჯავშნული. ორივე ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრებაა და სხვაგვარად როგორ იქნებაო, გაიკვირვებს მკითხველი, მაგრამ საქმე ისაა, რომ დღეს საჯაიაც და ყიფიანიც საქართველოში არ არიან.

ორივეს დიდი ხანია, უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. საჯაია შოტლანდიურ „დანდიში“ ისინჯებოდა, ყიფიანით შვეიცარიული „ლუგანო“ იყო დაინტერესებულიო. რატომღაც არ გამოვიდა მათი ტრანსფერი და ახლა საჯაია მოსკოვში იმყოფება, ხოლო ყიფიანი ისრაელში.

ახალგაზრდული ნაკრების მცველი ედიკ საჯაია რუსულ „ლოკომოტივში“ ისინჯება. იური სიომინი, ალბათ, უახლოეს მომავალში იტყვის საბოლოო სიტყვას. მოსკოველ რკინიგზელთათვის სიომინის განაჩენი კასაციას არ ექვემდებარება. ისე გასაკვირიც კია, ზაზა ჯანაშიას გადამკიდე, სიომინი ქართველების მიმართ ასეთ ინტერესს როგორ იჩენს. ჯანაშიასა და მის უმცროს ძმაზე რომ არაფერი ვთქვათ, „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდის კაპიტანია ვლადიმერ კაკაშვილი, ხოლო საბავშვო გუნდში კიდევ რამდენიმე ქართველი ვარჯიშობს. მოკლედ, „ლოკომოტივის“ ქართველთა რაოდენობა იზრდება.

საჯაია გასინჯვაზეაო, ვთქვით და გიორგი ყიფიანის საქმე გაცილებით იოლადაა. ის კი არა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე გაჩარხულია. ყიფიანი გუშინწინ გაემგზავრა ისრაელში. მას იქაურ უმაღლეს ლიგაში ახალაზევებულ კირიატ გატის „მაკაბიში“ ელოდნენ. კლუბებს შორის მოლაპარაკება დასრულებულია და გიორგი მხოლოდ საკუთარი პირობების შესათანხმებლად და სათამაშოდ წასულა. კირიატ გატის „მაკაბისთვის“ ყიფიანი მეორე ქართველია. უმაღლეს ლიგაში აღზევებაში თავისი წვლილი გოჩა ქოქოშვილმაც შეიტანა.

„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძის თქმით, ყიფიანი ებრაელებს ერთწლიანი იჯარით დაუთმეს, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იქნება საბოლოო ტრანსფერზე საუბარიო. ასე რომ, საჯაიაც და ყიფიანიც ჯერჯერობით ვეტერინარები არიან. განაცხადშიც ამიტომ შეიყვანეს, რა ვიცით, რა ხდებაო, ამბობენ ვიტელები.

დათო დანელია

საქართველოს XIII ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განაცხადები

„ტორპედო“ ქუთაისი

1.	დავით გვარამაძე	08.11.75	185/84
2.	ზვიად სტურუა	25.04.78	191/88
3.	ვახტანგ აკოფიანი	05.08.75	181/78
4.	ვალერი აბრამიძე	17.01.80	186/81
5.	რევაზ ქემოკლიძე	13.03.79	185/82
6.	მიხეილ მახვილაძე	22.07.78	182/76
7.	სევასტი თოდუა	13.05.76	185/82
8.	ვახტანგ ხვადაგიანი	04.04.72	192/86
9.	გივი დიდავა	21.03.76	184/72
10.	რომან აბალკაცი	20.02.81	182/73
11.	მალხაზ ასათიანი	04.08.81	184/76
12.	პაატა გვირჯიშვილი	17.02.78	179/74
13.	ზურაბ იონანიძე	02.12.71	183/76
14.	ზვიად ქუთათელაძე	01.08.79	168/61
15.	მიხეილ აშვეთია	10.11.78	181/77
16.	ბორის გონჩაროვი	08.07.79	184/74
17.	გიორგი შენგელია	30.01.79	178/69
18.	შოთა ბაბუნაშვილი	17.11.80	178/68
19.	დიმიტრი პარამონოვი	1980	188/74
20.	ცეზარ ხუროძე	19.09.81	177/75

პრეზიდენტი: ზურაბ ხინიკაძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

„ლოკომოტივი“ თბილისი

1.	გიორგი ლომაია	28.08.79	193/83
2.	გიორგი ბალაშვილი	07.08.73	175/69
3.	კახა გოგიჩაიშვილი	31.10.68	176/70
4.	აქვსენტი გილაური	06.08.69	178/70
5.	დავით ჭიჭვეიშვილი	23.01.75	189/82
6.	ლაშა სალუქვაძე	21.12.81	184/80
7.	ზაზა ლაცაბიძე	05.10.75	190/80
8.	დავით ბაქრაძე	06.01.79	176/67
9.	როინ ონიანი	14.01.75	183/75
10.	გიორგი ანჩაბაძე	04.01.73	180/72
11.	დავით დათვაძე	09.07.77	168/60
12.	ალეკო კაიდარაშვილი	02.11.78	183/75
13.	კახა ცხადაძე	07.09.68	188/80
14.	დავით გოდერძიშვილი	13.05.73	170/65
15.	მამუკა რუსია	27.11.74	173/69
16.	გიორგი დავითნიძე	18.07.78	185/81
17.	გელა ქორიძე	22.08.73	184/80
18.	მერაბ ძოძუაშვილი	04.11.80	184/74
19.	დავით ჯანაშია	07.08.72	174/70
20.	მურთაზ შელია	25.03.70	188/90

პრეზიდენტი: აკაკი ჩხაიძე
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

„დინამო“ თბილისი

1.	სოსო გრიშიკაშვილი	25.12.73	186/82
2.	ზურაბ ბათიაშვილი	06.02.80	182/70
3.	რამაზ სვანაძე	02.03.81	175/68
4.	გიორგი შაშიაშვილი	01.09.79	185/70
5.	ილია კანდელაკი	16.12.81	181/71
6.	ჯონი შალამბერიძე	29.09.75	180/78
7.	მიხეილ მაზიაშვილი	12.04.76	174/65
8.	თორნიკე აფციაური	28.11.78	175/68
9.	ვლადიმერ ბურდული	26.10.80	174/74
10.	გიორგი გაბიდაური	06.12.79	180/74
11.	ლევან შავგულიძე	23.11.80	184/77
12.	გიორგი მანწკავა	25.10.81	180/70
13.	მიხეილ ხუციშვილი	28.01.79	183/76
14.	რობერტ ზირაქიშვილი	13.03.75	177/68
15.	გიორგი ვ. მიქაძე	21.03.80	180/73
16.	მიხეილ ბობოხიძე	23.11.81	182/74
17.	არჩილ სახვაძე	10.03.78	184/77
18.	ირაკლი ვაშაკიძე	13.03.76	189/82
19.	ვიტალი დარასელია	27.09.78	180/73
20.	ალეკო ამისულაშვილი	20.08.82	187/80
21.	ვახტანგ იაგორაშვილი	02.12.75	180/70
22.	აკაკი მიკუჩაძე	31.11.80	184/69

პრეზიდენტი: რევაზ არველაძე
მწვრთნელი: გივი ნოდია

„ვიტ ჯორჯია“ თბილისი

1.	სერგო ჭურაძე	10.07.77	187/80
2.	მირზა მერლანი	05.10.80	189/75
3.	დავით მამარდაშვილი	17.10.77	189/77
4.	თენგიზ კობიაშვილი	03.12.75	183/75
5.	ედიკ საჯაია	16.02.81	182/78
6.	ჯაბა მუჯირი	07.06.80	185/76
7.	გიორგი ჭანკოტაძე	04.10.77	180/77
8.	ალეკო ინწკირველი	24.08.81	188/79
9.	ლაშა ნოზაძე	18.03.80	181/70
10.	დავით დოლიძე	09.02.80	183/68
11.	ვლადიმერ გოჩაშვილი	05.07.76	190/83
12.	დავით დიღმელაშვილი	18.01.80	182/84
13.	გიორგი ყიფიანი	03.08.78	180/71
14.	ალეკო გოგობერიშვილი	26.02.17	183/82
15.	საბა სულთანიშვილი	25.04.79	176/68
16.	ლევან მელქაძე	12.12.79	185/82
17.	კახა წუწუნავა	22.09.81	175/73
18.	გიორგი ადამია	10.03.81	175/70
19.	გიორგი ქორიძე	19.07.76	180/71
20.	ირაკლი ხაჭაურიძე	11.10.77	182/75
21.	გიორგი არეშიძე	07.11.79	188/81
22.	ზურაბ მეტრეველი	27.03.79	182/69
23.	კახა აბალაძე	19.05.79	174/68

პრეზიდენტი: გურამ რუხაძე
მწვრთნელი: ჯანი ჯარნევალი

„კოლხეთი-1913“ ფოთი

1.	მიხეილ ქობულაძე	07.09.74	182/75
2.	შალვა მუმლაძე	18.08.78	178/78
3.	ზაზა მიქელთაძე	02.02.74	180/79
4.	ლევან აკობია	13.11.80	179/72
5.	მამუკა გვასალია	02.10.67	185/80
6.	კახა გოროზია	18.02.72	175/76
7.	გელა ფანჩულიძე	19.02.68	175/69
8.	ზურაბ ქვაჩახია	25.09.73	183/78
9.	ბიძინა ჩემია	24.02.80	182/72
10.	ვალერი ტორჩინავა	01.02.69	175/68
11.	ილო ქუტიძე	21.01.75	185/79
12.	ბადრი აბვლედიანი	19.10.72	175/76
13.	დავით კვირკველია	27.06.80	178/74
14.	ჰამლეტ წივწივაძე	28.01.74	178/78
15.	ელდარ გვასალია	15.03.72	172/75
16.	გიორგი კრასოვსკი	20.12.79	187/78

პრეზიდენტი: ჯემალ ინაიშვილი
მწვრთნელი: სოსო ფილია

„მერანი“ თბილისი

1.	რევაზ ნაჭყეპია	14.04.72	184/76
2.	გიორგი გაბელია	29.10.77	180/73
3.	ზაზა ცქიფურიშვილი	10.01.75	184/76
4.	ლევან ბაჯელიძე	02.10.78	180/72
5.	იოსებ დევიძე	05.07.80	178/71
6.	მალხაზ ჭინჭარაული	22.04.77	183/71
7.	დავით ბოლქვაძე	05.05.80	178/68
8.	გიორგი ილურიძე	19.10.76	174/68
9.	ალექსანდრე კოშკაძე	04.12.80	175/72
10.	სულიკო დავითაშვილი	11.12.77	174/70
11.	რომეო გოგიტაძე	28.01.71	180/76
12.	ზაზა კვეკვესკირი	18.09.74	179/71
13.	ანდრეი მუხინი	31.01.75	180/72
14.	ვალერი გაგუა	26.02.80	179/73
15.	გიორგი რევაზიშვილი	31.03.77	180/74
16.	ვეფხია ნათობიძე	03.01.82	176/70
17.	გიორგი ხიზანიშვილი	20.01.80	179/72
18.	ირაკლი შენგელია	13.04.81	178/71
19.	თეიმურაზ ჩხაიძე	19.10.79	180/72

პრეზიდენტი: დავით ფურცელაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

„ბათუმი“ ბათუმი

1.	გრიგოლ ჭანტურია	25.09.73	186/80
2.	ირაკლი ბალაძე	02.09.83	183/75
3.	ვახტანგ თურმანიძე	16.01.73	173/69
4.	ზურაბ მინდაძე	13.01.72	170/68
5.	გოდერძი ჩიჩუა	17.12.80	180/76
6.	გიორგი ჩხაიძე	27.02.70	178/68
7.	შალვა ხუჯაძე	05.10.75	175/70
8.	ზურაბ არჩვაძე	30.01.72	170/70
9.	ზვიად გვაზავა	17.09.78	180/78
10.	ვიტალი დარჩიძე	23.09.81	174/66
11.	პაატა მაჭუტაძე	21.04.68	175/68
12.	შალვა აფხაზავა	14.08.80	168/66
13.	ზაზა ბეჟანიძე	27.03.81	171/66
14.	არჩილ რომანაძე	09.10.80	168/66
15.	კახა ქაცარავა	15.10.81	166/58
16.	თეიმურაზ ტულუში	24.02.72	170/64
17.	კახა სიხარულიძე	21.08.74	174/70
18.	კახა კობიძე	01.08.78	172/68
19.	დავით ბოლქვაძე	23.01.79	175/70

პრეზიდენტი: თემურ ბეჟანიძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

„სიონი“ ბოლნისი

1.	თემურ ვოლკოვი	21.09.71	184/78
2.	ნუგზარ დალაქიშვილი	01.05.71	179/78
3.	კახა გოდერძიშვილი	06.09.74	178/71
4.	ნიკო მინდიაშვილი	05.03.75	177/72
5.	კახა სიდამონიძე	17.04.71	188/70
6.	გიორგი ირემაშვილი	05.01.76	184/74
7.	არჩილ შაკიაშვილი	20.11.73	183/84
8.	ბახვა მოსეშვილი	29.01.73	171/65
9.	მურმან გოგოლაძე	26.07.70	183/79
10.	პაატა ბარნოვი	15.11.73	180/76
11.	ბახვა ამბიძე	04.12.72	180/75
12.	ბესიკ შენგელია	09.02.77	176/68
13.	კახა დაუშვილი	09.07.73	170/64
14.	რევაზ გლუნჩაძე	30.04.75	182/77
15.	მამუკა ბანაშვილი	03.04.71	180/71
16.	დავით სვანიძე	14.10.70	181/72
17.	შალვა ისიანი	14.08.78	180/75
18.	ზვიად პაპიძე	22.04.73	175/68
19.	შალვა ლაცაბიძე	25.07.75	178/73

პრეზიდენტი: ზურაბ ლობჟანიძე
მწვრთნელი: ფირუზ რეხვიაშვილი

„გორდა“ რუსთავი

1.	ალექსანდრე ბურნაძე	07.09.74	184/76
2.	არმაზ ჯელაძე	28.06.73	172/67
3.	ალექსანდრე ბუკია	28.05.81	182/74
4.	დავით წიკლაური	24.09.79	186/75
5.	ალეკო კიტეიშვილი	14.08.76	170/68
6.	მიხეილ სახვაძე	30.12.77	175/68
7.	ლაშა სილაგაძე	24.01.79	178/72
8.	გიორგი მიშველიძე	18.02.73	173/68
9.	მამუკა მელაძე	14.02.74	173/70
10.	პავლე ბექაური	02.01.72	170/63
11.	დავით ბერიძე	11.11.76	175/70
12.	კახა ალადაშვილი	30.08.75	174/68
13.	ზურაბ ლაბაძე	27.02.75	180/73
14.	ზვიად ლაბაძე	13.09.82	180/76
15.	ვარლამ კილასონია	13.08.67	175/72
16.	ანდრო კოროშინაძე	29.09.72	180/75
17.	ივანე ჯუღელი	14.04.69	178/70
18.	ზვიად ხაჩირაშვილი	19.06.79	180/70
19.	ამირან კედელაშვილი	10.07.76	175/70
20.	რევაზ გოცირიძე	17.01.81	180/72
21.	ალექსანდრე გელაძე	19.11.72	187/80

პრეზიდენტი: თემურ ბუილლიშვილი
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

„გურია“ ლანჩხუთი

1.	გუბაზ დოლიძე	06.11.69	180/75
2.	როინ მარღიშვილი	04.09.71	170/70
3.	გენადი კაციაშვილი	03.10.70	172/67
4.	სერგო ორბელაძე	01.05.82	183/71
5.	თამაზ გაბრიჭიძე	08.02.68	184/73
6.	გოჩა სულაკაძე	28.05.78	176/63
7.	ირაკლი ფაცურია	22.12.77	174/67
8.	ზაზა პატარიძე	10.10.73	179/67
9.	თენგიზ პატარაია	11.02.74	180/70
10.	მერაბ კუკულაძე	18.12.69	180/70
11.	თემურ ლორია	18.08.71	187/79
12.	დავით ხუჭუა	02.08.73	175/68
13.	ზვიად ქიქავა	14.10.73	173/69
14.	ალექსანდრე განევი	19.07.74	174/70
15.	ზვიად ენდელაძე	07.04.66	177/70
16.	კახა ებრალიძე	07.03.79	186/75
17.	ალექსანდრე ჩომახიძე	28.10.80	182/74
18.	დავით ოდიკაძე	14.04.81	184/72
19.	ნუკრი მელაძე	13.10.80	176/73
20.	კოტე მეტრეველი	27.08.74	186/74
21.	მალხაზ ვოსკანოვი	07.09.70	169/67

მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე

„მეტალურგი“ ზესტაფონი

1.	ბესიკ ამაშუკელი	01.01.72	171/66
2.	გრიგოლ გვაზავა	30.08.76	182/75
3.	შოთა გოგაძე	21.05.77	176/75
4.	დავით გურეშიძე	02.11.80	172/64
5.	ჯაბა თავბერიძე	08.08.81	181/73
6.	პაატა ლურსმანაშვილი	09.03.71	181/76
7.	ირაკლი მაღლაკელიძე	28.02.73	172/68
8.	გიორგი მემარნიშვილი	28.03.82	180/73
9.	ლევან მერებაშვილი	27.02.79	188/75
10.	რაჟდენ მერკვილიშვილი	01.04.80	186/72
11.	მამუკა ნიქაბერიძე	02.06.69	176/67
12.	თამაზ ოდიკაძე	16.05.78	189/82
13.	გიგა ორმოცაძე	11.01.77	170/65
14.	გიორგი სუხიაშვილი	24.09.71	170/65
15.	დიმა ფირცხალაიშვილი	19.04.81	174/66
16.	მალხაზ ღონღაძე	14.11.69	179/73
17.	გიორგი ქურციკიძე	01.05.78	177/71
18.	ვლადიმერ ჭყონია	06.09.69	185/75
19.	ლაშა ხმალაძე	03.04.81	181/72
20.	ზვიად კრავეიშვილი	02.07.79	168/61
21.	ლევან ჯუფარაძე	01.01.78	177/72
22.	მირიან გეწაძე	18.05.72	185/76

პრეზიდენტი: ნუგზარ მდივანი
მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

„სამგურალი“ წყალტუბო

1.	ოთარ ვარდანიძე	31.12.74	190/79
2.	თედო ბოდოკია	14.07.74	182/75
3.	შოთა ფუტკარაძე	09.12.80	190/82
4.	მალხაზ ჯინჭარაძე	20.03.71	177/71
5.	ბესიკ ბერაძე	20.02.68	172/65
6.	დავით ჭელიძე	06.09.72	177/70
7.	ლევან ქობულაძე	27.01.73	180/71
8.	შოთა დარსაძე	12.02.74	178/70
9.	ზვიად ფხაკაძე	10.01.77	196/75
10.	შალვა ღონღაძე	17.08.78	190/70
11.	შალვა ფრანგიშვილი	03.12.75	178/70
12.	გიორგი მიქაძე	19.01.80	171/62
13.	ზაზა ვაჩიბერაძე	25.10.73	175/68
14.	კახა ჯანაშია	23.07.73	175/69
15.	მამუკა ნებიერიძე	17.08.81	177/65
16.	ამირან ბანძელაძე	25.02.79	175/70
17.	ნიკოლოზ კიკვიძე	07.10.79	175/68
18.	დომენტი ჯიქია	13.09.84	166/59
19.	ჯანბერი ღვინჯილია	04.05.84	181/69
20.	რატი ბარაბაძე	11.01.84	178/70
21.	შალვა კუხალაშვილი	17.02.84	179/70
22.	მიხეილ ტეხოვი	02.02.84	176/65
23.	ლევან კოპალიანი	04.04.83	177/65
24.	გიორგი ცუცქირიძე	12.10.82	178/67
25.	რევაზ კვერნაძე	25.08.81	178/70
26.	კახა ვადაჭკორია	15.02.80	185/69

პრეზიდენტი: ზაზა სოფრომაძე
მწვრთნელი: გია გიგატაძე

ეპოქაზე ფრთხილად უნდა ვილაპარაკოთ

ჯოვანი ტრაპატონიმ ხალხი გააღიზიანა



იტალიის ნაკრების თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი ბრძანებს, რომ მიუხედავად დიდი საზაფხულო გადაადგილებისა, მომავალ სეზონში, ფავორიტებად რომაული კლუბები დარჩებიან.

„ეჭვი არაა, დღეს იტალიური ფეხბურთის ორი საუკეთესო გუნდი დედაქალაქშია“ — ამბობს დონ ტრაპი — „ბოლო ორ ჩემპიონატში სწორედ მათ მოიგეს სკუდეტო, ხოლო ფაბიო კაპელოს „რომა“, მთელ ევროპაში ერთერთი საუკეთესო შემადგენლობით დაიკვეხნის“.

შემდეგ გამოცდილი სპეციალისტი დასძენს, რომ „ლაციოსა“ და „რომასთან“ ერთად ძალიან დიდ გავლენას მოახდენენ „იუვენტუსი“ და „მილანი“. ის განაგრძობს:

„პაველ ნედვედის გაყიდვამ „ლაციოს“ სერიოზული ძალა მოაკლო, თუმცა ნედვედი არანაკლებ ძლიერმა მოთამაშემ, გაისკა მენდიეტამ შეცვალა. მენდიეტასთვის, მოგეხსენებათ, მსოფლიოს საუკეთესო კლუბები იბრძოდნენ. გარდა ამისა, მომავალ სეზონში სტეფანო ფიორესა და გამოჯანმრთელებული კლაუდიო ლოპესის გაბრწყინებას ველი. ერთი სიტყვით, მე თუ მკითხავთ, „ლაციო“ ღღეის ყველაზე გაწონასწორებული გუნდია“.

ჯოვანი ტრაპატონის თქმით, ძალიან დიდი ძალა შეიძინა „იუვენტუსმაც“, მაგრამ დანაკლისიც დიდი ჰქონდა და ამ დანაკლისს ზინედინ ზიდანი ეწოდება. გარდა ამისა, მომავალი სეზონის უმეტეს პერიოდს ვერ ითამაშებს დისკვალიფიცირებული ედგარ დავიდსი.

„გენიალური სვლა გააკეთა „მილანმა“. რეი კოშტას შეძენას ვგულისხმობ. ამიერიდან „შავ-წითლებს“ საუცხოო თავდასხმა ეყოლება, თუმცა სხვა პოზიციებზე მაინც მოეძებნება სუსტი წერტილები“ — ბრძანა მწვრთნელმა.

ტრაპატონის ამ შეფასებებს ძალიან მწვავედ გამოეხმაურნენ სწორედ „მილანისა“ და „იუვენტუსის“ წარმომადგენლები. კერძოდ, მილანელთა ცნობილმა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაიქუხა:

„მომბეზრდა იტალიური ფეხბურთის რომაულ ეპოქაზე ლაპარაკების მოსმენა. მერე რა, რომ ბოლო ორ ჩემპიონატში „ლაციომ“ და „რომამ“ გაიმარჯვეს? მოდით, დროის უფრო დიდი მონაკვეთი ავიღოთ და ვნახავთ, რომ მანამდე ჩემპიონი „მილანი“ იყო, „მილანამდე“ კი „იუვენტუსი“. ახლა, თუ მთლიანად 90-იან წლებს გადავხედავთ, მაშინ ჩრდილოური გუნდების უპირატესობა აბსოლუტური გამოჩნდება“.

დაიქუხა „იუვენტუსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ანტონიო ჯირუდომაც:

„შვიდი წელიწადია თანამდებობაზე ვარ და ამ ხნის მანძილზე ჩემმა კლუბმა სამი სკუდეტო მიითვალა. აქვე შეგახსენებთ: სამი სკუდეტოს მოსაპოვებლად „რომას“ ასი წელიწადი დასჭირდა, ხოლო „ლაციო“ სამჯერ სულ არ ყოფილა ჩემპიონი“.

როგორც ჩანს, მართლაც ყველაფერი პირობითია.

მიხეილ სურგულაძე

ბუფონმა ვან დერ სარი კარიდან გააგდო

ჰოლანდიელს აიაქსი შეიფარებს

ჰოლანდიელი მეკარის ედვინ ვან დერ სარის მომავალი კლუბი ჯერჯერობით უცნობია. ყველაზე სავარაუდოა, რომ 30 წლის კარის დარაჯი კვლავ ამსტერდამის „აიაქსს“ დაუბრუნდეს. ჰოლანდიური კლუბი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ტურინის „იუვენტუსთან“ და იმედიც აქვს, რომ მალე კონტრაქტსაც მოაწერენ ხელს.

ვან დერ სარი იტალიაში ორი წლის წინ გადავიდა, მას შემდეგ, რაც შვიდი სეზონი ერთგულად ემსახურა „აიაქსს“ და გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. „იუვენტუსმა“ ცოტა ხნის წინ „პარმასგან“ დიდძალ თანხად ჯანლუიჯი ბუფონი შეიძინა, რის გამოც ჰოლანდიელი ტურინულ კლუბში ზედმეტი აღმოჩნდა. ამას წინათ თავად „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმაც თქვა, ჰოლანდიელის გაშვებაზე ყაბულს ვარო. ხოლო ვიდრე „აიაქსი“ და „იუვენტუსი“ საბოლოო შეთანხმებამდე მივლენ, ვან დერ სარი საშშობლოში დაბრუნდა და ერთერთ სამოყვარულო კლუბ „კატვაიკში“ ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობს.

„იუვენტუსი“ კი განაგრძობს სეზონისწინა მზადებას. ახლახან გაცნობეთ, რომ მარჩელო ლიპის შეგირდებმა დიდი ანგარიშით გაანადგურეს პროვინცია ვალე დაკოსტას სამოყვარულო ნაკრები. ამავე ქალაქში უკვე მეოთხედ გათამაშდა კაზინო „დე ლა ვალეს“ თასი და აქაც „იუვენტუსმა“ იმარჯვა. ეს იყო სამთა ტურნირი, სადაც ტურინელთა გარდა „ნაპოლიმ“ და „ატალანტამ“ ითამაშეს.

პირველი მატჩი „იუვენტუსსა“ და „ატალანტას“ შორის 0:0 დასრულდა, გამარჯვებულის გამოსავლენად გუნდებმა პენალტები დაარტყეს და ტურინელებმა 3:2 მოიგეს. ფრე იყო „ნაპოლისა“ და „ატალანტას“ შეხვედრაშიც, თერთმეტმეტრიანებით კი ნეაპოლურმა კლუბმა 7:6 მოიგო.

მესამე მატჩში „ბებერმა ქალბატონმა“ „ნაპოლი“ 1:0 დაამარცხა. გოლი ალესანდრო დელ პიერომ გაიტანა.

მარჩელო ლიპიმ „იუვენტუსი“ „ნაპოლისთან“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

ბუფონი, ტუდორი, ტურამი, მაინცერო, პესოტო, ძენონი (კოვაჩევიჩი), ტაკინარდი, ონილი (მარესკა), ძამბროტა, დელ პიერო, ტრეზეგე.

ნიკა შუბლაძე

ფაბრიციო გაიტანილი

სოლ კემპბელი

ჯერ კიდევ „ლაციოს“ ფეხბურთელი ფაბრიციო რავანელი შაბათს შეფილდის „ჰილსბოროს“ ტრიბუნაზე იჯდა და თავისი მომავალი გუნდის საწვრთნელ თამაშს უყურებდა, თუმცა ჟურნალისტთა არცერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. მატჩის დამთავრებისთანავე ვეტერანი იტალიელი რომში გაფრინდა და დაიბარა, „დერბი ქაუნთიში“ ჩემი გადასვლა-არგადასვლის ამბავზე ოთხშაბათს განვაცხადებო.

არადა, „დერბის“ რომ გამოცდილი ფორვარდი ჰაერივით სჭირდება, ზემოთნახსენებმა შეხვედრამაც დაადასტურა. სტუმრები „უენსდის“ კარს მრავალჯერ დაემუქრნენ, მაგრამ გოლის გატანა ვერავინ მოახერხა, მათ შორის გიორგი ქინქლაძემაც, ვინც მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა პაუელის ნაცვლად და მალე საგოლე პოზიციიდან ოდნავ არაზუსტად დაარტყა. მომენტები შეფილდელებმაც შექმნეს, მაგრამ ესტონელმა მარტ პოომმა დაამტკიცა, რომ მაისში გადატანილმა ოპერაციამ მას ვერაფერი დააკლო. მთლიანობაში, დერბელთა მწვრთნელი და ამ გუნდის გულშემატკივრები მოთამაშეთა მზადყოფნით კმაყოფილები დარჩნენ — რავანელი ჩამოვა და გოლების გატანასაც მოევლებაო, ეიმედებათ ფანებს.

შეტევის ზუსტად დამთავრების პრობლემა აწუხებს კლაუდიო რანიერისაც, ვისი „ჩელსიც“ იტალიელი მოყვარულების დაბომბვის შემდეგ საშინაო საწვრთნელ მატჩებში გოლების გატანას გაჭირვებით ახერხებს. „ჭუინზ პარკ რეინჯერსთან“ სტუმრობისას „ჩელსი“ კი დაწინაურდა (ძოლას პასით დანიელმა გრონკიაერმა შეაგდო), მაგრამ მეტი ვეღარაფერი გააწყო და 1:3 წააგო. ამან იმდენად გაახარა მეორე დივიზიონში დაქვეითებული „ჭუინზ პარკის“ ფანები, რომ ისინი მოედანზე გადაცვივდნენ, რამდენიმემ კი მეტოქეთა ტრიბუნას უკანალი მიუშვირა.

ისევე როგორც წინა მატჩში „ლეიტონ ორიენტთან“, ჩელსელთა რიგებში არც ამჯერად გამოჩენილა რატი ალექსიძე, გუნდის ძირითადი შემადგენლობა კი ასეთი იყო: დე გუი, გასსი, დესაი, ბაბაიარო, მელხიოტი, ლამპარდი, მორისი, ლე სო, ძოლა, ჰასელბაინკი, გრონკიაერი.

სანამ „ჩელსი“ დასავლეთ ლონდონში ბითურდებოდა, მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა „არსენალმა“ ავსტრიული ტურნეს მეორე შეხვედრაში ესპანური „მალიორკა“ 2:0 დაამარცხა და „ქოჯაელისფორთან“ 1:4 წაგებით შელახული პრესტიჟი აღიდგინა. პირველი გოლი 27-ე წუთზე გავიდა, როცა თურქმა ფათიჰმა ბურთი საკუთარ კარში შეაგდო, მეორე ტაიმში კი თავი ლონდონელთა ახალწვეულმა, ჰოლანდიელმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა გამოიჩინა. ვენგერის კიდევ ერთი შენაძენი სოლ კემპბელი მინდორზე დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გამოჩნდა. ეს ზანგი მცველის კარიერაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მან „ტოტენჰემის“ მაისურით არ ითამაშა. „მარტის მერე პრაქტიკა არ მქონია, ვარჯიშს კი მხოლოდ ხუთი დღის წინ შევუდექი, იმედია, ჩვეულ ფორმას მალე დავიბრუნებ“ — თქვა „არსენალის“ დებიუტანტმა.

ვენგერისთვის ცუდი ამ დღეს მხოლოდ ორი რამ მოხდა და ორივე ამბავი მარტინ კიოუნს ეხება: გამოცდილ მცველს მალიორკელ ალბერტ ლუკესთან შეჯახებისას ლოყა გაუსკდა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი „არსენალს“ აცნობა, რომ შესაძლოა, კიოუნმა ახალი სეზონის პირველ სამ შეხვედრაში ვერ ითამაშოს — მაისში „ჰაიბერიზე“ ის ლიდსელ მარკ ვიდუკასა და ლი ბოიერს წაეჩხუბა და მართალია, მაშინ მსაჯმა არაფერი მოიმოქმედა, დამნაშავის დასჯას თავად ასოციაცია აპირებს. „გაოცებული ვარ. ინციდენტი მაისში მოხდა და გარჩევას კი ახლა, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე აპირებენ“ — აღშფოთდა „არსენალის“ ფრანგი თავკაცი.

გიგა ძოგაძე

„არსენალის“ ახალწვეულები: ფრენსის ჯეფერსი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი

დანია

II ტური

ოდენსე 3:1 სილკებორგი

ბრონდბიუ	2	2	0	0	8:1	6
კოპენჰაგენი	2	2	0	0	6:2	6
ოლბორგი	2	2	0	0	5:2	6
ლიუნგბიუ	2	1	1	0	4:2	4
ოდენსე	1	1	0	0	3:1	3
მიდტიულანდი	2	0	1	1	2:3	1
ვიბორგი	2	0	1	1	2:3	1
აკადემისკი	2	0	1	1	2:4	1
სილკებორგი	2	0	1	1	2:4	1
ვაილე	2	0	1	1	3:6	1
ესბიერგი	1	0	0	1	0:2	0
ორჰუსი	2	0	0	2	1:8	0

ფინეთი

XXII ტური

იუკერიტი 0:2 ჰიუპა

ჰიუპა	20	11	7	2	32:15	40
ჰიკ	20	10	8	2	37:12	38
ტამპერე	17	11	3	3	30:21	36
ჰაკა	19	9	5	5	29:17	32
ინტერი	19	9	4	6	29:25	31
ატლანტისი	19	7	6	6	26:26	27
კუოპიო	18	5	6	7	16:24	21
ლაჰტი	18	5	5	8	22:26	20
ვაასა	18	6	2	10	21:29	20
როვანიემი	19	4	5	10	15:27	17
იოკერიტი	21	4	5	12	21:38	17
ჯაზი	18	1	6	11	11:29	9

ერთი წლის წინ, როცა ფლორენტინო პერესი მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა, ხალხს ორ რამეს დაპირდა – „ბარსელონადან“ ლუიშ ფიგუს გადაყვანას და მაშინდელი პრეზიდენტის, ლორენსო სანსის მიერ დაგროვებული ვალების გასტუმრებას. მოგეხსენებათ, ამ დაპირებებმა სანსისეული ორი ჩემპიონთა თასი გადასწონა.

დაპირებული ფიგუ მეორე მადრიდული სეზონისთვის ემზადება, აი, რაც შეეხება ვალებს...

პერესის სამეფო თეატრის ვალები და შემოსავლები

„რეალის“ ბუღალტრული წიგნების გაშიფრვა გვარიანად ძნელი საქმე გამოდგა და ვალს 150-დან სამას მილიონ დოლარამდე ასახელებდნენ. ბოლოს ითქვა, 195 მილიონიაო. და რა უქნა ამ ვალს ფლორენტინო პერესმა? რა და, 153 მილიონი კიდევ შეჰმატა. თუ მივუმატებთ, 348 მილიონი დოლარი გაბოვა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „რეალის“ საუკუნოვანი იუბილისადმი მზადება შესაძლოა, მისი გაკოტრებით დასრულდეს. ხუმრობენ კიდეც, „სამეფო კლუბს“ და მის პრეზიდენტს ვალებიდან თავის დასაღწევად კარგი ფინანსისტი კი არა, ფსიქიატრი სჭირდებათო. აქვე გავიხსენოთ, რომ ფიფა-უეფასთვის ევროკავშირის მიერ თავს მოხვეული ახალი სატრანსფერო სისტემის ამოქმედების შემდეგ აღარც ფიგუს ფასი იწნება 56 მილიონი და აღარც ზიდანისა — 64,5. ჰო, ზიდანის ახლანდელი ფასი ასეთი კი არის, მაგრამ ესპანელებს მისი ყიდვა ორი მილიონით მეტი დაუჯდათ, რაც ტურინულ კლუბს ფულის გადახდის სამი წლით გადავადებისთვის დაუმატეს.

თუმცა შევნიშნოთ, რომ ფლორენტინო პერესი არც ისე სულელია, ამხელა ფული უაზროდ ფლანგოს. ბოლოს და ბოლოს, „რეალში“ მისვლისას ის უკვე დიდძალი ქონების პატრონი იყო, რომელიც სამშენებლო ბიზნესში მოიხვეჭა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სინიორ პერესს სახლების შენების გარდა კლუბის შენებაც ეხერხება.

აქ უპრიანია „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის სიტყვების გახსენება: „არაერთხელ მითქვამს, რომ სატელევიზიო ფული ევროპულ ფეხბურთს თავდაყირა დააყენებს. დღისთვის სატელევიზიო უფლებების გაჩუქდით ესპანური და ინგლისური კლუბები ბევრად მეტს შოულობენ, ვიდრე ჩვენთან იტალიაში. შესაბამისად, მათ უფრო მეტის ხარჯვა შეუძლიათ და სერია A-დან ვარსკვლავები თავისთან მიჰყავთ. ასე თუ გაგრძელდა, სხვაობა ამ ჩემპიონატების შემოსავლებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება“.

ფეხბურთი, ადრეც გვითქვამს, შოუბიზნესის ერაში შევიდა. ძველისძველი ოლიმპიური დევიზი — რომ სპორტში მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება, ახლით შეიცვალა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ მთავარი სანახაობაა. გავიხსენოთ თუნდაც „რეალი“ — „ბარსელონას“ ბოლო მატჩები. იქ მოგებაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ მოიგებ. ან ის, რომ არც ერთი ტელეკომპანია არ სთავაზობს ჩემპიონთა ლიგის მომგებ მიუნხენის „ბაიერნს“ იმდენს, რასაც იმავ „რეალს“. მიზეზი ნათელია. პერესმა „რეალი“ თეატრად გადააქცია და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამოკრული აფიშა: ზიდანი, ფიგუ, რაული, ელგერა, მაკმანამანი, რობერტო კარლოსი, მაგნეტივით იზიდავს ხალხს და მათი ბურთაობის ყურება ურჩევნია. მაყურებელი მხოლოდ გაყიდულ ბილეთს რომ არ ნიშნავს, ბავშვმაც იცის.

ერთი ასეთი ამბავიც. „რეალში“ ლუიშ ფიგუს გადასვლის შემდეგ კლუბის სიმბოლიკიანი საქონლის გაყიდვა ათი პროცენტით გაიზარდა. ათი პროცენტი კი ათობით მილიონს ნიშნავს.

ზიდანის სახელიც კი ფულია

ფლორენტინო პერესი

აღსანიშნავია, რომ „რეალის“ გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა აზიურ ბაზარზე, საიდანაც რახანია მიედინება დიდძალი ფული „მანჩესტერ იუნაიტედის“ სალაროში.

ორიოდე კვირის წინ ვწერდით, რომ „რეალის“ ორასი ცალი ხუთნომრიანი მაისურა, ზიდანის გვარით, ერთ საათში გაიყიდა თითო 61 დოლარად, თუმცა რაა ორასი მაისურა, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, სერიულ გაყიდვაში გასვლის შემდეგ რომ გაიყიდება.

ისიც აღვნიშნოთ, რომ ზინედინ ზიდანმა მადრიდში ჩასვლის დღესვე, სულ რაღაც ნახევარ საათში კლუბს 1,2 მილიონი დოლარი შეჰმატა — ამდენი დაუჯდათ კომპანიებს ზიდანის პირველ პრესკონფერენციაზე სარეკლამო აბრების განთავსება. მოკლედ, გაწეული ხარჯი ნელ-ნელა, ეგებ საკმაოდ სწრაფადაც ამართლებს.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „რეალის“ სპორტულ კომპლექსს, მადრიდის ცენტრში, დედაქალაქის მერია სამას მილიონ დოლარად ყიდულობს, შეიძლება ითქვას, რომ კლუბი ვალებს თავს იოლად დააღწევს, თუმცა... იმის თქმა გვსურს, რომ მადრიდის „რეალი“ ფულებს მოიხვეჭს, აი, თასების უეჭველად მოხვეჭისა კი რა მოგახსენოთ. მეტად საეჭვოა, ფლორენტინო პერესმა სანტიაგო ბერნაბეუს მსგავსად ხუთჯერ ზედიზედ მოიგოს ჩემპიონთა თასი.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური სააგენტოების ცნობით, „დეპორტივომ“ თითქმის მიაღწია შეთანხმებას „ესპანიოლთან“ და მალე ალბათ, ნახევარმცველ სერხიო გონსალესს გადაიბირებს. ამავე ცნობით, გალისიური კლუბი თანახმაა, 10 მილიონი გირვანქა გადაუხადოს კატალონიელებს. ახლა თავად ფეხბურთელთან პირად კონტრაქტზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. აქამდე სერხიოს შეძენის სურვილს „ვალენსიაც“ გამოთქვამდა, თუმცა საბოლოოდ „დეპორტივომ“ აჯობა. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელს ესპანეთის ნაკრებშიც უთამაშია.

ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ ნახევარმცველი პეტერ ლუჩინი ვიგოს „სელტამ“ ერთი სეზონით იხათხოვრა. 22 წლის ფეხბურთელი პარიზულ კლუბში შარშან 8,5 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა, თუმც წინა სეზონი არცთუ ძლიერად ჩაატარა, ამიტომ მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა მისი დატოვება აღარ ისურვა. არ არის გამორიცხული, რომ საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშემ გაისად „სელტასთან“ საბოლოოდ გაფორმოს კონტრაქტი. იტალიური პრესის ცნობით, ლუჩინს ორივე მილანური კლუბი — „მილანი“ და „ინტერიც“ ეპატიჟებოდა.

იტალიური „უდინეზეს“ კარის დარაჯის, ლუიჯი ტურჩის შეძენის სურვილი „მილანმა“ გამოთქვა. როგორც იუწყებიან, ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ 31 წლის გოლკიპერმა ფათიჰ თერიმის კლუბთან გააფორმოს კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ „მილანის“ ძირითადი მეკარე ამჟამად კრისტიან აბიატია. გუნდში ირიცხებიან აგრეთვე ვეტერანი სებასტიან როსი და ბრაზილიელი დიდა. თუმცა ეს უკანასკნელი ამას წინათ პასპორტის გაყალბებაში ამხილეს და ერთი წლით აუკრძალეს იტალიაში თამაში.

გერმანული სააგენტოების ცნობით, ლოთარ მათეუსს „მიუნხენ 1860“-ის მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს. გუნდს ამჟამად ვერნერ ლორანტი თავკაცობს, თუმცა სავარაუდოდ მას მალე დაითხოვენ და მიუნხენული კლუბი უკვე ეძებს შემცვლელს. „ბაიერნის“ ყოფილმა ლიბერომ, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 150 მატჩი ჩაუტარებია, განაცხადა: „პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ლორანტის შემცვლელად ვიმუშაო. მართალია, იგი ჯერ არ მოუხსნიათ და ჩემს დანიშვნაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ შემოთავაზებას განვიხილავ“. შეგახსენებთ, რომ 40 წლის მათეუსს წინა სეზონში „აინტრატის“ მწვრთნელობასაც სთავაზობდნენ, თუმცა საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ.

გასაღეზი, თორემ გესვრი!

ამ სიტყვებით დახვდნენ შინ მისულ „პარმას“ თავდამსხმელ სავო მილოშევიჩს მძარცველები, რომლებიც ფეხბურთელს ბაღში ელოდნენ. „როდესაც იარაღი დავინახე, შეკრთა. მიბრძანეს, მათთვის სახეში არ შემეხედა და სახლის გასაღები მიმეცა — ყვება დაზარალებული — სახლში რომ შევედით, სეიფის გასაღები მომთხოვეს“. მაგრამ ფეხბურთელს სეიფი არ ჰქონია და მძარცველები მხოლოდ „როლექსის“ ოქროს საათს დასჯერებიან, მერე კი იცოცხლეთ, მოუკურცხლავთ, რადგან სახლს თურმე პოლიცია მიადგა. მილოშევიჩის თქმით, ერთ-ერთი ყაჩაღი, რომელიც ფეხბურთელს იარაღით ემუქრებოდა, ახალგაზრდა და ნერვიული ყოფილა. „დარწმუნებული ვარ, რაიმე რომ შემშლოდა, მესროდა — განაცხადა ფეხბურთელმა — საბედნიეროდ, ჩემი ოჯახი შინ არ იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში კარს სიცოცხლის ფასად არ გავაღებდი“. ეს იუგოსლავიელის გაძარცვის პირველი შემთხვევა როდია, სამი თვის წინ მას მანქანა მოჰპარეს.

ლაზა გეგეჭკორი

გაქცევა გასახდელიდან

ესპანური „სევილიასა“ და პორტუგალიური „ფარენსეს“ ამხანაგური თამაშის შემდეგ ესპანელთა კაპიტანი მიგელ პრიეტო გასახდელის ფანჯრიდან გადახტა, იქვე სახელდახელოდ გაჩერებულ მანქანაში ჩახტა და გაუჩინარდა. მაგრამ სასჯელს სად დაემალები? პორტუგალიელებს მიგელის სამარცხვინო საქციელი ვიდეოფირზე აღუბეჭდავთ და ახლა მისგან სახალხოდ ბოდიშის მოხდას ითხოვენ. ეგ კი არა, პრიეტოს ალბათ, დისკვალიფიკაციაც არ ასცდება.

იკითხავთ, რა ჩაიდინა ამ კაცმა ამხანაგურ თამაშში ისეთი, რომ ქვეყანა გადარია და შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გაიქცაო? საქმე ისაა, რომ „სევილიას“ კაპიტანს ნამატჩევს ნერვებმა უღალატა, ემოციები ვერ მოთოკა და მისმა მუშტმა მსაჯს ტუჩი გაუხეთქა. ეცნენ თანაგუნდელები და კაპიტანი გასახდელში ჩაათრიეს, მაგრამ რაღა დროს? პრიეტოს რისხვის ობიექტს, სევილიელთაგან მიკერძოებაში ბრალდებულ არბიტრს ფიზიონომია უკვე გვარიანად შეცვლოდა. მსაჯებმა პოლიციის ოფიცრები დაიხმარეს და ბუნტისთავს გასახდელში ჩააკითხეს. პრიეტო კი მათზე წინდახედული აღმოჩნდა, იშვირა ფეხი და შურისმაძიებლები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.

გიორგი გამარდაშვილი

კატალონიური ცარცის წრე

ბრაზილიამ და ბარსელონამ რივალდო ვერ გაიყვეს

„ბარსელონას“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რივალდო ლუის ფელიპე სკოლარიმ თავისთან იხმო. ტეტრაკამპეონებს რომ ძალიან უჭირთ, უკვე ძველი ამბავია და ნაკრების მწვრთნელმაც „საყოველთაო მობილიზაცია“ გამოაცხადა. მისი სურვილია, პანამასთან 8 აგვისტოს დაგეგმილ ამხანაგურ მატჩში ევროპაში მობურთალი ბრაზილიელები ნაკრებში ჰყავდეს. „დიდმა ფილმა“ კოპა ამერიკის გათამაშებაზე უვარსკვლავებო გუნდით თავლაფის დასხმა უკვე მოასწრო. ცხადია, გონიერი კაცი ორჯერ ერთსა და იმავე შეცდომას არ უშვებს. ჰოდა, ზემოთაც ვთქვით, სკოლარი ნაკრებში ბობოლა ევროპულ გუნდებში მობურთალ ფეხბურთელებს აბრუნებს და ერთ-ერთი, ვისი დიდად ეიმედება, რივალდოცაა. მწვრთნელმა ბარსელონელი ამხანაგურისთვის, ხოლო შემდეგ პარაგვაისთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მონაწილეობისთვის კატალონიიდან გამოიძახა. „დიდი ფილისთვის“ პარაგვაისთან შეხვედრის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა კორეა-იაპონიის საგზური დაკარგონ, ხოლო მწვრთნელმა — თანამდებობა. ამიტომაც, რივალდო სამშობლოში აუცილებლად უნდა გაეგზავნოს.

სკოლარის ნაკრები აწუხებს, ხოლო მისი ბარსელონელი კოლეგა კარლოს რექსაჩი „ბარსაზე“ და ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობს. კატალონიელებს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „სკენტო“ — „ვისლას“ წყვილში გამარჯვებულთან ჭიდილში მოუწევთ ევროპის უპირველეს საკლუბო ტურნირში ადგილის დაჯავშნა. ბრაზილიელებმა კი, რივალდო გვინდაო. რექსაჩისა და კლუბის ხელმძღვანელობას თავდამსხმელის სამშობლოში გაშვების გაგონებაც არ სურთ და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას მიმართავენ, რათა ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებმა როგორმე მოახერხონ სკოლარის დაშოშმინება და სალიგოდ რივალდო „ბარსაში“ დატოვონ.

აიხდენს თუ არა ოცნებას სკოლარი, ჯერჯერობით უცნობია. უცნობია აგრეთვე „დიდი ფილის“ გუნდის კარის დარაჯის, მილანელი დიდას ბედიც. ბრაზილიელ მეკარეს ამას წინათ ყალბი ევროპული პასპორტი აღმოუჩინეს. ამისთვის დაისაჯა კიდეც და „სან სიროზე“ გარკვეული ხნით ვეღარ ითამაშებს. ამიტომაც, მილანელები მის გათხოვრებას ქვეყნის გარეთ აპირებენ. ბრაზილიელს მუშტარიც ჰყავს, ესპანური „ალავესი“. დიდასთვის უცხო არაა კლუბების ცვლა. ადრე მილანელებს ის შვეიცარულ „ლუგანოში“ და ბრაზილიურ „კორინთიანსში“ ჰყავდათ გათხოვრებული. „ალავესში“ გადასვლასაც წინ არაფერი უდგას. ორივე მხარე და მეკარეც მხოლოდ ფიფას გადაწყვეტილებას ელიან. ფიფამ უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს და დაადგინოს, შეიძლება თუ არა, ითამაშოს თაღლითმა ფეხბურთელმა იმ ქვეყნის გარეთ, სადაც ადრე ყალბი პასპორტით მოღვაწეობდა.

გიორგი გამარდაშვილი

რივალდო

შვედეთი

XV ტური

ჰამარბი 4:1 ტრელებორგი
ელფსბორგი 0:0 იორგრიტე
იორებრო 3:3 ჰელსინგბორგი

ჰამარბი	15	8	5	2	25:14	29
გოტებორგი	14	7	5	2	25:14	26
იორგრიტე	15	6	6	3	21:16	24
მალმიო	15	7	2	6	26:21	23
დიურგარდენი	14	6	5	3	17:14	23
ჰალმსტადი	15	6	4	5	32:20	22
აიკ	15	6	4	5	19:16	22
ჰელსინგბორგი	15	5	6	4	24:20	21
ელფსბორგი	15	5	3	7	20:27	18
იორებრო	15	3	8	4	23:25	17
ნორჩიოპინგი	15	4	5	6	15:24	17
ჰეკენი	15	3	6	6	18:23	15
სუნდსვალი	15	3	4	8	10:20	13
ტრელებორგი	15	2	3	10	15:36	9

რეკლამა სარგბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

შარა მარიომ მსოფლიოს შემოუარა

მარიო ჟარდელმა კვლავ „გალათასარაის“ მიაკითხა

დაახლოებით ერთი თვის წინ მარიო ჟარდელმა სტამბოლის დატოვება განიზრახა. ადგა, თავისი ბარგი-ბარხანა ჩალაგა და დასავლეთ ევროპისკენ მიმავალ გზას გაუყვა. ჟარდელი ის კაცია, ვისაც გოლების გატანა ყოველთვის ეზერხებოდა, ამიტომაც ნებისმიერ გუნდს ასეთი მეგოლის ყოლა დიდად წაადგებოდა, თუნდაც იმავე „გალათასარაის“, მაგრამ ბოლოდროინდელმა ფინანსურმა კრიზისმა თურქული კლუბი აიძულა, ბრაზილიელი ფორვარდი გაეყიდა, თანაც გეორგ ჰაჯი გუნდიდან უკვე წასული იყო და ჟარდელს სტამბოლში დარჩენის სურვილი ამ ფაქტმაც გაუნელა. მართალია, რეალური მყიდველი არსად ჩანდა, მაგრამ ასეთი დონის თავდამსხმელი უგზო-უკვლოდ ნამდვილად არ დაიკარგებოდა. პირველი მსურველი ბერნარ ტაპი აღმოჩნდა. „მარსელის“ ხელახლა აღორძინების სურვილით შეპყრობილი ტაპი დიდძალი ფულის პატრონია. იფიქრა, ზუსტად ასეთ ბიჭს ვეძებდიო, აქეთ ჟარდელის აგენტმა, იქით ფრანგული კლუბის წარმომადგენლებმა ხელი ხელს დაჰკრეს და საქმეც თითქმის გაჩარხული იყო, რომ ბრაზილიელმა კოლუმბიაში ამოყო თავი. ტაპიმ გაიკვირვა, ამას გუნდთან ერთად უნდა ევარჯიშა და იქ რას აკეთებსო. რას აკეთებდა და ჟურნალისტებს ესაუბრებოდა, რა მარსელი, რის „ოლიმპიკი“, ისეთი გრანდები მეპატიჟებიან, საფრანგეთისკენ ცალი თვალითაც კი არ გავიხედავო. ეს რომ ტაპიმ გაიგო, ბოგოტას მალეშსრბოლნი აფრინა, ერთი გამირკვიეთ, ის ვაჟკაცი რას მიედ-მოედებაო. მოციქულებიც ჩავიდნენ კოლუმბიაში და მარიომ ისინი ზრდილობიანი უარით უკან გაისტუმრა. ფრანგებმა ჟარდელის აგენტზე იფიქრეს, არანორმალურია, წელიწადში 4,5 მილიონდოლარიან კონტრაქტზე უარს როგორ ამბობდა.

ერთი კვირის წინ სამხრეთ ამერიკიდან პორტუგალიაში დაბრუნებულ ფეხბურთელს თურქები დაუკავშირდნენ და უთხრეს, თუ უახლოეს ერთ კვირაში მომავალს არ გაარკვევ, დიდი უსიამოვნებები გელისო. თანაც „გალათასარაის“ ერთ-ერთ ფაშას ისიც უთქვამს, ეგ ბიჭი ჯერჯერობით ჩვენი საკუთრებაა, თუ ფეხბურთის თამაში აღარ უნდა, ჩამოვიდეს და საწვრთნელი კომპლექსის ფანჯრები რეცხოსო, მაგის კაპრიზები ყელში ამოგვივიდა, სტამბოლი ქალაქად არ მიაჩნდა და თურქეთი კიდევ ქვეყნადო. ბრაზილიელმა იქიდან შეუთვალა, მე ჩემს მშობლიურ „პორტუში“ დარჩენა მსურს, თანაც აქაურ სკოლაში ბავშვები დამიდიანო.

საბოლოოდ „პორტუსა“ და „გალათასარაის“ თავკაცები იმაზე შეთანხმდნენ, რომ ჟარდელი პორტუგალიაში დარჩებოდა, თურქული კლუბი კი სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარს და დიმიტრი კალეინიჩევს მიიღებდა. ამის თაობაზე მხარეების წარმომადგენლები ერთმანეთს გუშინწინ მილანში უნდა შეხვედროდნენ.

30 ივლისს მარიო დილით ამდგარა, ჩაუცვამს და პორტუდან მილანის ნაცვლად სტამბოლში ჩაფრენილა. თურქები შოკში ჩავარდნილან, როდესაც სუპერმარიო „გალას“ საწვრთნელ ბაზაზე დაუნახავთ. მისი გაყიდვიდან მიღებული ფულით ხომ მათ ვალები უნდა გადაეხადათ. ჟარდელი კი მისულა, ჩემოდანი დაუდია და უთქვამს: „მე გალათასარაიში ვრჩები“.

ვაჟა ხუციშვილი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

მჭედლიშვილის ალბი და ალიბი: ქართველი ბიჭებო, იცოდეთ, პანკრო გიყურებთ!

საფრანგეთში ახლა გაგანია სატრანსფერო სეზონია. კარსმომდგარი სეზონისთვის კლუბები გამალებით ემზადებიან — სასურველ მორაგბეებს დაითავისებენ, ზოგსაც გაასხვისებენ. გამონაკლისი არც ჩვენი ლეგიონერები არიან. ბორჯღალოსანთა კაპიტანმა ზურაბ მჭედლიშვილმა წინა სეზონი „ნასიონალ I"-ის „მიიოში" გაატარა, ახალში გათამაშებაში კი იმავე ლიგის უფრო ძლიერი კლუბის, „ალბის" ღირსებას დაიცავს. სარაგბო წრეში „პანკროდ" ხმობილი ზურაბი თავის ახალ გუნდზე და პირველ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება.

ზურაბ მჭედლიშვილი

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

— „ალბის" ხომ არ ეწყინა, კიდევ ერთი ქართველი მაინც მეიმატეს?

— კონტრაქტს რომ ვაფორმებდი, მაშინ მოსახერხებელია ვინმე კარგი მარველხაწელი მოგვიძებნო. საფრანგეთში პირველხაზელების ნაკლებობაა, ჩვენში კი ჯანიან და მუხლმაგარ ბიჭებს რა გამოლევს. თანაც საფრანგეთში ყველაზე დიდი დატვირთვა პირველხაზელებზე მოდის.

— შენ ვინ ურჩიე?

— ვერ არავინ, დავაკვირდები აქაურ მორაგბეებს და მერე ვნახოთ.

— „ალბი" როგორი გუნდია?

— კარგი გუნდი ჩანს. რაღაც უიღბლობა დახჩეშდა, სულ გადასასვლელ მატჩებში მარცხდება. პირობები კარგია, შემადგენლობაც ძლიერი უნდა ჰყავდეს. დაწვრილებით ყველაფერი ჯერ არ ვიცი, დროის სიმცირის გამო ახლოს გაცნობა ვერ მოვასწარი.

— თვითონ ქალაქი?

— ნორმალური, მყუდრო ქალაქია, სამოცდაათი ათასი მცხოვრებით. ტულუზსა და კასტრს შორის მდებარეობს, ასე რომ, ლევან ცაბაძეს ხშირად ვნახავ. ქალაქის დათვალიერება ჯერ ვერ მოვასწარი, მაგრამ ყველაფერი ჩემს ხელში არ არის, სად გამექცევა.

— წელან თქვი, ქართველ მორაგბეებზე დიდი მოთხოვნილებაა. ჩვენი ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებამ რა რეზონანსი გამოიწვია საფრანგეთში?

— სულ უკვირთ, ასეთ წარმატებას როგორ მიაღწიეთ, როდესაც საქართველოში ერთი ნორმალური სტადიონიც არ გაქვთო. მაინც ზედაპირული ინფორმაცია აქვთ ჩვენზე. აქ რომ ჩამოვიდნენ და ნახონ, რა პირობებია, ხომ გაგიკვირდებიან. ჩვენნაირ მოედნებზე იქ ცოცხალი თავით არ ითამაშებენ.

— შენ ახალ ზელანდიაშიც იყავი სათამაშოდ. იქ შეძენილი გამოცდილება დიდად დაგეხმარა...

— ექვსი-შვიდი წლის წინ ვიყავი ახალ ზელანდიაში. „კრაისტჩერჩში" დავყავი ექვსი თვე, მეორე გუნდში ვთამაშობდი. იქ ბევრი რამ ვისწავლე და საერთოდ, ახალ ზელანდიაში რაგბი რელიგიის დონეზეა. ბავშვი რომ იბადება, საწოლში რაგბის ბურთს უდებენ. სატყუარასაც, მგონი, ოვალის ფორმა აქვს.

ბაჩო სვანიძე

— ყველაფერი, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოხდა. თურმე „ალბიში" ერთი ქართველი მუშაობს. სამწუხაროდ, მისი სახელი აღარ მახსოვს. სწორედ იგი დაუკავშირდა „მიიოს" ხელმძღვანელობას და ჩემს „ალბიში" გადასვლაზე ჩამოუგდო სიტყვა. რა თქმა უნდა, „ალბის" უფროსობაც საქმის კურსში იყო და ჩემი გადაბირება სურდა. საქმის გაჩარხვა არ გაჭიანურებულა, „ალბის" თავკაცებს ყველაფერზე მოვურიგდი და ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. პირობებით კმაყოფილი ვარ. კლუბმა ბინა მიქირავა, ხელფასი დამინიშნა და მანქანაც გამომიყო. შუაგულ აგვისტოში ალბიში ჩავალ, როდესაც კლუბი სეზონისთვის მზადებას შეუდგება.

— სეზონი როდის იწყება?

— თხუთმეტ სექტემბერს, ოღონდ ეს ჩვენი „ნასიონალ I"-ის ჩემპიონატია. ელიტარული ლიგის პირველობა უფრო ადრე იწყება.

— შეკრებას ადგილზე გაივლით თუ კლუბის უფროსებს უცხოური ტურნეები აქვთ დაგეგმილი?

— არა, შეკრების ადგილზევე გავივლით. რამდენიმე საწვრთნელი მატჩია დაგეგმილი, ძირითადად ისევ „ნასიონალ I"-ის გუნდებთან. სხვათა შორის, ერთ ამხანაგურ მატჩს ჩემს ყოფილ გუნდ „მიიოსთან" ვითამაშებთ. ალბიში რომ ვიყავი, იქ დამირეკეს და მითხრეს, მალე შევხვდებითო.

— „მიიოს" უფროსობამ შენს წასვლაზე რა თქვა?

— ძალიან დაწყდათ გული, მაგრამ რა ვქნა, „ალბი" უკეთესი გუნდია და იქ გადასვლით უფრო მეტს შევიძენ, ვიდრე „მიიოში". თანაც რა პირობებიც ვთხოვე, ვერ დააკმაყოფილეს.

— „ალბის" მწვრთნელს თუ ელაპარაკე?

— არა, მწვრთნელთან გასაუბრება ვერ მოვასწარი, ჩავედი თუ არა, მაშინვე კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ერთი სული მქონდა, როდის წამოვიდოდი თბილისში. თანაც მორაგბეები და მწვრთნელი ახლა შვებულებაში არიან. მოლაპარაკებს მარტო „ალბის" პრეზიდენტი და მენეჯერი ესწრებოდნენ.

— რაიმე სპეციალური სავარჯიშო პროგრამა ხომ არ გამოგატანეს?

— არა, არაფერი მსგავსი. აქ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო და სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდე.

— წლეულს ტრავმებმა გაგტანჯა, ახლა როგორაა საქმე?

— ტრავმები მოვირჩინე, არაფერი მაწუხებს. ვეცდები, ეროვნულ ნაკრებშიც დავიბრუნო ადგილი და კლუბშიც მყარად მოვიკიდო ფეხი.

— „ალბიში" სამსახურიც ხომ არ შემოგთავაზეს?

— კი, სამსახურსაც ვიშოვითო, შემპირდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი. მე პროფესიონალი მორაგბე ვარ და სხვა საქმისთვის არ მცალია. ძალიან ძნელია, ვიდეალურად ვვარჯიშობ. ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო და სეზონს სრულ სამუშაო და რაგბი ერთმანეთს შეუთავსო ისე, რომ ხელი არ შეეშალოს.

— შენ შერკინების მეორე და მესამე ხაზებში შეგიძლია თამაში. „ალბიში" რომელ პოზიციაზე გიპირებენ დაყენებას?

— მეორე ხაზში უნდათ მთამაშონ, მაგრამ შევეცდები, მესამე ხაზში მოვხვდე.

— ესე იგი, იქ გირჩევნია თამაში?

— დიახ. იმიტომ, რომ მესამე ხაზში ლაღი თამაშის საშუალება გაქვს, მეორე ხაზში კი შავი სამუშაოს შესრულება გიწევს.

— „ალბის" ხომ ორ-სამ, კიდევ ერთი ქართველი მაინც მეიმატეს?

— კონტრაქტს რომ ვაფორმებდი, მაშინ მოსახერხებელია ვინმე კარგი მარველხაწელი მოგვიძებნო. საფრანგეთში პირველხაზელების ნაკლებობაა, ჩვენში კი ჯანიან და მუხლმაგარ ბიჭებს რა გამოლევს. თანაც საფრანგეთში ყველაზე დიდი დატვირთვა პირველხაზელებზე მოდის.

— შენ ვინ ურჩიე?

— ვერ არავინ, დავაკვირდები აქაურ მორაგბეებს და მერე ვნახოთ.

— „ალბი" როგორი გუნდია?

— კარგი გუნდი ჩანს. რაღაც უიღბლობა დახჩეშდა, სულ გადასასვლელ მატჩებში მარცხდება. პირობები კარგია, შემადგენლობაც ძლიერი უნდა ჰყავდეს. დაწვრილებით ყველაფერი ჯერ არ ვიცი, დროის სიმცირის გამო ახლოს გაცნობა ვერ მოვასწარი.

— თვითონ ქალაქი?

— ნორმალური, მყუდრო ქალაქია, სამოცდაათი ათასი მცხოვრებით. ტულუზსა და კასტრს შორის მდებარეობს, ასე რომ, ლევან ცაბაძეს ხშირად ვნახავ. ქალაქის დათვალიერება ჯერ ვერ მოვასწარი, მაგრამ ყველაფერი ჩემს ხელში არ არის, სად გამექცევა.

— წელან თქვი, ქართველ მორაგბეებზე დიდი მოთხოვნილებაა. ჩვენი ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებამ რა რეზონანსი გამოიწვია საფრანგეთში?

— სულ უკვირთ, ასეთ წარმატებას როგორ მიაღწიეთ, როდესაც საქართველოში ერთი ნორმალური სტადიონიც არ გაქვთო. მაინც ზედაპირული ინფორმაცია აქვთ ჩვენზე. აქ რომ ჩამოვიდნენ და ნახონ, რა პირობებია, ხომ გაგიკვირდებიან. ჩვენნაირ მოედნებზე იქ ცოცხალი თავით არ ითამაშებენ.

— შენ ახალ ზელანდიაშიც იყავი სათამაშოდ. იქ შეძენილი გამოცდილება დიდად დაგეხმარა...

— ექვსი-შვიდი წლის წინ ვიყავი ახალ ზელანდიაში. „კრაისტჩერჩში" დავყავი ექვსი თვე, მეორე გუნდში ვთამაშობდი. იქ ბევრი რამ ვისწავლე და საერთოდ, ახალ ზელანდიაში რაგბი რელიგიის დონეზეა. ბავშვი რომ იბადება, საწოლში რაგბის ბურთს უდებენ. სატყუარასაც, მგონი, ოვალის ფორმა აქვს.

ბაჩო სვანიძე

ავსტრალიაში თურმე უამრავი ნაპრალია

პრეტორია, 28 ივლისი
50000 მაყურებელი

სამხრეთ აფრიკა 20:15 ავსტრალია

სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, ჰოლსე, ფლეკი, ფან სტრაატენი, ჰოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი (ლე რუ 56), ფან ბილიონი (სმიტი 71), ფისახი, აკერმანი (ფან ნიკერკი 71), ენდრიუსი, ფენტერი, ფოსი (ერიხე 58), სკინსტედი (კაპ.)
I ლ: სკინსტედი (40); **ნს:** ფან სტრაატენი (11, 13, 21, 50, 74)
ავსტრალია: ბერკი (ლეითემი 74), უოლკერი, ჰერბერტი, გრეი, როფი, ფლეტლი (ედმონდსი 71), გრეგანი; სტილსი, ფოლი, მური, გიფინი (ჯოკბეინი 71), ილზი (კაპ.), სმიტი, ფინეგანი, კეფუ (ლაიონზი 74)
ნს: ბერკი (42, 48, 51, 60), ედმონდსი (80)
მსაჯი: დეივიდ მაკმიუ (ირლანდია)

ქაოტურად დაწყებული სეზონის შუაწელში სამხრეთ აფრიკამ ცოტა ამოისუნთქა და თავისი ქომაგები ერთობ გაახარა მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალიის ძლევით. შაბათს პრეტორიაში გამართული მატჩი სამი ერის ჩემპიონატის მეორე ტურისა იყო და მასში მასპინძელთა გამარჯვება საკმაოდ მოულოდნელი გალდათ.

საქმე ისაა, რომ აფრიკელები ბოლო ხანს მეტად უხეიროდ თამაშობენ, ავსტრალიელებმა კი ბრიტანელ ლომებთან ტესტ-სერია ისე ჩაატარეს, მათი ძლევა საერთოდ თუ შესაძლებელი იყო, ბევრს ველარც წარმოედგინა.

პირველ ტურში შინაურ კედლებში ახალი ზელანდიისგან ძლეულმა (3:12) „ქურციკებმა" მთავარ მწვრთნელ ჰარი ფილიოენს ცოტა შვებით ამოასუნთქეს და მისკენ მიმართული კრიტიკის ქარცეცხლი საკმაოდ შეარბილეს. „ვოლაბთა" ახალი თავკაცის ედი ჯონსის სანაკრებო დებიუტი კი უიღბლო გამოდგა.

სამხრეთ აფრიკას საფრანგეთთან და ახალ ზელანდიასთან გამართულ შეხვედრებთან შედარებით პროგრესი აშკარად ეტყობოდა. მასპინძლებმა მოწინააღმდეგე გრძელი შეტევის ფაზებით გააწამეს, თანაც ერთობ შეუზღუდეს სამოქმედო არე და ბურთსაც იშვიათად „უთმობდნენ".

კუნძულელებთან დარტყმებით წაგებული მატჩის შემდეგ ფილიოენმა ნაკრებიდან მცველი პერსი მონტგომერი გაუშვა, ჩუბინობა კი სამმეოთხედელად დაბრუნებულ ბრაამ ფან სტრაატენს დაავალა, რომელიც ამ საქმის აღიარებული ოსტატია და ახალ ზელანდიასთან მისი არყოფნა აფრიკელებმა ძალიან ინანეს. მონტგომერის ადგილას ახალგაზრდა და გამოუცდელი კონრად იანტიესი გამწესდა, ვინაც დამრიგებელს ნდობა გაუმართლა და ისე ოსტატურად ჩაატარა მატჩი, საუკეთესოდაც აღიარეს.

მშვენივრად ირჯებოდა შუამარბი ბრეიტონ პოლსეც. იგი ელექტრონივით მოძრავი იყო და ყოველ მიღებული ბურთის შემდეგ ისეთ იერიშს წამოიწყებდა-ხოლმე, ოზებს დიდ გასაჭირში აგდებდა. ძირითადად მისი და იანტიესის დამსახურებაა, „ქურციკებმა" მსოფლიოს საუკეთესო დაცვაში უამრავი ნაპრალი რომ აღმოაჩინეს.

თუმცა მასპინძლებმა, რა თქმა უნდა, ყველა შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს და მხოლოდ ერთ ლელოს დასჯერდნენ. იგი მათი მოუღალავი კაპიტნის ბობი სკინსტედის ანგარიშზეა, რომელმაც დაახლოებით 22 მეტრიანი დრიბლინგის შემდეგ უწია ავსტრალიელთა ლელოს. მისი შეტევა შერკინებას მოჰყვა, რომლის დროსაც დევიდ გიფინმა მასპინძელთა ვიცე-კაპიტან რობი ფლეკს ისეთი ჩასცხო, სამკვირიან დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. ამ უმსგავსობას რომ სჩადიოდა, სწორედ იმიტომ ველარ მოასწრო გიფინმა დაცვაში დროულად ჩასვლა და ლელო გარკვეულწილად სწორედ მის სინდისზეა.

პირველი ტაიმის შემდეგ, რომელმაც მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით ჩათავდა (14:0), მეორეში სტუმრებმაც გამოიღეს ხელი და თამაში შედარებით გათანაბრდა. დაღლა შეპარულმა „ქურციკებმა" თამაშის წესების დარღვევას უხშირეს და მეტიუ ბერკსაც ქულების მოგროვების შანსი მიეცა. მან ოთხი საჯარიმო დაარტყა ზუსტად, რასაც ედმონდსმა ერთიც დაუმატა. აფრიკელთაგან კი ფან სტრაატენმა შესვენებამდე მოპოვებულ 9 ქულას ექვსიც მიუმატა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა — 20:15.

მატჩის მიწურულს ოზებმა ერთი მძლავრი შტურმი მოაწყვეს, მაგრამ „ქურციკთა" დაცვის გარღვევა ვერ მოახერხეს და ახლა შარშან მოპოვებული ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება ახალ ზელანდიასთან ბრძოლაში ძალინ გაუჭირდებათ.

გაგი გურული

ავსტრალიელმა ჯონ ილზმა ბობი სკინსტედს დერეფანში აჯობა

REUTERS პრეტორიიდან

ჩიკაგო ბულზი



დაარსდა 1966 წელს
ნბა-ს ჩემპიონი: 6 (1991, 1992, 1993, 1996, 1997, 1998)
მუდმივი ნომერი: 4 (ჯერი სლოუნი), 10 (ბობ ლოვი), 23 (მაიკლ ჯორდანი)
დარბაზი: იუნაიტედ სენთერი, ტევადობა 21711

ხარები დროის სასაკლაოზე





მაიკლ ჯორდანი და სკოტი პიპენი „ჩიკაგოს“ გამარჯვებათა მთავარი შემოქმედნი იყვნენ

შორს გავარდნია სახელი „ჩიკაგო ბულზს“. ცივილიზაციისგან მივიწყებულ, დედამიწის ბნელ კუნჭულებშიც კი იციან, ვინ არის მაიკლ ჯორდანი, პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნის მილიონობით ბიჭუნას მოსავს „ჩიკაგო ბულზის“ სიმბოლიკით დამშვენებული ტანსაცმელი. თუმც ბევრ მათგანს წარმოდგენა არა აქვს, რა არის ნბა.

„ჩიკაგო ბულზი“ ნბა-ს ერთ-ერთი ბინადარია და მის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა გუნდის ისტორიას, ჩავარდნებიც ახსოვს და აღზევებაც. 90-იან წლებში „ხარების“ მჯობნი არავინ იყო, დღეს კი ისინი ნბა-ს დანარჩენი 28 გუნდის ფეხქვეშ ითელებიან. ბოლო სამი სეზონის ჯამში „ბულზმა“ ვერ მოაგროვა პლეი ოფში ერთხელ მოსახვედრად საკმარისი გამარჯვებები. წლების განმავლობაში მწვერვალზე მყოფი „ბულზი“ სამი წლის წინ მიწას დაენარცხა, უფსკრულში ჩაიჩეხა და დღემდე გამწარებით ცდილობს იქიდან ამოსვლას. დიდი „ჩიკაგოდან“ დღევანდელ გუნდს სახელიღა დარჩენია და აგრეთვე ხელმძღვანელობაა, რომელმაც ერთი ხელის მოსმით დაშალა სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი.

ტიტულებით „ჩიკაგო“ მხოლოდ „ბოსტონ სელტიქსს“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ჩამორჩება, 90-იანი წლების „ბულზი“ კი 60-იანების „ბოსტონის“ შემდეგ უძლიერესად ითვლება. მართალია, „ლეიკერსს“ ჯამში მასზე ორჯერ მეტი ოქრო მოუხვეჭია, თუმც ლოსანჯელესელთა ჯილდოები ნბა-ს სხვადასხვა ხანაში გაბნეულა, „ხარების“ ექვსი ჩემპიონობა კი რვა წელიწადში შობილა. იქნებ დღევანდელი „ლეიკერსი“ „ჩიკაგოსავით“ დიადი გახდეს. მას ხომ „ხარების“ ძველი მწვრთნელი ფილ ჯეკსონი თავკაცობს. ვინ იცის...

„ბულზი“ არც ძველი და არც ახალი კლუბია, 1966 წელს შეიქმნა და ნბა-შიც იმავე წლიდანაა. ქვეყნის სიდიდით მესამე ქალაქ ჩიკაგოს მანამდეც ჰყავდა ნბა-ში თავისი გუნდი. „ჩიკაგო სტეგზი“ სულაც პირველი სეზონის (1946-47 წლები) ფინალისტია. „სტეგზმა“ დიდხანს ვერ იარსება და 1950 წელს დაიშალა. 1961 წელს ჩიკაგოს კვლავ ეწვია დიდი კალათბურთი, ამჯერადაც მცირე ხნით. ჯერ „პაკერსის“, შემდეგ კი „ზეფირზის“ სახელით ჩიკაგოელებმა ორი წელი იჯახირეს, თუმც ბოლო ადგილს ვერ ასცდნენ და კვლავ სახელშეცვლილნი, „ბულიტსად“ წოდებულნი, ჯერ ბალტიმორში გადაბარგდნენ, შემდეგ კი ვაშინგტონში. ოთხი წლის წინ კლუბმა „ვიზარდსი“ დაირქვა, ორი წლის წინ კი კლუბის აქციათა დიდი ნაწილი მაიკლ ჯორდანმა იყიდა და როგორც მფლობელმა, საკუთარი თავი პრეზიდენტად დანიშნა.

უშუალოდ „ხარებმა“ ხმაურით შეაბიჯეს ნბა-ში, მათ მოუგეს პირველ სამ ბობოლა მეტოქეს — „სენტ ლუისს“, „სან ფრანცისკოსა“ და „ლეიკერსს“. „ჩიკაგომ“ სეზონი 33 გამარჯვებით და 48 მარცხით დაასრულა, რაც, ნბა-ს პირველ რამდენიმე სეზონს თუ არ ჩავთვლით, დებიუტანტი გუნდისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. გუნდის ლიდერებმა, გაი (ბიჯი) როჯერსმა და ჯერი სლოუნმა, „ოლ სტარში“ მიიღეს მონაწილეობა. მატჩში საშუალოდ მოგროვილი 11,2 პასით როჯერსმა ნბა-ში ყველას აჯობა ამ კომპონენტში, „ხარების“ დამრიგებელი ჯონი კერი კი სეზონის მწვრთნელად აღიარეს. გუნდმა ჩაგდო მომდევნო სეზონი, რადგან ხელმძღვანელობა შეცდა და როჯერსი „ცინცინატს“ ფლინ რობინსონში გაუცვალა. „ხარებმა“ ის სეზონი 29 გამარჯვებით დაასრულეს.

1968 წლის დრაფტში „ბულზმა“ 213-სანტიმეტრიანი ახმახი ტომ ბურვანკლი აიყვანა, რომელმაც ათი წელი ითამაშა და დღემდე მისია კლუბის რეკორდი მოხსნებში. იმავე წელს კლუბმა „მილუოკის“ რობინსონი ბობ ლოვში გაუცვალა და კლუბის აღმავლობაც დაიწყო. ლოვის, სლოუნისა და ბურვინკლის გარშემო აშენებული გუნდი წლიდან წლამდე აუმჯობესებდა შედეგს. 1971 წელს „ხარები“ პირველად ასცდნენ 50-იან ზღვარს — სეზონი 51 გამარჯვებით დაასრულეს, „ჩიკაგოს“ მწვრთნელი, ამჯერად დიკ მოტა, ისევ დაასახელეს სეზონში კოლეგათა შორის საუკეთესოდ. „ხარები“ კიდევ სამი წლის განმავლობაში იგებდნენ 50 თამაშზე მეტს. იმავე 1970-71 წლების სეზონში ბობ ლოვმა ჯამში 2043, მატჩში კი საშუალოდ 25,2 ქულა მოაგროვა. ამაზე უკეთესი შედეგი „ჩიკაგოში“ ჯორდანის გარდა არავის ჰქონია. მაშინდელი „ჩიკაგო“ ურიგო გუნდად არ ითვლებოდა, ლოვი შეტევაში ირჯებოდა შესანიშნავად, ჯერი სლუნი (დღეს „იუტა ჯაზის“ მწვრთნელი) კი დაცვაში აგვარებდა საქმეებს, თუმც ეს გუნდი ჩემპიონობას ვერ შესწვდა. 1974 წელს „ხარები“ დასავლეთ კონფერენციის ფინალში (იგივე ნახევარფინალი) გავიდნენ და იქ სერია 0:4 წაგეს ქარიმ აბდულ-ჯაბარის „მილუოკისთან“. ეს იყო ამ გუნდის მწვერვალი.

მომდევნო ათი სეზონი „ჩიკაგომ“ თავისი თავის ძიებაში გაატარა, ხშირად მონაწილეობდა გაცვლებში, ხელთათმანებივით იცვლიდა მწვრთნელებს. შედეგად ხან ხვდებოდა პლეი ოფში, ხან ვერა. იმ ხანის ჩიკაგოელთაგან აღსანიშნავია ნბა-ს ყველა დროის უძლიერესი ცენტრი, დიდების დარბაზის მომავალი წევრი ნეიტ თერმონდი, რომელმაც „ჩიკაგოში“ თავისი კარიერის ბოლო წელი გაატარა. აღნიშვნის ღირსნი არიან ცენტრი არტის გილმორი და „ოლ სტარის“ ოთხგზის მონაწილე, გამთამაშებელი რეჯი თიუსი, თუმც ეს საკმარისი არ იყო „ხარების“ აღსაზევებლად. 1981-84 წლები ხომ უიღბლო აღმოჩნდა „ხარებისთვის“, ისინი ფსკერზე დაეშვნენ და მანამ იყვნენ სხვისი საჯიჯგნი, სანამ განგებამ ციდან ვარსკვლავი არ მოუვლინათ.

დადგა 1984 წლის დრაფტი, იქნებ ნბა-ს ისტორიაში უძლიერესიც თავისი შემადგენლობით. პირველი არჩევის უფლება „ჰიუსტონს“ ჰქონდა და მან ნიგერიელ ცენტრს, ჰიუსტონის უნივერსიტეტში დავაჟკაცებულ ჰაკიმ ოლაჯუონს დაადო ხელი. ტეხასელებს გაუმართლათ, ჰაკიმი მომდევნო 15 წლის განმავლობაში უცვლელად იყო უძლიერესთა შორის. ხელი მოეცარა მეორე არჩევანის მქონე „პორტლენდს“. მისი რჩეული სემ ბოუი კარიერის განმავლობაში ძირითადად ტრავმებს იშუშებდა. „ფილადელფიამ“ მეხუთე ნომრად ერთი მოჩხუბარი ჯეელი, ჩარლზ ბარკლი ირჩია. მომავალში ნბა-ს ყველა დროის უძლიერეს მეპასედ აღიარებული, გამხდარი ჯონ სტოქტონი მე-16 ნომრად „იუტას“ ერგო და... „ჩიკაგო ბულზმა“ მესამე ნომრად აიყვანა სტუდენტური ჩემპიონატის წლის მოთამაშე მაიკლ ჯორდანი, კარგი მექუნლე.

ჯორდანმა იცოდა, რომ ყველაზე ძლიერი იყო და მაშინ ერთადერთი იყო, ვისაც ამის სჯეროდა. მას, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა ახალბედას, ნაკლებად სცემდნენ პატივს, სანამ რაიმეს დაამტკიცებდა. მაიკლმაც დაიწყო ის, რაც ყველაზე უკეთ ეხერხებოდა ცხოვრებაში — კალათში ბურთის ჩაგდება. ზედიზედ ხუთ მატჩში მოიხვეჭა 40 ქულაზე მეტი და ცხადია, მოხვდა „ოლ სტარში“, ამასთან, აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულში. ჯორდანმა სეზონი მატჩში საშუალოდ მოგროვილი 28,7 ქულით (მესამე შედეგი ბერნარდ კინგის და ლარი ბერდის შემდეგ) დაამთავრა, აჯობა ოლაჯეონს და ბარკლის და სეზონის ახალბედა გახდა. „ჩიკაგომ“ სეზონი 82 თამაშიდან მოპოვებული 38 გამარჯვებით (წინა სეზონზე თერთმეტით მეტი) დაასრულა და ოთხ წელიწადში პირველად მოხვდა პლეი ოფში, თუმც იქ „მილუოკისთან“ სერია 0:3 წააგო. ამან შეიწირა მწვრთნელი კეგინ ლუგერი.

ლუგერის მემკვიდრემ, სტან ატბეკმა ჯორდანთან ერთად შორს მიმავალი გეგმები დაისახა, თუმც „ჩიკაგოს“ ის სეზონი ჩაუვარდა. ჯორდანი სეზონის მესამე მატჩში მძიმედ დაშავდა და კარგა ხნით ჩამოშორდა მოედანს. იგი სეზონის მიწურულს დაბრუნდა და იმდენი მოახერხა, „ხარები“ პლეი ოფში გაიყვანა. აქ „ჩიკაგო“ პირველ წრეში ლარი ბერდის „ბოსტონს“ შეხვდა და მასთანაც სამივე თამაში წააგო. ჯორდანზე საყვედურს ვერავინ იტყვის, იგი ბრწყინავდა, სერიის მეორე, 131:135 წაგებულ შეხვედრაში მან მომავალ ჩემპიონს 63(!) ქულა ჩაუგდო. ეს შედეგი დღემდე რჩება რეკორდად.

1986-97 წლების სეზონი „ხარებმა“ კვლავ ახალი თავკაცით, დუგ კოლინზით დაიწყეს და ამჟამადაც გავიდნენ პლეი ოფში, თუმც ისევ „ბოსტონი“ ერგოთ მეტოქედ და მალევე გამოვარდნენ. ჯორდანის შედეგიანობამ 37,1 ქულას უწია. ქულების დაგროვებაში მას ბადალი არ ჰყავდა და კიდევ ზედიზედ ექვსი სეზონი დაამთავრა ბომბარდირთა სიის პირველ საფეხურზე.

მაგრამ ჯორდანი მარტო იყო და „ჩიკაგო“ ერთ ადგილს ტკეპნიდა, სანამ მაიკლს დამხმარენი არ გამოუჩნდნენ. 1987 წლის დრაფტმა „ჩიკაგოს“ ორი მომავალი ვარსკვლავი — სკოტი პიპენი და ჰორას გრანტი არგუნა. უკვე მწვერვალების დაპყრობაზეც შეიძლებოდა ფიქრი. ის სეზონი პირადად ჯორდანისა იყო, იგი პირველად გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ამას „ოლ სტარის“ უძვირფასესობა და საუკეთესო მცველის ტიტულიც მიუმატა. „ხარებმა“ კი, როგორც იქნა, გაიარეს პირველ წრე. რითქმის რგოლი განმეორდა მომდევნო, 1988-89 წლების სეზონშიც.

თუ მწვრთნელი არ ვარგა, ეს უნდა შეიცვალოს! „ჩიკაგოც“ ასე მოიქცა, 1989 წელს კოლინზი ჯეკსონმა შეცვალა და თან ჩემპიონობა მოიტანა. ჯეკსონის ხელში ჯორდანი უკვე აღარ იყო უბრალოდ კარგი მექუნლე, პიპენი კი რიგითი ვარსკვლავი. „ძენ მასტერად“ წოდებულმა ჯეკსონმა ამ ორისგან იდეალური წყვილი შექმნა და მეტოქეებზე მიუშვა.

პირველი ჩემპიონობა 1991 წელს მოვიდა. ჯორდანი მეორედ გახდა უძვირფასესი, მეხუთედ — ბომბარდირი და „ჩიკაგომ“ პლეი ოფშიც ყველას გადაუარა. აღმოსავლეთის ფინალში „ხარებმა“ ჩემპიონი „დეტროიტი“ გადათელეს, ფინალში — მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსი“. 1992 წელს „ხარებმა“ ფინალში კლაიდ დრექსლერის „პორტლენდს“ მოუგეს, 1993 წელს კი ჩარლზ ბარკლის „ფინიქსი“ დასცეს. ამდენად, „ჩიკაგომ“ აჯობა ყველას, ვისაც მაშინ ჩემპიონობის პრეტენზია ჰქონდა. „ჩიკაგო“ უძლეველი იყო, „ხარები“ მეოთხე ჩემპიონობისთვის ემზადებოდნენ, როცა მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა. 1993 წლის სექტემბერში მაიკლ ჯორდანმა განაცხადა, რომ კალათბურთიდან მიდიოდა. დღეს ადვილად გვესმის მისი, იგი დაღალა მუდმივმა წარმატებებმა, დასვენება, თავისუფლება სწყუროდა, თანაც სურდა, გამარჯვებული წასულიყო. მაიკლი მაშინ მხოლოდ 31 წლისა იყო.

„ჩიკაგოს“ სხვა გზა არ ჰქონდა, უჯორდანოდ დაიწყო ახალი სეზონი. იგი მაიკლის გარეშეც სოლიდური გუნდი იყო, ლიდერობა სკოტი პიპენმა ჩაიბარა. ახალგამომცხვარმა ლიდერმა გაამართლა, იგი გახდა „ოლ სტარის“ უძვირფასესი, ხოლო სეზონის უძვირფასესის გამოკითხვაში მესამე იყო. ამასთან, პიპენმა ნბა-ს პირველი ხუთეულიდან ამოაგდო „მუდმივი“ მკვიდრი ჩარლზ ბარკლი და იქ ოთხი წლით მოიკალათა. „ჩიკაგომ“ გაიარა პირველი წრე და მეორეში „ნიუ იორკთან“ უმძიმეს სერიაში 3:4 დამარცხდა. შემდეგ კი... ჯორდანიც დაბრუნდა.

„მისმა ჰაერის უდიდებულესობამ“ კარგად დაისვენა, თავი ბეისბოლის კეტის ქნევით შეიქცია და 1994-95 წლების სეზონის შუაწელში განაცხადა, მეყო უსაქმურობა, ბურთსა და მოედანს ვუბრუნდებიო. ის სეზონი მისთვის წავარჯიშება იყო, „ჩიკაგომ“ პლეი ოფის მეორე წრეში შაკილ ონილის „ორლანდოსთან“ წააგო. ეს იყო 1990 წლიდან შემდეგ „ჩიკაგოს“ და ჯორდანის ერთადერთი წაგებული სერია.

1995 წელს ჯორდან-პიპენის დუეტს სწორუპოვარი მომხსნელი, ყალთაბანდი დენის როდმანი შეემატა. „ხარებს“ კვლავ დაადგეს დაფნის გვირგვინი. ფაქტები ყველაფერზე მეტყველებს. 1996 წლის სეზონში ჯორდანი მეოთხედ გახდა უძვირფასესი, მეორედ — „ოლ სტარის“ უძვირფასესი, მერვედ — პირველი ბომბარდირი. „ჩიკაგომ“ რეგულარულ სეზონში 82-დან 72 თამაში მოიგო და დაამყარა ნბა-ს ყველა დროის რეკორდი. „ხარებმა“ პლეი ოფში მხოლოდ სამი მატჩი წააგეს, აქედან ორი — ფინალისტ „სიეტლთან“. მომდევნო სეზონში ჯორდანმა უძვირფასესის წოდება იუტელ კარლ მელოუნს დაუთმო, სამაგიეროდ, ფინალში ჩემპიონობა წაართვა. შემდეგ სეზონში კი მელოუნს არც ერთი ერგო და არც მეორე. 1998 წელს „ჩიკაგო“ მეექვსედ და საბოლოოდ გახდა ჩემპიონი, რის შემდეგაც „ხარების“ უძლეველი კრებული დაიშალა.

პირველი გაფრენილი მერცხალი ფილ ჯეკსონი იყო. მან კლუბის ხელმძღვანელებთან იჩხუბა. ჯეკსონს ჯორდანიც მიჰყვა, იგი მეორედ გავიდა პენსიაზე. კლუბმა უმადურობა გამოიჩინა და სკოტის პიპენს კარისკენ მიუთითა. სხვებიც მალევე წავიდ-წამოვიდნენ.

დღეს „ჩიკაგო ბულზი“, უძლეველი გუნდი, ბოლოდან პირველია. ხელმძღვანელობა ცდილობს, საშუალოთა შორის მაინც აღაზევოს ოდესღაც დიდებული კლუბი. წლევანდელ დრაფტში „ხარებმა“ ორი სკოლის მოსწავლე აიყვანეს, სწორედ მათ უნდა უპატრონონ დიად წინამორბედთა დანატოვარს.

ირაკლი ფირაყვილი

თავისუფალ აგენტთა ბაზარი

27-29 ივლისი

მაიამი ჰიტი: აიყვანა ფორვარდი ლაფონსო ელისი (მინესოტადან)

დალას მავერიძსი: აიყვანა უკანახაზელი ადრიან გრიფინი (ბოსტონიდან)

ატლანტა ჰოქსი: აიყვანა უკანახაზელი ემანუელ დევისი (სიეტლიდან), აიყვანა უკანახაზელი ჯაკ ვონი (იუტადან)

მინესოტა ტიმბერვულვზი: აიყვანა ფორვარდი ჯო სმიტი (დეტროიტიდან)

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი: აიყვანა ფორვარდი რუბენ პატერსონი (სიეტლიდან)

მილუოკი ბაძსი: შეინარჩუნა უკანახაზელი რიფერ ალსტონი

ამრევი ჯო კვლავ მგელია



მგელყოფილი ჯო სმიტი (№32) ძველ ბუნაგში დაბრუნდა

თავისუფალ აგენტთა ბაზარს ჯერაც შემორჩენია რიგიანი ბიჭების ჯგუფი. ყველა ეშურება მათ გადაბირებას, სასურველი კალათბურთელები კი თვალსა და ხელს შუა ილევიან. სამაგიეროდ, მომავალი სეზონის სამზადისში მოფუსფუსე გუნდები ივსებიან.

ამ უქმეებზე ყველაზე დიდი აჟიოტაჟი დეტროიტელი თავისუფალი აგენტის ჯო სმიტის „მინესოტა ტიმბერვულვზში" გადასვლამ გამოიწვია. მან გასულ კვირას „მგლებთან" ექვსწლიანი და 34-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. თავისთავად სმიტის ხელფასი, წელიწადში თითქმის ექვსი მილიონი დოლარი, ზომიერი თანხაა, ამგვარი და გაცილებით სარფიანი ხელშეკრულებების დადება კლუბსა და მოთამაშეს შორის ლამის ყოველდღიური მოვლენაა. თუმცა კონტრაქტის პირობებზე მეტად თავად სმიტის „მინესოტაში" გადასვლის ფაქტმა ააგორა ჭორების ტალღა.

საქმე ისაა, რომ 1995 წლის დრაფტის პირველი ნომერი ჯო სმიტი ძველი მინესოტელია და ამ კლუბიდან იძულებით მოუხდა წამოსვლა. შარშან მავანმა მოხერხებულმა ჟურნალისტმა სმიტს და „ტიმბერვულვზს" ფარული კონტრაქტი აღმოუჩინა და რაღა თქმა უნდა, იგი საჯაროდ გამოამზეურა. ფარულ გარიგებებს, სადაც კლუბი მოთამაშეს გადაბირების მიზნით უფრო დიდ ხელფასს სთავაზობს, ვიდრე ლიგის კანონებითაა დაშვებული, ნბა დაუნდობლად ებრძვის და „მინესოტასაც" შარშან კომისარ დევიდ შტერნის და ასოციაციის სხვა მამების რისხვა დაატყდა თავს. ხსენებული კონტრაქტი, ცხადია, გაუქმდა. ნბა-მ კლუბს მომავალი ზუთი დრაფტის პირველ წრეში არჩევანის გაკეთების უფლება წაართვა, სამი მილიონი დოლარით დააჯარიმა და კიდევ მრავალი სხვა, შედარებით წვრილმანი სანქციები დაადო. სასჯელს ვერ ასცდნენ კლუბის მფლობელი გლენ ტეილორი და ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავი, აწ კი „მგლების" გენერალური მენეჯერი კევინ მაკჰეილი. ისიც კი დაივიწყეს, რომ ამ უკანასკნელს ნბა-ს დიდებისა და კალათბურთის პოპულარიზაციისთვის ბევრი რამ გაუკეთებია და რამდენიმე თვით კლუბის ოფისთან გამოჩენა აუკრძალეს.

ყოველივე ამის შემდეგ სმიტს „მინესოტაში" აღარ დაედგომებოდა და იგი სხვა გუნდში, კერძოდ, „დეტროიტში" გადაბარგდა, სადაც გუნდის ძირითად თავდამსხმელად და ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. თითქოს იქ თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ დღეს სმიტი კვლავაც მინესოტელია, ცნობისმოყვარეთ კი ახალი ჭორების საბაბი გაუჩნდათ. ამ ჭორებს ის ასაზრდოებს, რომ იმ ხელშეკრულების მიუხედავად, რომელიც სმიტმა და „მგლებმა" დადეს, ნბა ოფიციალურ თანხმობას არ იძლეოდა და მხარეები შეშობდნენ, ეს კონტრაქტი გაუქმებულად არ გამოცხადებულიყო. თუმცა, როგორც სმიტის აგენტი დან ფეგანი ამბობს, ამჯერად ხელშეკრულება წესების სრული დაცვით გაფორმდა და ნბა ვერაფერზე მოედავება მხარეებს. ორშაბათს კი, ნბა-მ მოწყალება მოიღო და კონტრაქტი კანონიერად ცნო, ასე რომ სმიტი ახლა „მინესოტას" სრულუფლებიანი წევრია.

ისე კი, სმიტის მისვლამ ამჯერადაც ავნო „მინესოტას". ჯოს ამპლუის მოთამაშე ლაფონსო ელისი „მგლების" რიგებში დარჩენას აპირებდა, მაგრამ რომ დაინახა, კონკურენტი გამომიჩნდაო, სხვა გუნდის ძებნა დაიწყო და მალევე მიაგნო კიდეც. ლაფონსოს აყვანის სურვილი „მაიამი ჰითმა" გამოთქვა და არც ელისმა აიბზიკა ცხვირი ამ გუნდზე. ექსმინესოტელი და ფლორიდული კლუბი სამი წლის განმავლობაში ითანამშრომლებენ, კონტრაქტის სხვა პირობების საჯაროდ გაცხადება კი მხარეებმა არ ისურვეს.

ელისი უნივერსალია. იგი ნომინალური თავდამსხმელია, თუმც გაჭირვებაში არც ცენტრობას და ფრთაზე თამაშს თაკილობს და ეს არცთუ ურიგოდაც გამოსდის. რადგან „მაიამის" ძირითად ფრთას, ენტონი მეისონს ამ გუნდიდან აბარგების წყურვილი ჰკლავს, სასტარტო ხუთეულში მისი ადგილი შესაძლოა „ჰითის" ახალწვეულმა დაიკავოს, ხოლო თუ მეისონი დარჩა, იგი მას და თავდამსხმელ ბრაიან გრანტს დასვენების საშუალებას მისცემს, ანუ მათი შემცვლელი იქნება. „ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ძირითადში ვითამაშებ თუ შეცვლაზე, ნებისმიერ შემთხვევაში შევეცდები, მაქსიმუმი გავიღო. ამ გუნდმა თბილად მიმიღო და მინდა, ასევე გადავუხადო სამაგიერო" — ამბობს ელისი. მაიამელები კი თითქმის არაფერს ამბობენ, ეშინიათ, ტრავმებმა კვლავ არ შეახსენოს თავი მათ ახალწვეულს. ელისი თუმც მოხუცი არაა, 31 წლის გახლავთ, მაგრამ ხშირად იღებს ტრავმებს და ხანგრძლივ კარიერაში ზოგჯერ ნახევარი სეზონიც გამოუტოვებია. ამჯერად იგი ჯანმრთელია, რასაც განვლილი სეზონიც მოწმობს, რომელიც ელისმა საღ-სალამათმა ჩაატარა და „მინესოტას" უკლებლივ ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა.

სერიოზული დანაკლისი განიცადა „სიეტლ სუპერსონიქსმა". გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ რუბენ პატერსონმა, ისე რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, დატოვა სიეტლი და ამ ორშაბათს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან" ერთწლიანი და 4,5-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი თავისუფალი აგენტია და, ცხადია, სადაც სურს, იქ წავა. თუმც რომ მიდიოდა, ორიოდ სიტყვით წინასწარ მაინც გავეფრთხილებინეთო — ჩივიან სიეტლელები. მათ სხვა გეგმები ჰქონდათ პატერსონთან დაკავშირებით. მართალია, მისი გუნდში დატოვება არ სურდათ, რადგან კალათბურთელის გვარმა რამდენჯერმე სკანდალურად გაიელერა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, მაგრამ გაცვლას კი უპირებდნენ. ამ ბოლო ხანებში პატერსონი რამდენჯერმე გაეხვია სერიოზულ შარში. ჯერ ნარკოტიკების ხმარება დაუდგინეს, შემდეგ არასრულწლოვანის გაუპატიურება ბრალდებოდა, დაბოლოს, ვიღაც მძღოლი უჩიოდა, შემთხვევით მის მანქანას შეეჯახე, ეგ კი მომდგა და ძვალი არ დამიტოვა მთელიო. „სონიქსმა" ხელიგანი რუბენის მოშორება გადაწყვიტა და „კლივლენდში" ან „დალასში" უპირებდა გაცვლას, მაგრამ პატერსონი „პორტლენდის" გზას გაუყვა.

ისე, „სიეტლის" ხელმძღვანელობა უბრალოდ თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ეს ზარალი კი მას წელში არ გატეხს. პატერსონის წასვლით კლუბს სახელფასო ფონდში დაახლოებით ხუთი მილიონი დოლარი გამოუთავისუფლდა. ამ ფულით „ზებგერითებს" საშუალება ექნებათ, სასურველი კალათბურთელი, ამ შემთხვევაში დალასელი ცენტრი კელვინ ბუთი ან გოლდენსტეიტელი ასევე ცენტრი მარკ ჯეკსონი, აიყვანონ.

აქტიურად ვაჭრობენ სხვა გუნდებიც. ამ უქმეებზე „დალასმა" აიყვანა ბოსტონელი თავისუფალი აგენტი ადრიან გრიფინი, რომელსაც ტრავმების გამო გასული სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა და ამიტომ „ბოსტონი" იოლად შეელია.

„ატლანტა ჰოქსმა" სიეტლელი თავისუფალი აგენტი ემანუელ დევისი მიიწვია და მას გუნდის პირველი მექულის, ჯეისონ ტერის შემცვლელად გამწესებას უპირებს.

ივანე კობიაჯვილი

სტუ-ჯეოსელის მოკლეტექსტური შეტყობინებები

ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ!

მამუკა კაციტაძე

წინა ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობის ავტორი უდავოდ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდია. პლეი ოფის დაწყებამდე ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ ფინალში ბათუმის „ბასკო" და რუსთავის „აზოტი" ითამაშებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. დრამატულ სერიაში, რომელიც საბოლოოდ სკანდალით დასრულდა, „სტუ-ჯეოსელმა" „აზოტს" ტრადიცია დაურღვია და ფინალს მიღმა დატოვა. შემდეგ იყო ფინალი, რომელშიც სტუდენტები „ბასკოსთან" პირწმინდად დამარცხდნენ, თუმც ფინალში გასვლა მათთვის უკვე მიღწევა იყო. წლეულს სტუდენტთა მესვეურთ გუნდის გაძლიერება და შესაბამისად ქვეყნის ჩემპიონობა ამოუჭრიათ გულში. გუნდის დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება „სტუ-ჯეოსელის" პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე.

— როგორი სიტუაციაა გუნდში?

— პირველ რიგში იმას გეტყვით, რომ ჩვენი კლუბი მომავალ სეზონშიც იგივე სახელწოდებით გამოვა, რადგან „ჯეოსელთან" შარშან დადებული ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გავახანგრძლივეთ. ასე რომ, ფინანსური პრობლემები ნაკლებად შეგვაწუხებს, ეს კი გუნდის გაძლიერების უპირველესი პირობაა.

რაც შეეხება შემადგენლობას, ყველა ჩვენს მოთამაშეს გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა და თუ ვისთან გავაგრძელებთ თანამშრომლობას, ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც ჩვენთვის სასურველ კალათბურთელებთან გავარკვევთ ურთიერთობებს.

— კერძოდ, ვისთან აწარმოებთ მოლაპარაკებებს?

— ქართველთაგან თითქმის გადაწყვეტილია მამუკა აბრამიძისა და ზვიად ბაბიაშვილის ჩვენს გუნდში თამაში. არჩილ ჟღენტთან და კახა შენგელიასთანაც გვქონდა მოლაპარაკებები, თუმცა არა მგონია, მათ ჩვენთან ითამაშონ, რადგან უცხოეთში წასვლა აქვთ გადაწყვეტილი.

— ქართველებით რატომ დაიწყეთ, უცხოელთა მიწვევასაც ხომ არ აპირებთ?

— დიახ. გადაწყვეტილი გვაქვს ორი აფრიკელი კალათბურთელის დამატება. ორივე რუსეთში, სარატოვის „ავტოდორში" თამაშობს. ერთი 207-სანტიმეტრიანი ცენტრია, ხოლო მეორე გამთამაშებელი. რამდენიმე დღეში გაირკვევა მათი საკითხი. ისინი თბილისში ჩამოვლენ, ჩვენთან ივარჯიშებენ და თუ ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, დავიტოვებთ.

— გუნდს ვინ დატოვებს?

— ახალწვეულთა საკითხს რომ გადავჭრით, მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტთ, თუ ვინ გავუშვათ გუნდიდან. რომელი ამპლუის მოთამაშეებსაც დავიმატებთ, შესაბამისად, იმ პოზიციაზე მოთამაშე კალათბურთელებს დავითხოვთ.

— წინა სეზონში ვერცხლის მედლებს დაეუფლეთ...

— ამაზე შეჩერებას ნამდვილად არ ვაპირებთ. შარშანდელი შემადგენლობით ფინალში გავედით, ახლა კი იმ გუნდის მესამედი, თუ მეტი არა, უფრო ძლიერი კალათბურთელებით შეიცვლება. აქედან გამომდინარე ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

ზანგმაზი წავიდნენ, ტყუპმაზი მოვიდნენ

მას შემდეგ, რაც მეათე ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა, უმნიშვნელო პერიოდს თუ არ ჩავთვლით, თბილისის „მაკაბის" ვარჯიში არ შეუწყვეტია. ეროვნული ჩემპიონატის გარდა მაკაბელებს სხვა საზრუნავიც აქვთ. სექტემბრის შუა რიცხვებში „მაკაბის" კორაჩის თასზე მოუწევს ძალების მოსინჯვა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ „მაკაბი" საქართველოს კლუბებიდან ერთადერთია, რომელიც ევროთასებზე გამოვა. ისევე როგორც სხვა კლუბებში, შემადგენლობის მხრივ „მაკაბიშიც" სიახლეებია. უკვე გადაწყდა, რომ თსუ-ში ერთწლიანი ყოფნის შემდეგ ტყუპები — დავით და ირაკლი ბერიშვილები კვლავ „მაკაბის" მაისურას მოირგებენ. „მაკაბისვე" საკუთრებაა შევარდენელი ლადო სუხიშვილი, თუმცა ჯერ მის ახალ გუნდში თამაში საეჭვოა, რადგან არის პერსპექტივა, რომ მან საზღვარგარეთ გააგრძელოს კარიერა. ასევე გაურკვეველია ახალგაზრდული ნაკრების წევრის, ირაკლი შანიძის ბედი. იგი ოთხწლიანი კონტრაქტით კი არის „მაკაბისთან" დაკავშირებული, მაგრამ თსუ-ში თამაში განუზრახავს და ძველ გუნდთანაც რამდენიმე დღეა, აღარ ვარჯიშობს.

გუნდი ორმა ლეგიონერმა დატოვა, დიდიე დაჩუმმა მშობლიურ კამერუნს მიაშურა, ხოლო მეორე შავკანიანი ჟოლივერტ ტუჯანი დღესდღეობით „ბასკოში" ვარჯიშობს და ალბათ მომავალი სეზონიდან ზღვისპირელთა შემადგენლობაში ვიხილავთ. ალექსანდრე ფერიაშვილმა კი, რომელსაც წინა სეზონი ტრავმის გამო ჩაუვარდა, კალათბურთს თავი დაანება და მეთერთმეტე ეროვნულიდან მაკაბელთა ერთ-ერთი დამრიგებელი იქნება.

ირაკლი ბერტაია

საქართველოს და იმერეთის სამხარეო ველოსპორტის ფედერაციები თანაუგრძნობენ იმერეთის სამხარეო ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტს კახა მაღლაკელიძეს

მამის

გარდაცვალების გამო

სარბიელი
სპორტული ლატარია
პროტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-2 ტური

		4 აგვისტო			
18.30	001	ბაიერნი-შალკე	1,6	3,3	5,3
18.30	002	ვოლფსბურგი-ზანქტ პაული	1,5	3,5	6,0
18.30	003	ჰერტა-დორტმუნდი	2,3	2,9	3,0
18.30	004	ვერდერი-კოტბუსი	1,5	3,5	6,0
18.30	005	ჰამბურგი-შტუტგარტი	1,8	3,1	4,0
18.30	006	კიოლნი-მიუნხენი	1,9	3,1	3,6
18.30	007	ჰანზა-ლევერკუზენი	2,7	3,0	2,4
		5 აგვისტო			
20.30	008	ნიურნბერგი-ფრაიბურგი	2,4	3,0	2,7
20.30	009	კაიზერსლაუტერნი-მაინცი	1,6	3,4	5,0

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-2 ტური

		3 აგვისტო			
23.45	037	მარსელი-ბორდო	2,2	2,9	3,0
		4 აგვისტო			
20.15	038	ნანტი-ლანსი	1,6	3,2	5,6
23.00	039	სოშო-რენი	2,0	3,0	3,5
23.00	040	მონაკო-მონპელიე	1,5	3,5	6,0
23.00	041	მეცი-ტრუა	2,1	2,9	3,4
23.00	042	ლიონი-სედანი	1,6	3,2	5,6
23.00	043	ლილი-ლორიანი	1,55	3,3	6,0
23.00	044	გენგამი-ბასტია	2,0	2,9	3,6
23.00	045	ოსერი-პსჟ	2,4	2,9	2,8

ჩეხეთი. მე-2 ტური

		3 აგვისტო			
19.30	056	იაბლონეცი-სლავია	3,6	3,2	1,85
		4 აგვისტო			
21.30	057	ჰ.კრალოვე-სპარტა	6,5	4,0	1,4
		5 აგვისტო			
13.15	058	ჟიჟკოვი-ტეპლიცე	1,95	3,1	3,5
13.15	059	დრნოვიცე-ბანიკი	1,8	3,2	3,6
19.30	060	ლიბერეცი-ბლშანი	1,65	3,3	4,7
19.30	061	ოპავა-სინოტი	2,3	3,0	2,9
19.30	062	პრეიბრამი-ბოჰემიანსი	1,7	3,1	4,7
19.30	063	სიგმა-ბრნო	1,4	3,8	7,0
	064	სიგმა-ბრნო 0:1	2,0	3,0	2,4

ავსტრია. მე-5 ტური

		1 აგვისტო			
21.00	096	ბრეგენცი-შტურმი	3,5	3,1	1,95
22.30	097	აუსტრია-რიდი	1,7	3,2	4,4
22.30	098	გრაცერი-კერნტენი	1,6	3,2	5,6
22.30	099	ტიროლი-ადმირა	1,2	5,6	10,0
	100	ტიროლი-ადმირა 0:1	1,5	3,5	3,5

რუსეთი. მე-20 ტური

		1 აგვისტო			
17.00	126	კრილია-ლოკომოტივი	2,4	2,9	2,8

ფინეთი. 23-ე ტური

		1 აგვისტო			
20.30	153	ლაჰტი-კუოპიო	1,95	3,2	3,4
		2 აგვისტო			
20.30	154	ჯაზი-ატლანტისი	3,4	3,3	1,9
20.30	155	იოკერიტი-ინტერი	2,8	3,1	2,3
20.30	156	ტამპერე-ვაასა	1,45	3,6	6,5
	157	ტამპერე-ვაასა 0:1	2,0	3,2	2,3

ბელგია. სუპერთასი

		4 აგვისტო			
23.00	163	ვესტერლო-ანდერლეხტი	3,0	3,3	2,1

ნორვეგია. თასის 1/4 ფინალი

		1 აგვისტო			
21.00	164	ვიკინგი-ტრომსიო	1,4	4,0	6,5

ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. II მატჩები

		1 აგვისტო			
19.30	502	შერიფი-ანდერლეხტი	3,8	3,3	1,75
20.30	503	ვისლა-სკონტო	1,4	3,8	7,0
21.00	504	მაკაბი (ჰ)-ჰაკა	1,65	3,3	4,7
22.00	505	ჰალმსტადი-ბოჰემიანი	1,25	5,0	9,0
22.00	506	კოპენჰაგენი-ტორპედო	ანგარიში - 5,0		
22.00	507	ინტერი (სლკ)-მოზირი	1,4	3,8	7,0
23.00	508	ცრვენა ზვეზდა-ომონია	1,25	5,0	9,0
23.00	509	ვლაჟნია-გალათასარაი	4,2	3,3	1,7
23.00	510	სლოგა-სტიაუა	3,3	3,2	2,0
23.15	511	ჰაიდუკი-ფერენცვაროში	1,55	3,4	5,6
23.30	512	ბარი თაუნი-პორტუ	8,0	4,4	1,25
23.45	513	ბრანი-ლევსკი	1,75	3,1	4,2
23.45	514	რეინჯერსი-მარიბორი	1,2	5,6	10,0

ინტერტოტო. 1/2 ფინალი. II მატჩები

		1 აგვისტო			
19.30	515	ლოზანა-ბაზელი	1,9	3,1	3,6
23.00	516	ვოლფსბურგი-ტრუა	1,8	3,1	4,0
23.00	517	პსჟ-გენტი	1,4	3,8	7,0
23.30	518	ბრეშა-ბლშანი	1,35	4,0	7,5
23.45	519	ნიუკასლი-მიუნხენი	1,7	3,3	4,2
23.45	520	ასტონ ვილა-რენი	1,65	3,3	4,7

კოპა მერკოსური

		1 აგვისტო			
05.10	522	ბოკა ხუნიორსი-სერო პორტენიო	1,35	3,8	7,0
		2 აგვისტო			
05.10	523	ველეს სარსფ.-ტალიერესი	1,6	3,4	5,0

კოპა მერკონორტე

		1 აგვისტო			
02.00	525	ამერიკა-ალიანსა	1,3	4,0	7,5
05.30	526	ვიზარდსი-სპ.კრისტალი	1,7	3,3	4,2
		2 აგვისტო			
02.00	527	გვადალახარა-მილიონარიოსი	1,7	3,2	4,4

ამხანაგური მატჩები (ნეიტრალ.)

		1 აგვისტო			
21.00	529	რომა-არსენალი	2,0	3,1	3,4

შემდეგ ეტაპზე გასვლა

		1 აგვისტო	
19.30	602	შერიფი-ანდერლეხტი	25,0 - ---
20.30	603	ვისლა-სკონტო	1,02 - 10,0
21.00	604	მაკაბი-ჰაკა	1,1 - 5,0
22.00	605	ჰალმსტადი-ბოჰემიანი	1,01 - 15,0
22.00	606	კოპენჰაგენი-ტორპედო	--- - ---
22.00	607	ინტერი (სლკ)-მოზირი	1,05 - 7,5
23.00	608	ცრვენა ზვეზდა-ომონია	1,02 - 10,0
23.00	609	ვლაჟნია-გალათასარაი	15,0 - 1,01
23.00	610	სლოგა-სტიაუა	15,0 - 1,01
23.15	611	ჰაიდუკი-ფერენცვაროში	1,3 - 2,8
23.30	612	ბარი თაუნი-პორტუ	99,0 - ---
23.45	613	ბრანი-ლევსკი	1,4 - 2,3
23.45	614	რეინჯერსი-მარიბორი	--- - 25,0
19.30	615	ლოზანა-ბაზელი	7,5 - 1,05
23.00	616	ვოლფსბურგი-ტრუა	1,9 - 1,55
23.00	617	პსჟ-გენტი	1,15 - 4,0
23.30	618	ბრეშა-ბლშანი	1,02 - 10,0
23.45	619	ნიუკასლი-მიუნხენი	1,05 - 6,0
23.45	620	ასტონ ვილა-რენი	1,6 - 1,8

ტურში გატანილი გოლები

		4 აგვისტო	
18.30	701	გერმანია (1-ლი)	24 და ნაკლები - 1,9; 26 და მეტი - 1,9
		3 აგვისტო	
23.45	702	საფრანგეთი (მე-2):	22 და ნაკლები - 1,9; 24 და მეტი - 1,9
		3 აგვისტო	
19.30	703	ჩეხეთი (მე-2):	19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9
		3 აგვისტო	
19.00	704	პოლონეთი (მე-3):	19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დღეიდან, 1 აგვისტოდან ტროპო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა

გურჯაანში

დღეს, 1 აგვისტოს გაიხსნება ტროპოს ახალი ბიურო. მისამართი: დავით გურამიშვილის ქუჩა №28

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბი თავადი, სპორტსმენი, ონკოლოგი

კოტე მადიჩი ფეხბურთზე, კალათბურთსა და ბორის პაიჭაძის ფენომენზე

ექიმი კოტე მადიჩი ადრე ცნობილი სპორტსმენი იყო

კოტე მადიჩის მთავარი საქმე კიბოსთან ბრძოლაა

ჩვენი რესპონდენტია ცნობილი ონკოლოგი, სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრის გამგე, მედიკო-სოციალური აკადემიის ნამდვილი წევრი და რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი კოტე მადიჩი. თითქოს სად ონკოლოგია და სად სპორტი, მაგრამ სამამულო ომის შემდგომი პერიოდის კალათბურთის ქომაგებს იგი ეხსომებათ, როგორც თბილისის „დინამოს" კალათბურთელი, რომელმაც გუნდთან ერთად 1948 წელს საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა პირველობა მოიგო.

— ბატონო კოტე, თქვენი გვარი ქართულს არ ჰგავს...

— მაგრამ თავადის გვარია. ჩემი წინაპრები სერბები იყვნენ და სხვათა შორის, საერთო ძირი აქვთ განთქმულ იტალიელ მედიჩებთან. სამწუხაროა, რომ ჩემი გვარიც, სხვა არისტოკრატიული გვარებივით, ნელ-ნელა ქრება. თუმც ადრე ლიუბლიანაში რომ ვიყავი (მაშინ იქ საბჭოთა კავშირის დღეები იყო), დამაინტერესა, აბა, იუგოსლავიაში თუ ვინმე დარჩა-მეთქი, ტელეფონების წიგნი ავიღე და ოთხი მადიჩი „აღმოვაჩინე".

— თქვენი ცხოვრება სპორტით დაიწყო და ეს გატაცება კარგა ხანსაც გაგრძელდა.

— ბავშვობიდან მიყვარდა სპორტი და არაერთ სახეობაში მისინჯავს ძალა. 42-ე სკოლაში ვსწავლობდი, რომლის შეფიც მალე სპორტსაზოგადოება „დინამო" გახდა. უკვე მე-7 კლასიდან ვთამაშობდი ფრენბურთს, მერე ფეხბურთზე გადავერთე. ფიზკულტურას გვასწავლიდა ცნობილი პედაგოგი თამარ გეგელაშვილი, რომელიც სპორტზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი გახლდათ და მუდამ ჩვენი წარმატებებისთვის ზრუნავდა. მერე ჩამრიცხეს „დინამოს" ბავშვთა გუნდში, იქიდან მოზრდილებში გადავედი, მაგრამ ფეხბურთს დიდხანს არ გავყოლილვარ, კალათბურთზე გადავედი.

— კალათბურთი უფრო მოგწონდათ?

— ფეხბურთიც ძალიან მიყვარდა, უბრალოდ, მაშინ იგი კალათბურთზე ბევრად მეტ დროს ითხოვდა, მე კი პარალელურად მედიცინის შესწავლა დავიწყე და დროის დეფიციტი მქონდა. კალათბურთში მაშინ ბევრად ადვილი იყო, ერთი თვე შეკრება, ერთი თვე ჩემპიონატი, დანარჩენი დრო თავისუფალი მქონდა და ვსწავლობდი. თამაშობდი „დინამოს" იმ გუნდში, რომელმაც 1947 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და იმავე წელს მეორე ჯგუფიდან პირველში გადავიდა. დახედეთ, გეთაყვა, ამ ფოტოებს...

ბატონმა კოტემ თავისი მდიდარი ფოტოარქივი გამოგვიმზეურა, სადაც იგი სულიკო თორთლაძის, გიორგი ავალიშვილისა და სხვა ცნობილი საკალათბურთო მოღვაწეების კომპანიაშია გადაღებული.

— პირველ ჯგუფში თამაშობდა მაშინ ქუთაისის ძლიერი გუნდი, მაგრამ როგორც კი ჩვენ გადავედით, ასე ვთქვათ, უმაღლეს ლიგაში, ქუთათურები „დინამოში" გადმობარგდნენ. ძალიან ძლიერი კალათბურთელები იყვნენ, მარტო ოთარ ქორქია რად ღირს. მომდევნო სეზონში ტალინში რომ სპორტსაზოგადოებათა პირველობა მოვიგეთ, ქორქიამ ლომის წილი დაიდო. წინიდან, უკნიდან, ყოველი მხრიდან მის დაჭერას ცდილობდნენ და ჩვენ გარღვევებისთვის დიდი სივრცეები მივიღეთ. ფინალში სანამ მეტოქე ტაქტიკას მიგვიხვდებოდა და რაღაცას შეცვლიდა, კარგა 15 ქულით დავწინაურდით და მერე ველარც მსაჯების დახმარებამ უშველათ და ვერაფერმა. ძალიან მაგრები იყვნენ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია.

— თქვენ არც ისეთი მაღალი ხართ. ამის გამო პრობლემები ხომ არ გექმნებოდათ?

— არა. ეს შემდეგ გაიზარდა მოთხოვნილება ტანმაღალ კალათბურთელებზე, თორემ მაშინ დაბლები არანაკლებ თამაშობდნენ. ალბათ სიმაღლე არ იყო იმის მიზეზი, რომ 1948 წელს გუნდიდან გამიშვეს. ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა: დამიბარეს, მადლობა მითხრეს გუნდისთვის გაწეული სამსახურისთვის და განმიცხადეს, რომ საჭირო აღარ ვარ. ასე მორჩა ჩემი საკალათბურთო მოღვაწეობა.

— გადაერთეთ მთლიანად მედიცინაზე...

— ბოლომდე სპორტი არ მიმიტოვებია. უკვე გითხარით, ვთამაშობდი ფრენბურთს, ფეხბურთს, კალათბურთს... კარგი მოთხილამურეც ვიყავი, ერთხელ გამოჩენილ სპორტსმენებთან ერთად გორიდან ბაკურიანამდე 175-კილომეტრიანი გარბენი მოვაწყვეთ, აგერ, ფოტოზე ვართ მონაწილეები. ალბათ გეცნოთ ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში მზია ჯუღელი, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი... არ მეთმობოდა სპორტი და მასში რაღაც ფორმით ყოფნა ადრე მუდამ მინდოდა. კალათბურთის გუნდიდან რომ დამითხოვეს, 49-ში მე და გარუნ აკოფოვი, შემდგომში თქვენი კოლეგა, სპორტული ჟურნალისტი, საკავშირო პირველობაზე მსაჯებად წავედით. ის დრო იყო, როცა გიგანტი ვასილ ახტაევი თამაშობდა და მისი წყალობით ალმა-ათის გუნდი ჩემპიონი გახდა.

მერე სწავლა გავაგრძელე და სპორტულ მედიცინასთანაც მქონდა კავშირი. მოსკოვში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრაზე გამიშვეს, ტრავმატოლოგიაში პროფესორ აბრამ ლანდასთან ვიწაფებოდი. ძალიან ცნობილი ექიმი იყო, ბორის პაიჭაძეს მან გაუკეთა მენისკის და ჯვარედინი იოგების ოპერაცია. ჩემოვედი თბილისში და „დინამოს" ექიმობაც შემომთავაზეს. 1952 წელი იყო.

— პაიჭაძე მაშინ ჯერ კიდევ გუნდში გახლდათ...

— დიახ, მერე კი გუნდის უფროსად დანიშნეს.

— მასზე რამეს ხომ არ გაიხსენებდით?

— უდიდესი ფეხბურთელი იყო. არ მინახავს მაგისთანა მოთამაშე. დაიწყებდა თავის კარიდან და დრიბლინგით ბოლომდე მიდიოდა. ისე მოაწყობდა საქმეს, რომ სხვებს ხანდახან ბურთზე ფეხის წაკვრის მეტი არაფერი სჭირდებოდათ გოლის გასატანად. ხალხშიც უზომო პოპულარობით სარგებლობდა. მაშინ ხომ ტელევიზია არ იყო, პაიჭაძის თამაშს მარტო სტადიონზე მისული ხალხი უყურებდა და კიდევ სინიავსკის რადიორეპორტაჟებს უსმენდნენ. ეს იყო და ეს, მაგრამ მატარებლით რომ ვმგზავრობდით, ხალხი სადგურებზე გროვდებოდა პაიჭაძის სანახავად. ორი კაცის ფინტების გადასაღებად დადიოდა ხოლმე სპეციალური ჯგუფი, ფედოტოვის და პაიჭაძის.

— „დინამოში" ურთიერთობა მწვრთნელებთანაც გექნებოდათ...

— რა თქმა უნდა. ვიცნობდი ჟიულ ლიმბეკს...

— ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებს ღვინოს რომ ასმევდა?

— ღვინოსა და მასეთ სასმელებზე ცალკე გეტყვით. მე ხომ ექიმი ვარ, მაგრამ არა მგონია, რომ ცოტა ალკოჰოლი სპორტსმენებზე უარყოფითად მოქმედებდეს. როცა თბილისში ბასკები ჩამოვიდნენ, ვარჯიშებს შორის შესვენებისას ადგნენ და კონიაკი დალიეს. ცოტ-ცოტა, რა თქმა უნდა, მაგრამ ისეთი ჯანზე მოვიდნენ, სულ დაგვიხეთქეს ეს ჩვენი უხარისხო ბურთები. ასე იყო ეს საქმე... ჰო, მწვრთნელებზე ვამბობდი. ჩემს დროს „დინამოს" წვრთნიდნენ მიხეილ იაკუშინი და ალექსანდრ სოკოლოვი. იაკუშინი იყო ყოველმხრივ ნაღდი პროფესიონალი, ფეხბურთი სრულყოფილად ესმოდა.

— ძნელია სპორტული ექიმობა?

— ძნელია, იმიტომ, რომ სხვა თუ არაფერი, საქმე გაქვს 30 სხვადასხვა ფსიქოლოგიის კაცთან და ყველას თავისებურად უნდა მიუდგე, თან მაშინ ფეხბურთელები რეაბილიტაციის კურსებსაც ჩემთან გადიოდნენ.

— ახლა საქართველოში დიდ-პატარა პირობების უქონლობას უჩივის. თქვენს დროს როგორ იყო?

— არც მაშინ იყო დიდი ბედენა. ფეხბურთელები ჯერ „დინამოს" სტადიონის ჩრდილოეთ ტრიბუნასთან, საერთო საცხოვრებელში იყვნენ, მერე გადავიდნენ დიღომში, ოღონდ ბაზა მოგვიანებით აშენდა, მაშინ რაღაც ბარაკები იდგა და იქ გვიწევდა ყოფნა.

არამარტო პირობებია დამნაშავე ქართული სპორტის დღევანდელ სავალალო ვითარებაში, რასაც ვუყურებ და გული მტკივა. რაღაც უფრო დიდია დაკარგული. ჩვენს დროს სტადიონზე გავდიოდით მარტო სათამაშოდ და მოსაგებად, ფული და სხვა რამეები არ გვაინტერესებდა და თან როგორი სიტუაცია იყო: თუ მეტოქეს ორი თავით არ სჯობდი, არავინ გაგახარებდა. დღეს კი სტადიონზე აღარ დავდივარ ფეხბურთის საყურებლად. ეს რა ფეხბურთია? ასე ეზოში-თამაშობენ.

— გამოსავალი?

— ეკონომიკური ბაზა და მთავრობის მხარდაჭერა. ძველად მთავრობა სპორტსმენებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა.

— „დინამოს" დატოვების შემდეგ თუ გქონდათ სპორტთან შეხება?

— როგორ არა, აგარაკზე ბავშვებთან ფეხბურთს და კალათბურთს ახლაც ვთამაშობ (იცინის). არა, თითქმის არავითარი, მერე მთლიანად ონკოლოგიაზე გადავერთე და ამ სფეროში ვმოღვაწეობ. ონკოლოგიაში თითქმის ყველა საერთაშორისო კონგრესის მონაწილე ვარ, 145 ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, ქიმიოთერაპიაში სასწავლო პროგრამა შევადგინე და რამდენიმე სამეცნიერო საბჭოში ვარ. ჩემი ძირითადი საქმე ონკოლოგიური ოპერაციებია.

— ახლაც აკეთებთ ოპერაციებს (ბატონი კოტე 79 წლისაა)?

— აი, დღეს ერთი გავაკეთე, ხვალ კიდევ ორი მელის. სანამ ფეხზე ვდგავარ, იმ საქმეს ვერ მივატოვებ და ფეხზე რომ ვდგავარ, ამაში სწორედ სპორტმა ითამაშა უდიდესი როლი.

დავით გულუა

კოტე მადიჩი (წინა პლანზე) ნინო დუმბაძესთან (ზემოთ), მზია ჯუღელთან (შუაში), ელენე გოკიელთან (წინ) და სხვა ცნობილ ქართველ სპორტსმენებთან ერთად

კოტე მადიჩი და ბორის პაიჭაძე

ხალხთა ენა

როგს ბევრი სამუშაო აქვს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეული პრეზიდენტი ჟაკ როგი ოლიმპიური თამაშების პროგრამის რეფორმირებას არ გამორიცხავს. გერმანულ „ბილდთან“ საუბარში მან თქვა, რომ ყველაფერი ძირფესვიანადაა ასაწონ-დასაწონი. კერძოდ, გადასაწყვეტია, თუ რამდენი სპორტის სახეობაა ოპტიმალური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესატანად, რადგან თავად მიაჩნია, რომ ამჟამინდელი დონე, რომელშიც სპორტის 28 სახეობა შედის, მაქსიმალურია.

გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სპორტის სახეობებს, რომლებიც თანდათანობით კარგავენ პოპულარობას, ალბათ, ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოგდება მოუწევთ.

„ბილდისგან“ განსხვავებით, „დი ველტთან“ ინტერვიუში როგი სპორტის უმთავრეს სენზე — დოპინგზე საუბრობს, სადაც, სამარანჩისა არ იყოს, მასაც დოპინგთან ომში ბოლომდე გამარჯვება წარმოუდგენლად მიაჩნია.

„ჩვენ ვერასდროს დავამარცხებთ დოპინგს...

ათი ათას ოლიმპიელ კანდიდატზე ვერ ვიტყვით, რომ სუფთები არიან.

ჩვენი მიზანია, თაღლითთა რაოდენობა რაც შეიძლება, შევამციროთ. ამისთვის ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო.“

სოკ-ი ბრმაა

„პარიზი 2008“ დამარცხებული კამპანიის ხელმძღვანელი კლოდ ბებეა საფრანგეთის წარუმატებლობაში აწ უკვე სოკ-ის ექსპრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს ადანაშაულებს. ბებეას თქმით, ესპანელი მარკიზი თავიდანვე, ფარულად თუ ცხადად, პეკინს ქომაგობდაო. სამარანჩის საქციელით განისხებული ბებეა სამომავლოდ ოლიმპიადის მასპინძელთა შერჩევის ახალი მეთოდების შემუშავებისკენ მოუწოდებს სოკელ მოხელეებს. „სამარანჩმა დიდი როლი ითამაშა პეკინის არჩევაში. იგი საარჩევნო კამპანიის დასრულებამდე ყველას ჩასჩიჩინებდა, გამარჯვება პეკინს უნდა დარჩესო.

იმან, რაც ჩვენ ვნახეთ და გამოვიარეთ მოსკოვში, სოკ-ის 112-ე სესიაზე, დაგვარწმუნა, რომ ოლიმპიადებთან დამოკიდებულებაში რადიკალური გარდაქმნებია საჭირო. უმთავრესი მხოლოდ სპორტისა და ათლეტთა ინტერესებია. აქამდე არასოდეს ყოფილა სოკ-ი ასე ბრმა გარესამყაროს მიმართ“ — „ეკიპთან“ საუბარში გულისტკივილით თქვა ბებეამ. იგი სოკ-ის სიბრმავეს იმაში ხედავს, რომ ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, ოლიმპიზმის მამები თვალს ხუჭავენ.“

განაწყენებული ფრანგი იმედის თვალით შეჰყურებს სოკ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტ ჟაკ როგს და მოუწოდებს მას, ისე ისაქმიანოს ოლიმპიური მოძრაობის სათავეში, რომ არ დაირღვეს ოლიმპიური ქარტიის პრინციპები“.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევნების მეორე ტურში პარიზი 18 ხმით მესამე ადგილზე მოხვდა. პეკინმა კი 56 ქულით აშკარა უპირატესობით დაჯაბნა მეტოქეები.

ბებეას მიაჩნია, რომ საფრანგეთის დედაქალაქმა უნებლიე საზღაური გაიღო სოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებისასაც. „ჩვენ არასწორად შევაფასეთ სიტუაცია. ჩვენ უეჭველად საზღაური გაგვაღებინეს, რადგან ევროპული ქალაქის გამარჯვება სოკ-ში ახალ ხელმძღვანელად ევროპელის მისვლას შეუშლიდა ხელს.

ბებეამ ისიც განაცხადა, რომ 2012 წლისთვის პარიზი ისევ წამოაყენებს თავის კანდიდატურას, თუმც იმ კამპანიას სათავეში სხვა ჩაუდგება, თავად კი მხოლოდ და მხოლოდ მრჩეველი იქნება.

პეკინში ენას იტეხენ

პეკინის გაოლიმპიურების შემდეგ 2008 წლის თამაშების მასპინძლებმა სწავლა-განათლებას მიჰყვეს ხელი. ჩინეთის დედაქალაქის 20 ათასი სახელმწიფო მოხელე მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ენის შემსწავლელ კურსებზე ჩაეწერა. ჩინელთა ინგლისურით დაინტერესება პეკინში ოლიმპიადისას უამრავი უცხოელი სტუმრის მოლოდინმა განაპირობა.

ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თქმით, ინგლისურის შემსწავლელ კურსებზე მიიღებიან ბაკალავრისა და უფრო მაღალი დონის განათლების მქონე პირნი. განათლებით სხვებზე მაღლა მდგომთ სულ ცოტა, სამას ინგლისურ წინადადებას შეასწავლიან, ხოლო ნაკლებცენზიანთათვის ასიც საკმარისი იქნებაო.

როგორც სინხუას საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, პეკინის ეს წამოწყება მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია იმ ამბიციური პროგრამისა, რომელიც ინგლისურის ცოდნის დონის ამაღლებას ითვალისწინებს მოხელეთა შორის. არადა, ეს უკანასკნელნი პეკინში 100 ათასამდე არიან.

ისე, ინგლისური დაახლოებით 330 მილიონ ადამიანს მშობლიურ ენად მიაჩნია, ხოლო მათი რაოდენობა, რომელთათვისაც ინგლისური მეორე ან მესამე ენად ითვლება, ორჯერ მეტია. თუმც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ჩინურ მანდარინულ დიალექტზე ამ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტი მეტყველებს, ანუ დაახლოებით 750 მილიონი ადამიანი.

პრობლემა მუსონი და ტაიფუნია

აფროსნობის საერთაშორისო ფედერაცია (ისფ) ოლიმპიზმის მამებისგან პეკინის ოლიმპიადის კალენდრის შეცვლას ითხოვს, რათა თავიდან აიცილონ ის პრობლემები, რომლებმაც ზღვაოსნები შეიძლება ხიფათში ჩაგდოს. შესაძლო საშიშროება კი ისეთი ბუნებრივი მოვლენებისგანაა მოსალოდნელი, როგორიც მუსონი და ტაიფუნია. „ისფ თხოვნით მიმართავს სოკ-ს, რათა გაითვალისწინონ ოლიმპიადისთვის დათქმული ვადის ივლისის ბოლოდან სექტემბრის მიწურულისკენ გადატანა.

ტოკიომაც და სეულმაც მუსონებისა და ტაიფუნის სეზონებისგან თავის ასარიდებლად ოლიმპიური თამაშები სექტემბერში გამართეს. იმედს ვიტოვებთ, რომ სოკ-ის აღმასრულებლები ამ თხოვნას სასწრაფოდ გამოეხმაურებიან“ — თავის საბწყსოზე ზრუნავს ისფ-ს პრეზიდენტი პოლ ჰენდერსონი.

სხვათა შორის, კანადელი სოკ-ის წევრი ჰენდერსონი 2008 წლის ოლიმპიადის მაძიებელთა დავაში ტორონტოს გაოლიმპიურების კამპანიას ხელმძღვანელობდა.

გიგა გურასაშვილი

ტურ დე ფრანსი

„ტურის“ ოთხი მაისურა: თეთრი წითელკოპლებიანი (ჟალაბერი), მწვანე (ზაბელი), ყვითელი (არმსტრონგი), თეთრი (სევილია)

ჰელოტონს პატრონი გამოუჩნდა

არმსტრონგი კიბოს მოერია და ულრიხს რას უზამდა

შარშანდელი „ტური“ ერთგვარად გამორჩეული იყო, რადგან მასში ბოლო სამი რბოლის ჩემპიონები გამოდიოდნენ. იან ულრიხმა, მარკო პანტანიმ და ლენს არმსტრონგმა 1997 წლიდან მოყოლებული თანმიმდევრობით დაიპყრეს მსოფლიოს უმთავრესი ველოტურნირის უმაღლესი მწვერვალი.

შარშან ეს სამეული მეორე ჩემპიონობისთვის იბრძოდა.

შარშან ვერავინ იტყოდა წინასწარ, რომელი გაიმარჯვებდა. ჰელოტონი უპატრონოდაა მიგდებულიო, ამბობდნენ, რადგან მრბოლებს ასეთი გამოთქმა აქვთ. ჰელოტონის პატრონები წარსულში ფაუსტო კოპი, ჟაკ ანკეტილი, ედი მერქსი, ბერნარ ინო იყვნენ. ყოფილა შემთხვევები, როცა ერთბაშად ორ ან რამდენიმე მრბოლს განუცხადებია პრეტენზია ამ წარმოსახვით ტიტულზე, მაგრამ გამარჯვებული ყოველთვის ერთია.

მას ჰელოტონის პატრონს ეძახდნენ.

შარშან „ტურის“ დამთავრების შემდეგაც არავის უთქვამს, ჰელოტონს პატრონი გამოუჩნდაო, რადგან არმსტრონგის სიძლიერეს თუ ვერავინ უარყოფდა, სამაგიეროდ, ულრიხი და პანტანი „ტურისთვის“ კარგად ვერ მოეშზადნენ ობიექტური მიზეზების გამო და ბრძოლა ნაღდი ვერ გამოდგა, გაისად ვნახოთო.

გავიდა ერთი წელი.

პანტანი ლამის სულ ჩამოშორდა ველოსპორტს. ზოგი ამას მის ეპო-სადმი სიყვარულს აბრალებს, რომლის აღმოჩენაც უკვე შეიძლება ადამიანის ორგანიზმში, ზოგიც სხვა რამეს.

ულრიხმა მოსამზადებელი პერიოდი აღარ ჩააგდო, „ჯიროზეც“ კი გამოვიდა სავარჯიშოდ, ზედმეტი წონაც აღარ აწუხებდა, მთელი გუნდიც მხოლოდ მის მოგებაზე ზრუნავდა, არმსტრონგის „პოსტალიდან“ კევინ ლივინგსტონიც კი მის გრეგარად გადავიდა, მაგრამ...

ჰელოტონს პატრონი გამოუჩნდა!

და ამიტომ ულრიხი კიდევ ერთხელ დასჯერდა მეორეობას.

პატრონი კი ლენს არმსტრონგია.

მთელი შეჯიბრი მან უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ერთხელაც კი არ გაუხდია საკუთარი გამარჯვება საეჭვო. „ძალინ დიდი შინაგანი ძალა მაქვს“ — ამბობს ამერიკელი, როცა მის სისუფთავეში დაეჭვებული ვინმე რიტორიკულად იკითხავს, ამდენი საიდან შეუძლიაო. დავუჯეროთ მას, რადგან მართლაც რომ დიდი შინაგანი ძალა აქვს, რაც 1996-97 წლებში დაამტკიცა.

მას იმ პერიოდში ექიმებმა სათესლე ჯირკვლის სიმსივნე აღმოუჩინეს და თავიდან მორჩენის იმედიც გადაუწურეს. თუმცა არმსტრონგი სულიერად არ გატყდა. ოპერაციისა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ იგი ნელ-ნელა მომჯობინდა და 1998 წელს სპორტსაც დაუბრუნდა. ამაში დოპინგი დაეხმარაო, ვერავინ იტყვის, რადგან დოპინგი რომ კიბოს წამალი იყოს...

წლეულს მას ერთხელაც არ წაუგია ულრიხთან, არც ერთ ეტაპზე არ ჩამორჩენია მას. მოგებით კი თითქმის ყოველთვის უგებდა. პროლოგის სამი წამის შემდეგ პირველივე მაღალმთიან ეტაპზე აჯობა, მერე ინდივიდუალურ რბოლაში, ისევ მთაში... მხოლოდ ერთ ძნელ ეტაპზე მივიდა ეს დუეტი ფინიშთან ერთდროულად.

საბოლოოდ მათ შორის სხვაობამ 6 წუთი და 44 წამი შეადგინა. ოთხი ეტაპის მომგებმა არმსტრონგმა მთელი გზა 40,276 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა, რაც მისივე 1999 წლის შედეგის (40,069 კმ/სთ) შემდეგ მეორე საუკეთესო მაჩვენებელია „ტურის“ ისტორიაში. მეორე იმიტომაა, რომ ერთ-ერთ ეტაპზე ჰელოტონმა კუსავით იარა და 14 მოიერიშეს 36 (!) წუთით ჩამორჩა, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. ორგანიზატორებს იძულებითი ლოიალურობა რომ არ გამოეჩინათ, წესით მხოლოდ იმ 14 მრბოლს უნდა გაეგრძელებინა შეჯიბრი, რადგან დანარჩენები იმ ეტაპისთვის გამოყოფილ დროის ნორმაში ვერ ჩაეტევნენ, მაგრამ თოთხმეტკაცა „ტური“?!

მესამე ადგილი ესპანელმა ხოსება ბელოკიმ დაიკავა, რითაც პოდიუმი აბსოლუტურად შარშანდლის იდენტური გახადა. ოღონდ მაშინ ბელოკი „ონსეს“ ნაცვლად „ფესტინას“ ღირსებას იცავდა.

არმსტრონგის გარდა ამ „ტურის“ გმირად შეიძლება კიდევ ორი კაცი ჩაითვალოს. ფრანგმა ლორან ჟალაბერმა ორი ეტაპი მოიგო და საუკეთესო მთიელისთვის განკუთვნილი თეთრი წითელკოპლებიანი მაისურა დაისაკუთრა. თანაც ყველაზე მებრძოლიც იგი აღმოჩნდა, ანუ ყველაზე მეტს უტევდა. არადა, „უაჯას“ ლამის ყველა ჩამოწერილად თვლიდა, განსაკუთრებით იანვარში მიღებული ტრავმის შემდეგ. გერმანელმა ერიკ ზაბელმა კი ბოლო სამჯერ იმარჯვა და ბოლო ეტაპზე ავსტრალიელ სტიუარტ ოგრედის საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურაც გახადა. ტელეკომელი ამით რეკორდსმენი გახდა, რადგან აქამდე ექვსჯერ „მწვანე პეპლობა“ ვერავინ შეძლო. ირლანდიელმა შონ კელმ საუკეთესო სპრინტერის სახელი ხუთჯერ დაისაკუთრა.

„მერქსივით ანდა ინოსავით „ტურის“ ხუთჯერ მოგებაზე ჯერ არ ვფიქრობ, მაგრამ აქ მეორეობისთვის არასოდეს ჩამოვალ, რადგან ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი შეჯიბრია“ — თქვა არმსტრონგმა პარიზში ტრიუმფით შესვლის შემდეგ.

ასე რომ, თუ გაისად იგი ისევ ჩავა საფრანგეთში (სხვანაირად ალბათ არც იქნება), მაშინ მთავარი ფავორიტის ვინაობა უკვე გვცოდნია.

მანამდე კი ლოდინის ერთი წელია...

გაგი გურული

საბოლოო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 86სთ 17წთ 28წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +6წთ 44წმ
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +9წთ 05
4. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +9წთ 53
5. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +13წთ 28

საუკეთესო სპრინტერის ჩათვლა

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 252 ქულა
2. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) 244
3. დამიენ ნაზონი (საფრანგეთი, ბონფური) 169

საუკეთესო მთიელის ჩათვლა

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ტისკალი) 258 ქულა
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) 211
3. ლორან რუ (საფრანგეთი, დელატური) 200

საუკეთესო ახალგაზრდის ჩათვლა

1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე)
2. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, იბანესტო) +10წთ 03
3. იორგ იაკშე (გერმანია, ონსე) +47წთ 32

საუკეთესო მებრძოლის ჩათვლა

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ტისკალი) 94 ქულა
2. ლორან რუ (საფრანგეთი, დელატური) 55
3. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) 45

გუნდური ჩათვლა

1. კელმე (ესპანეთი) 259სთ 14წთ 44წმ
2. ონსე (ესპანეთი) +4წთ 59
3. ტელეკომი (გერმანია) +41წთ 06

კასპაროვი ქართულ ზღვისპირეთში

იზორიამ ევროპელ იუნიორთა პოდიუმი დაიპყრო

გუშინწინ ევროპელ 20 წლამდე ვაჟთა და გოგონათა ჩემპიონატები დასრულდა. დამატებითი მაჩვენებლების გამოყენება საჭირო არ გახდა, რადგან ქართველი ზვიად იზორიასა და პოლონელი ივეტა რაძიევიჩის ოდენი ქულები სხვებს არ აღმოაჩნდათ. უნდა აღინიშნოს, რომ რაძიევიჩის გამარჯვებაში სენსაციის ნატამალიც არ ურევია, რადგან 27 გოგონადან იგი ერთადერთი დიდოსტატი გახლდათ, ფიდეს რეიტინგული ქულები ყველაზე მეტი ჰქონდა და, ცხადია, პირველ ნომრად იყო განთესილი. მისი მთავარი კონკურენტები ქართველი საერთაშორისო ოსტატები გამოდგნენ — ლელა ჯავახიშვილი და ანა მათნაძე, აგრეთვე უტიტულო რუსი ირინა ზაკურდიაევა. ოთხეული ფინიშამდე კარგა ხნით ადრე გაექცა მდევრებს და ჩემპიონატი მინიმუმ ორქულიანი გარღვევით დაამთავრა. რაძიევიჩს ბოლოს 9,5 ქულა ჰქონდა, ჯავახიშვილს — 9 და იგი ევროპის ვიცე-ჩემპიონია. დანარჩენმა ორმა 8,5 ქულა დააგროვა.

ზვიად იზორია არ ყოფილა მოწინაველ განთესილი, მე-5 ნომერი გახლდათ. 47 მონაწილიდან, რომელთაგან ვინმე კვიპროსელმა პოლივიოს პოლივიუმ აბსოლუტურად ყველა პარტია წააგო, იზორიაზე მეტი რეიტინგული ქულები ჰქონდათ რუსებს — პაველ სმირნოვს და არტიომ ტიმოფეევს, გერმანელ რაინერ ბუჰმანს და შვედ ემანუელ ბერგს, მაგრამ სმირნოვი და ბერგი გვარიანად ჩამორჩნენ, ხოლო დანარჩენებს იზორიამ საფინალო სპრინტში ნახევარი ქულით გაუსწრო. მას რვა ქულა აღმოაჩნდა, 7,5 კი ხუთს ერთბაშად. ახლა იზორია კვლავ საბერძნეთშია, სადაც საჭადრაკო საქმეთა გაგრძელებას აპირებს.

მნიშვნელოვანი და ძალიანაც მნიშვნელოვანი კი ესეც იყო: პატრასშივე შეხვდნენ ერთმანეთს ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ბორის კუტინი და მსოფლიოს ექსჩემპიონი გარი კასპაროვი და მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომელშიც წერია, რომ კასპაროვი 15-19 სექტემბერს ბათუმში იქნება და ევროპა-აზიის მატჩში ითამაშებს. კონტინენტების ბრძოლა დაახლოებით საზღვარზე შედგება და ეს სიმბოლურია. ქალები და ვაჟები ცალ-ცალკე იბრძოლებენ და რამდენიმე დღეში მათი ვინაობაც გაცხადდება, როგორც ამას ევროპის საჭადრაკო კავშირის ოფიციალური ვებ გვერდი გვპირდება. ჩვენც ახალ ინფორმაციას „სარბიელის“ მომდევნო ნომრებში მოგაწვდით.

დავით გულუა

უმრწემესი უხუცესის წინააღმდეგ: ალექსანდრ გრიშჩუკი და ვიქტორ კორჩნოი

იანიკ პელეტიე

მოხუცი და სენსაცია

შვეიცარიაში, ბილის ტურნირზე, ჯერ მასპინძლები ჩაგრავენ სტუმრებს, თუმცა რაღა ჯერ, როცა ფინიშს მხოლოდ 3 ტური უკლია. არ გვიკვირს ვიქტორ კორჩნოის ზესწრაფვა, რადგან 7 ათეული წლის მიუხედავად, იგი ექსტრაკლასის მოჭადრაკეა, მაგრამ იანიკ პელეტიეს ექსპერტებმა პირდაპირ ასეთი პრონოზი დაუსვეს: ბოლო ადგილი! ის კი მეორე-მესამე ადგილებს იყოფს და, რაც მთავარია, უმაღლესი დონის ჭადრაკს თამაშობს.

მე-5 ტურის წინ პიოტრ სვიდლერი ლიდერობდა, რომელმაც ტურნირი შარშან მოიგო. სასტარტო ორი გამარჯვებისა და ორი ყაიმის შემდეგ სვიდლერი კარგ ხასიათზე ეთამაშა პელეტიეს, მაგრამ უკვე მესამე სვლაზე შეჩქვიფდა: პელეტიემ გაითამაშა ანტიგრიუნფელდი, ანუ გრიუნფელდის დაცვის საწინააღმდეგო დებიუტი. ზოგადად სვიდლერი სწორედ რომ „გრიუნფელდისტია“, ამ სიახლემ კი მასზე მტკივნეულად იმოქმედა, ეტყობოდა, მზად არ იყო. შვეიცარიელმა დროულად დაიწყო შავი ცენტრის გარღვევა, მოკლა პაიკი და სრულად მოგებული პოზიცია მიიღო. 27-ე სვლაზე ყველაფერი დამთავრდა.

იანიკ პელეტიე 1976 წლის 22 სექტემბერს დაბადა ბილში. იქვე გაიზარდა და მასში არასოდეს აღმოუჩენიათ იმ ტალანტის ნახევარიც, რამდენსაც ადრეულ ასაკის, ვთქვათ, ალექსანდრ მოროზევიჩში ან იმავე სვიდლერში პოულობდნენ. გასულ წელს ბილში მხოლოდ მე-7 იყო, სტამბოლის ოლიმპიადის შედეგებით კი დიდოსტატობა მიანიჭეს. ორჯერ იყო შვეიცარიის ჩემპიონი, მოკლედ, დიდი არაფერი, მაგრამ ამჯერად ბევრად სახელიანებს უსწორდება, საერთოდ კი ნიჭიერი ვინმეა: ფრანგული, გერმანული, ინგლისური და რუსული ენები იცის. სვიდლერის დამარცხებით პელეტიე პირველი ვერ გახდა, რადგან მე-5 ტურში მისმა თანამემამულე ვიქტორ კორჩნოიმაც მოიგო და ცხრილის თავში მოექცა.

კორჩნოი ცხოვრებას არ ნებდება. ეს ადრე იყო, თეორწვერა მოჭადრაკენი რომ ელიტაში ერივნენ, თორემ ახლა აგერ კარპოვმა ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა და მისი ხანა უკვე მთლად წასულია. კორჩნოი კი იბრძვის და, რაც მთავარია, შედეგიანად. იგი იმუქრება, ბილის ტურნირს მოვიგებო. კლასი არ უმტყუნებს, მთავარია, ისევ ასაკმა არ დაიღალატოს. ფრანგ ჟოელ ლოტიეს ბებერმა მგელმა სწორედ რომ კლასით მოუგო, როცა ნაკლული პაიკის საფასურად „თავისი“ ენდშპილი მიიღო. ლოტიეს ერთი შავი ეტლი ისე შეეჭეჭყათ დაფის კუთხეში, მის განვითარებას კაი დრო უნდოდა, რითაც კორჩნოიმ ისარგებლა. როცა ლოტიეს ეტლმა თავისუფლად ამოისუნთქა, უკვე კორჩნოის ჰყავდა ზედმეტი პაიკი და თან ორი გადაბმული გამსვლელიც. რიგი წიაღსვლების შემდეგ კორჩნოიმ ერთი გამსვლელი ლოტიეს პაიკში გაცვალა და შავებს ყოველგვარი კონტრთამაში მოუსპო. ამის შემდეგ თეთრებმა აუჩქარებლად და აუღელვებლად გამოიყენეს ნამატი პაიკი, რისთვისაც 57-ე სვლამდე გარჯამ მოუწიათ.

შემდეგი ტურები უფერული გამოდგა, ექსივე პარტიაში ყაიმი გაფორმდა. მე-6 ტურის პარალელურად 126-მა მოჭადრაკემ ბლიც-ტურნირი გამართა და იგი რუსეთის სახელით მოთამაშე ქართველმა მიხეილ ქობალიამ მოიგო. მთავარი ტურნირის ცხრილში კი ყაიმებს, ცხადია, არაფერი შეუცვლიათ, კვლავ კორჩნოი ლიდერობს.

დავით გულუა

ვითარება 7 ტურის შემდეგ

1. კორჩნოი 4,5; 2-3. სვიდლერი, პელეტიე 4; 4. გელფანდი 3,5; 5-6 ლოტიე, გრიშჩუკი 2,5

დღაუთვნია 4000 დოლარისთვის

ორიოდე კვირის შემდეგ პირველი საერთაშორისო რალი გაიმართება საქართველოში. ასპარეზობის ორგანიზატორია საქართველოს საავტომობილო ფედერაცია (სსფ) — 1996 წლიდან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) წევრი.

FIA-ს ეგიდით ორიოდე წლის წინ ჩატარდა მარათონული რალი „მოსკოვი-სტამბოლი“, რომლის ერთ-ერთი ეტაპიც საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა. როგორც საერთაშორისო ფედერაციიდან მოვლინებულმა დამკვირვებელმა თავის პატაკში აღნიშნა, ჩვენს ქვეყანას უკეთესად მოუგვარებია ორგანიზაციული საკითხები (ტრასის ლეგენდის შედგენა, სპორტსმენთა მიღება-დაბინავება, გზების გადაკეტვა), ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებს, სადაც მარშრუტმა გაიარა, კერძოდ ყაზახეთს, თურქმენეთს, აზერბაიჯანს.

სწორედ ამ დადებითმა შეფასებამ და მაშინ მიღებულმა გამოცდილებამ გადაწყვეტინა ჩვენს ეროვნულ ფედერაციას დამოუკიდებელი შეჯიბრების მოწყობა. FIA-ს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და „შევრონ რალი ოფ ჯორჯია“ თავის წლევანდელ კალენდარში ჩართო.

იმის შესახებ, თუ ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის როგორ მიმდინარეობს მზადება, გვესაუბრება სსფ-ს პრეზიდენტი ვიქტორ თოდაძე. ბატონი ვიქტორი, რომელიც ფედერაციას დაარსებიდან, 1995 წლიდან ხელმძღვანელობს, შეიძლება ითქვას, მოქმედი პრეზიდენტია, თავადაც მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

— პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობის მიზანია საქართველოში ავტოსპორტის პოპულარიზაცია, მრბოლთა ოსტატობის ამაღლება და ამ სახეობით ახალგაზრდების დაინტერესება. მით უმეტეს, რომ მომავალში უფრო მაღალი რანგის რალის ჩატარებას ვაპირებთ. რბოლა თბილისის შემოგარენში 17-19 აგვისტოს გაიმართება. სამზადისი კარგა ხანია, დავიწყეთ: დამტკიცებულია მარშრუტი და რეგლამენტი, დაბეჭდილია სათანადო, საკმაოდ დიდი მოცულობის ტექდოკუმენტაცია, ტრასაზე ადგილების მიხედვით განაწილებულია მსაჯთა კორპუსი. ჩქაროსნულ მონაკვეთებზე დროის ზუსტად აღსარიცხად შევიძინეთ „ლონჟინის“ ფირმის ძვირადღირებული აპარატურა, რუსთავის ავტოდრომზე დასრულების სტადიაშია წყვილთა რბოლისთვის აუცილებელი ტრასისა და ხიდის მშენებლობა. სხვათა შორის, საერთაშორისო ფედერაციიდან ამჯერადაც გვესტუმრება დამკვირვებელი, ბულგარელი ალექსანდრ ბოშნაკოვი.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად შექმნილია კომისია სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ბატონ თედო ისაკაძის თავმჯდომარეობით. ამან საგრძნობლად გაგვიადვილა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. კომისიაში სსფ-ს წარმომადგენელია მისი გენერალური მდივანი შალვა ოგბაიძე.

— კონკრეტულად სად მოუწევთ მონაწილეებს ასპარეზობა?

— რალის საერთო სიგრძე 765 კილომეტრია, აქედან 214 კმ 35 ჩქაროსნულ უბანზე მოდის. სტარტი და ფინიში სამივე დღეს თბილისში, საგამოფენო კომპლექს „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე მოეწყობა. იქვე იქნება მანქანებისთვის დახურული პარკი, სარემონტო ზონა, საინფორმაციო-სამდივნო და პრესცენტრი, 19 აგვისტოს პრიზიორთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალიც იქ გაიმართება, რბოლის მარშრუტი კი რუსთავის, კოჯრის, წყნეთის, მცხეთის, თბილისის ზღვისა და ლისის ტბის გზებზე გაივლის. ტრანსპორტით გადატვირთული ტრასების გადაკეტვა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით სამადლო-კოჯორი-წყნეთი-ბაგების მონაკვეთზე. ამ პრობლემას ადრეც, ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას წავაწყდით. ამიტომ აღნიშნულ სპეცუბნებს ეკიპაჟები გამთენიისას დაძლევენ. თუმც სიძნელე მაინც დარჩება, რასაც მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ მოვერევით. დახმარებას საგზაო პოლიციის თანამშრომლები ვაგვიწევენ.

— ასპარეზობის დასახელება მიგვანიშნებს, რომ „შევრონი“ თქვენი მთავარი ფინანსური მხარდამჭერია. ალბათ სხვებიც გეხმარებიან.

— ასეთი დონის შეჯიბრების ჩატარებას ეროვნული ფედერაცია მარტო ვერ გასწვდებოდა. საავტომობილო ზეთების მწარმოებელი კონცერნი „შევრონი“ მართლაც ჩვენი გენერალური სპონსორია. გვერდში ამოგვიდგნენ აგრეთვე „ჯეოსელი“, „ჯორჯია ონლაინი“, „ეკო“, „რუსთავი 2“, „ექსპო ჯორჯია“... ამან სოლიდური საპრიზო ფონდის შექმნის საშუალება მოგვცა. გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად თითქმის 20 000 დოლარია გათვალისწინებული. მაგალითად, ყველაზე პრესტიჟულ, აბსოლუტურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გასული ეკიპაჟი ოთხი ათასს მიიღებს. გარდა ამისა, საერთო თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ზემოთ აღნიშნული ტექნიკური საშუალებების შეძენას, აგრეთვე „რუსთავრინგზე“ ახალი ტრასისა და ხიდის მშენებლობას მოხმარდა. რასაკვირველია, ყოველივე ამას მომავალში ეროვნულ ჩემპიონატებშიც გამოვიყენებთ.

— მონაწილეთა შესახებ რას გვეტყვით.

ვიქტორ თოდაძე

— ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით 30 ეკიპაჟი მოიყრის თავს, მათ შორის 10-12 საქართველოდან. ჯერჯერობით თანხმობა მიღებული გვაქვს რუსეთის ექვსი წყვილისგან, რომელთა შორის არიან საკმაოდ მაღალი კლასის მრბოლები — სერგეი უსპენსკი და ვიაჩესლავ პროზოროვი. ველით აგრეთვე სპორტსმენებს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან. ეს ასპარეზობა იმავდროულად საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპია, ამდენად სტარტზე ყველა ჩვენი ეკიპაჟი გამოვა. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ასეთ მნიშვნელოვან, რთულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მათთვის გამოცდილების შეძენისა და შემდგომი დოსტატების მშვენიერი საშუალება გახდება.

ოლეგ ნაცვლიშვილი





REUTERS პალმ დიზერტიდან

ბიგჰორნის ბრძოლის მომგებნი

საუცხოო მეგოლფენი, ტაიგერ ვუდსი და ანიკა სორენსტამი ერთმანეთს ეხვევიან. ეს წუთია, მათ განთქმული „ბიგჰორნის ბრძოლა“ მოიგეს. „ბიგჰორნის ბრძოლა“ ეწოდება ორი შერეული წყვილის საგოლფო შეჯიბრს, რომელიც კალიფორნიაში, პალმ დიზერტში იმართება, ასევე განთქმულ ბიგჰორნის გოლფ-კლუბში. ვუდს-სორენსტამის წყვილს უჯობნია დევიდ დიუვალისა და კერი ვების წყვილისთვის. აქვე მთავარიც: „ბიგჰორნის ბრძოლის“ მომგები წყვილი მილიონ შვიდასიათას დოლარს მიიღებს.



REUTERS ნორტჰემიდან

ჯიუტი ფოსეტი

ავსტრალიაში, პერტიდან ასიოდ კილომეტრის დაშორებით, პატარა ქალაქ ნორტჰემის ახლოს ცაში აჭრილა ორი საჰაერო ბურთი. ეს ორი ბურთი ამინდისა და ქართა მიმართულების ხელსაყრელობის დასაზვერად აუშვია ცაში ცნობილ და უიღბლო „ფოსეტის გუნდს“. ამ გუნდის თავკაცი კი ამერიკელი მილიონერი სტივ ფოსეტი გახლავთ, რომელიც ამდენი ხანია უშედეგოდ ცდილობს მარტომ, საჰაერო ბურთში მჯომმა შემოუფრინოს დედამიწას. გარსაქვეყნო ფრენის სურვილით ანთებულ მილიონერს უკვე ხუთჯერ უცდია ეს საქმე და სულ უშედეგოდ. ფოსეტს ამჯერადაც წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებენ. ორი თვის წინ, ბოლო ცდისას, მისი ბურთი ნორტჰემიდან არცთუ შორს, ქალაქ კალგურლის აეროპორტში დაეინარცხა.

ჩემპიონი

ასე ზეიმობს ფრანგი ძიუდოისტი გოგონა სელინ ლებრუნი მიუნხენის ოლიმპიურ დარბაზში მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონობას. აბსოლუტური კატეგორიის ფინალში ფრანგმა ბრიტანელი კარინა ბრაიანტი დაამარცხა.



REUTERS მიუნხენიდან



REUTERS პარასედან

ჰარარე, ჰარი-ჰარარე

ჰარარეში ძაან კრიკეტია გახურებული. მასპინძელი ზიმბაბველები ვესტ ინდოეთის ნაკრებს ერკინებიან. ფოტოზე ხედავთ, როგორ იგერიებს მასპინძელთა მხნე ტაფელოსანი ენდი ბლიგნაუტი სტუმართა ნატყორცნს, ვესტ ინდოელი დამჭერი კორტნი ბრაუნი კი პირშავად დგას.

REUTERS ბონიდან

მაინც ულრიხია

სამეობლოში დაბრუნდა ახალგასრულებული „ტურ დე ფრანსის“ მონაწილე ველომრბოლი იან ულრიხი. წლეულს ულრიხმა კვლავ ამერიკელ ლენს არმსტრონგთან წააგო და მრავალდღიან „ტურში“ მეორე ადგილზე გავიდა. ამის მიუხედავად, ბონის ქუჩაზე გამოსულ იანს ავტოგრაფის მოყვარულთა სიმცირე არ უგრძვნია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტო-რეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკვაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge